ბიბლიოთეკა

ლელო

№251
(12 321)

24 ოქტომბერი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტოპმიოლერი: მზად ვარ, კაიზერსლაუტერნს დავეხმარო

## პირველი რჩევა ეშმაკებს: აიყვანეთ ცქიტიშვილი!




**კ**აიზერსლაუტერნს" **კლაუს ტოპმიოლერის** გულში განსაკუთრებული ადგილი რომ უკავია, ამის შესახებ არაერთხელ დაგვიწერია. მკითხველს ისიც კარგად მოეხსენება, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ამ გუნდის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია: ტოპმიოლერმა აქტიურ სპორტულ კარიერაში, "ლაუტერნის" რიგებში 204 მატჩი ჩაატარა და 108 გოლის გატანა მოახერხა - ტოპის შედეგი დღემდე არავის გაუუმჯობესებია.

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ტოპმიოლერის გვარი "კაიზერსლაუტერნთან" მიმართებაში ჯერ კიდევ მაისში ახსენეს. მაშინ გაირკვა, რომ ბეტცენბერგელები ტოპის მთავარი მწვრთნელის თანამდებობას სთავაზობდნენ, მაგრამ კლაუსმა გუნდის ხელმძღვანელებს თავაზიანი უარი უთხრა - საქართველოში ვმუშაობ და კონტრაქტის ამოწურვამდე მიუწვდომელი ვარო. თანაც, მაშინ ტოპმიოლერმა დასძინა, კონტრაქტი ჩემი სურვილით არასდროს დამირღვევია და ამას არც ახლა გავაკეთებო.

ჰერ კლაუსს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი კი უმთავრდება, მაგრამ წინდაწინვე ცნობილია, რომ მასთან ახალი ხელშეკრულება გაფორმდება და რომ 56 წლის სპეციალისტი საქართველოში დარჩება. შესაბამისად, "კაიზერსლაუტერნის" შეფებს ვერ ექნებათ იმის იმედი, რომ კლაუსი მათ გუნდს უთავკაცებს. სამაგიეროდ, დიდი შანსია, რომ ტოპმიოლერმა FCK-ს მანდატი მიიღოს და ამ გუნდის კონსულტანტი გახდეს.

ორიოდ დღის წინათ, ტოპმა ერთ რადიოინტერვიუში განაცხადა, რომ მზადაა, "ლაუტერნს" დაეხმაროს. აი, რა თქვა კლაუსმა ხსენებულ ინტერვიუში: "კაიზერსლაუტერნი" ის გუნდია, რომელიც ცხოვრების ბოლომდე ძალიან მეყვარება. გული მტკივა, რომ ამ გუნდს ძალიან მძიმე დროება დაუდგა და ამიტომაც, "ლაუტერნის" ხელმძღვანელებს დახმარებას ვთავაზობ. თუკი მათ ჩემი რჩევები დასჭირდებათ, მზად ვარ, დავეხმარო. ოღონდ, მწვრთნელად მუშაობა გამორიცხულია, რადგან თითქმის გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ახალ კონტრაქტს გავაფორმებ."

გუშინ, "კიკერი" წერდა, რომ "კაიზერსლაუტერნის" ბოსები ტოპის დახმარებაზე უარს არ იტყვიან. ორშაბათს გუნდის სამეთვალყურეო საბჭო შეიკრიბა და შეფებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ისინი ტოპმიოლერს გერმანიაში დაბრუნების შემდეგ (კლაუსი საქართველოს შაბათს დატოვებს) ე.წ. "თავისუფალ მანდატს", კონსულტანტის თანამდებობას შესთავაზებენ. რაკი ჰერ კლაუსმა "ლაუტერნს" დახმარების ხელი თვითონვე გაუწოდა, შანსი იმისა, რომ ამ წინადადებაზე უარი თქვას, ძალიან მცირეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტოპმიოლერი "კაიზერსლაუტერნის" მრჩეველი გახდება და გუნდის სპორტულ (და არა ფინანსურ) მართვაში მონაწილეობას მიიღებს.

"ფაქტია, რომ ამ გუნდში რაღაც უნდა შეიცვალოს, რადგან შემადგენლობა წლიდან წლამდე უარესდება, "კაიზერს" სულ უფრო და უფრო ცუდი ფეხბურთელები ჰყავს. შედეგიც სახეზეა: გუნდს მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნის საფრთხე ემუქრება," - აცხადებს ტოპი "შპორტ აინსისთვის" მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძენს, - "ლაუტერნის" სატრანსფერო პოლიტიკა ჯერ კიდევ აპრილში გავაკრიტიკე და მაშინაც ვთქვი, რომ იმდროინდელი მწვრთნელის, ვოლფგანგ ვოლფის შემცვლელს სატირლად ექნებოდა საქმე. ასეც მოხდა: ამჟამინდელი მწვრთნელი კიეტილ რეკდალი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, რადგან ნორმალური ფეხბურთელები არ ჰყავს. ზაფხულში "ლაუტერნმა" უნგრელი ფლეიმეიქერი ტამაშ ჰაინალი "კარლსრუეში" გაყიდა. ეს მოთამაშე დღესდღეობით ბუნდესლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა. "ლაუტერნმა" მისი შემცვლელი კი იყიდა, მაგრამ ეს უკანასკნელი არაფრად ვარგა"

...და აი, ტოპის პირველი რჩევაც: "მე ამ გუნდის შეფებს, პირველ რიგში, ქართველი ლევან ცქიტიშვილის აყვანას ვურჩევდი, რომელიც ახლა უგუნდოდაა და შესაბამისად, ერთი ცენტიც არ ღირს. ცქიტიშვილი ძალიან გამოცდილი და შესანიშნავი ფეხბურთელია, რომელიც გამთამაშებლის პოზიციაზე იდეალური იქნება. ეს მოთამაშე "ლაუტერნს" ძალიან წაადგებოდა. ეს არის ჩემი პირველი რჩევა, ახლა ჯერი გუნდის ხელმძღვანელობაზეა."

"ლაუტერნს" ერთი კარგი მეკარეც სჭირდება. მწვრთნელი **რეკდალი** ამბობს, რაკი ბევრი ფული არ გვაქვს, მხოლოდ უმუშევარ მეკარეს თუ გადავიბირებთო. ტოპმიოლერს მეორე რჩევაც მზად აქვს: "აიყვანონ ანდრეას რაინკე!" "ვერდერის" ყოფილი მეკარეც უგუნდოდაა და 1994-დან 2000 წლამდე სწორედ FCK-ს ღირსებას იცავდა. შეგახსენებთ, რომ ბეტცენბერგელებს 10 ტურის შემდეგ მხოლოდ 7 ქულა აქვთ და მეორე ბუნდესლიგაში მე-16 ადგილზე არიან.

დაბოლოს: ზემოთ ხსენებულ ინტერვიუში ტოპმიოლერი აღნიშნავს, არ მინდა, რომ ვინმემ ჩემი სურვილი, დავეხმარო ჩემს საყვარელ კლუბს, არასწორად გაიგოსო: "ჭკუის დარიგებას არავის დავუწყებ და არც გუნდის საქმეებში ჩავერევი. მე მაქვს სამსახური, "კაიზერის" კონსულტანტობა კი უფრო ჰობი იქნება."

იმისთვის, რომ ეჭვები ყველას გაუქარწყლოს, კლაუსი ასეთ რამეს ამბობს: "კაიზერსლაუტერნისგან" არც ხელფასს ვითხოვ და არც ჰონორარს. ამ გუნდზე გული შემტკივა და რჩევებს ყოველგვარი საზღაურის გარეშე დავარიგებ."

**გოტფრიდ ლენცი**

| | | |
|---|---|---|
| შტუტგარტი | 0:2 | ლიონი |
| რეინჯერსი | 0:0 | ბარსელონა |
| დინამო | 2:4 | მანჩესტერი |
| რომა | 2:1 | სპორტინგი |
| ცსკა | 1:2 | ინტერი |
| ეინდჰოვენი | 0:0 | ფენერბაჰჩე |
| სევილია | 2:1 | სტიაუა |
| არსენალი | 7:0 | სლავია |

LIVE

სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ

LIVE



გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველო-ლატვია**

**0:2**

23.10.07 თბილისი. მ. მესხი
500 მაყურებელი

0:1 სინელნიკოვსი (55), 0:2 კალნინსი (74)

საქართველო: მაკარიძე, ვაჩიბერიძე, ხუმარაშვილი, გაბუნია, ბენაშვილი, ჩარგეიშვილი, ივანიშვილი, თარხნიშვილი, ბეგლარიშვილი, თარგამაძე, ბლაგიძე (64. შეყილაძე)

სათადარიგოეში: კვასხვაძე, მაისურაძე

ლატვია: პორტნოისი, მეზსი, სეველასი, სმელსი, დუბრა, გავრილოვსი (69. პრედენსი), გრამოვიცსი, ვალეჟინინსი, აგაფონსვსი, სინელნიკოვსი, კალნინსი

სათადარიგოები: ძელმე, ოსიპოვსი, კორსაკოვსი, პოლევოისი

არბიტრი: ა. სტავრევი (მაკედონია)

# ასაკობრივი ფრონტი უცვლელია?

## თუ ასეა, საქმე ჭაკად უნდა იყოს

ევროშესარჩევში **ჰაინც ტოპმიოლერის** დამოძღვრილმა გუნდმა შინ სამივე თამაში წააგო, მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა.

არაერთხელ გვითქვამს, რომ ვერ არის საქმე კარგად საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებებში. რაღაც უნდა შეიცვალოს და ეს "რაღაც" ალბათ მწვრთნელია - ახალგაზრდულ ასაკში არ არის ძალიან დიდი სხვაობა ქართველ და ევროპელ თანატოლებში, ხოლო თუ ჩვენს ბიჭებს ტაქტიკური განათლება აკლიათ, უცხოელი მწვრთნელი აბა რისთვისაა საჭირო?

ჩვენს ასაკობრივ ნაკრებებს ფეხბურთის ფედერაციის ამ ხელმძღვანელობამ თითქმის იდეალური, უწინდელზე გაცილებით უკეთესი პირობები შეუქმნა, მაგრამ შედეგი ვერ მოვიმკეთ. 16, 19 თუ 21-წლამდელთა ნაკრებებს აქვთ ნორმალური შეკრებები, ამხანაგური მატჩების თამაშის საშუალება, ადამიანური რესურსიც, რაც გუშინდელ მატჩშიც გამოჩნდა, მაგრამ არ არის შედეგი.

... პირველი ტაიმი ნაცრისფერი გამოდგა. ჩვენი ჭაბუკები ღირებულს ვერაფერს ქმნიდნენ, ლატვიელები კი ძალიან ფრთხილობდნენ. პირველი 45 წუთი, ცოტა არ იყოს, ამხანაგურ მატჩს წააგავდა - ორივე გუნდს მოტივაცია აკლდა, არც ერთს არ შიოდა გამარჯვება.



დავით თარგამაძემ (ბურთით) ქართველთაგან სამივე შეხვედრაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა

**ალექსი ბენაშვილმა** ჯარიმიდან გათამაშებული ბურთი ოდნავ ააცილა კარს - ასეთი იყო ყველაზე სახიფათო დარტყმა ლატვიელთა კარისკენ.

ქართველთაგან თამაშის გამწვავებას **გიორგი თარგამაძე** და **ზაქარია ბეგლარიშვილი** ცდილობდნენ. ერთხელ მათ მოხდენილი კომბინაციაც გაათამაშეს, თუმც ნაჯაფარი კარისკენ დარტყმით არ დასრულებულა.

პირველი ტაიმის შემდეგ ლატვია ალბათ მიხვდა, ესენი დიდი ხვითოები არ ყოფილან და ფრეზე კი არა, მოგებაზე უნდა ვითამაშოთო. მეორე ტაიმი ბალტიისპირელებმა აქტიურად დაიწყეს, რაც ალბათ, ცოტა მოულოდნელი იყო ჩვენი ბიჭებისთვის და გოლიც გაუშვეს - **რაივო კალნინსმა** მარჯვენა ფლანგზე ძალისმიერი ორთაბრძოლა მოუგო **ვახტანგ ვაჩაბერიძეს**, **გიორგი მაკარიძის** კარის გასწვრივ ძლიერად ჩააწოდა და **ალანს სინელნიკოვსმა** დასწრებაზე ჩინებულად ითამაშა - 0:1.

ამის შემდეგ ჰერ ჰაინცის ბიჭებს ფხა მოემატათ, კოლექტიური თამაში არ გამოსდიოდათ, ინდივიდუალურად კი მართლაც რაღაცას ცდილობდნენ, თამაშის საკუთარ თავზე აღებას არ ერიდებოდნენ.

**თამაზ ჩარგეიშვილმა** ოციოდე მეტრიდან ძელს გაარტყა ბურთი, ბეგლარიშვილმა ჩინებულ დრიბლინგს არაზუსტი დარტყმა მიაყოლა, ბენაშვილის საშუალო დისტანციიდან დარტყმული **ედგარას პორტნოისმა** კუთხურზე მოიგერია, თარგამაძემ პორტნოის ხელებს შეაწყვიტა ბურთი...

მოკლედ, თამაში თამაშს დაემსგავსა, მაგრამ გუნდი გუნდს ვერა - ჩვენებს სწორედ გუნდურობა აკლდათ, სწორად თამაში, თორემ მონდომებას და აგრესიას კი მოუმატეს.

არც ლატვია იყო უქმად შეტევაში. ქართველთა საჯარიმოში შეჭრილმა **ალექსანდრს გრამოვიცსმა** მახვილი კუთხიდან ვერ გაისწორა მიზანი. ლატვია ჩასაფრებული იყო კონტრშეტევებისთვის და ეს დაუფასდა კიდეც - საჯარიმოსთან ჩაგდებული მაღალი ბურთისთვის ორი ქართველი მცველი გაეშურა, მაკარიძეც რატომღაც გამოვიდა კარიდან. ბურთი მცველებმა ვერ გაიყვეს და კალნინსს დარჩა, რომელმაც ხვეული დარტყმით შემოავლო ის მაკარიძეს და - 0:2.

დრო კიდევ იყო თამაშის შემოსაბრუნებლად და ჩვენს თინეიჯერებს საამისოდ ცდა არ დაუკლიათ. რამდენიმე მწვავე იერიში მიიტანეს მეტოქის კარისკენ ინდივიდუალური თამაშით, ლატვიამ კი კინაღამ მესამე გოლი გაიტანა ერთ-ერთ კონტრშეტევაზე.

გულს იმით ვერ გავიკეთებთ, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს **ლევან ყენია** და **ლევან მჭედლიძე** აკლდათ, თუმც სასიამოვნოა, რომ მათ გარდა ამ ასაკში კიდევ გვყავს საინტერესო ფეხბურთელები, თუნდაც დავით თარგამაძე.

დავით **თავართქილაძე**



ნაწყენი ჰაინც ტოპმიოლერი

**ნორვეგია-ჰოლანდია**

**3:1**


# ფეხბურთელთა უმაღლესი მომზადება არგენტინაში,

## დიეგო მარადონას სამშობლოში

16, 17, 18, 19 წლის ასაკის ფეხბურთელების საყურადღებოდ!!!

მათ, ვისაც სურთ ჯერ აიმაღლონ ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური დონე არგენტინაში, და შემდეგ გარკვეული პერიოდი ითამაშონ იქაური საფეხბურთო კლუბებში, მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს გაემგზავრებიან არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში. ფეხბურთელებს მოამზადებს წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და ამჟამად მწვრთნელი ედუარდო დელგადო.

მომზადების პერიოდი 6 თვიდან ერთ წლამდეა. ამ პერიოდში ფეხბურთელებს ექნებათ ამხანაგური თამაშები, რომლის დროსა მათზე მოხდება დაკვირვება. სრულყოფილი მომზადების შემდეგ, ედუარდო დელგადო ფეხბურთელებს წარადგენს არგენტინის კლუბებში, სადაც გააგრძელებენ ოფიციალურ თამაშებს.

არგენტინის მხარე მომზადების ხარჯებს არ უზრუნველყოფს. ასევე, არგენტინის ვიზების, მგზავრობის, მომზადებისა და ადგილზე ცხოვრების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მობრძანდით არგენტინის წარმომადგენელთან მიმდინარე წლის 25 ოქტომბრამდე, მისამართზე: ლეონიძის ქ №4 (ყოფილი კიროვის ქუჩა თავისუფლების მოედანთან), ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ.

გასაუბრებისთვის მსურველები წინასწარ უნდა ჩაეწერონ არგენტინის წარმომადგენელთან, შემდეგ ტელეფონზე: 899 23 55 20.




**შეცდომის გასწორება**

გუშინდელ ნომერში, IX ტურის სიმბოლურ ნაკრებში ტექნიკური მიზეზების გამო გაიპარა შეცდომა: "მგლების" მეკარე ივარდავას ნაცვლად სიმბოლურში უნდა ყოფილიყო "მერანის" კარის დარაჯი თევდორაძე

გახსენი...
# ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ნესტორ მუმლაძესთან

## უკეთეს ვიტ ჯორჯიასაც გაჩვენებთ

**"ვიტ ჯორჯიის" "დინამოზე" გამარჯვებამ ეროვნულ ჩემპიონატს ლიდერი შეუცვალა და ინტრიგა კიდევ უფრო გაუღვივა. "დინამომ" პირველი მარცხი იწვნია და ცხრილის კენწეროშიც "ზესტაფონი" მოექცა.**

**ნესტორ მუმლაძის განვრთნილმა "ვიტ ჯორჯიამ" წინა ჩემპიონატის პირველ წრეშიც დაამარცხა დუშან უჰრინის "დინამო". როგორ ახერხებს ამას მუმლაძე? რა დოპინგით გაჟღინთა "ვიტ ჯორჯია", რომელიც გაორმაგებული მონდომებით შეებრძოლა "დინამოს" და გაიმარჯვა? ვიტელთა თავკაცთან ინტერვიუ ამ კითხვით დავიწყეთ.**

- განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, უბრალოდ სანაკრებო მატჩებით გამოწვეული პაუზა ნაყოფიერად გამოვიყენეთ, კარგად მოვემზადეთ "დინამოსთან" მატჩისთვის, ტაქტიკაც ზუსტად შევარჩიეთ და გავიმარჯვეთ.

**- მთავარი ტაქტიკური ნიუანსი რომელი იყო? ყველაზე მეტად რომელმა ტაქტიკურმა სვლამ განაპირობა "ვიტ ჯორჯიის" გამარჯვება?**

- ის ზონები კარგად გადავკეტეთ, საიდანაც განსაკუთრებულად ველოდით საფრთხეს. მეტი აგრესიით და მონდომებით ვითამაშეთ - მეტოქეს ამ კომპონენტში მართლაც ვაჯობეთ.

**- თქვენი ფორვარდები, ნიკა გელაშვილი და ზაზა სახოკია ძალიან აქტიურები იყვნენ, ბურთი მათკენ ხშირად მიდიოდა და ისინი ბევრჯერ მოხვდნენ თამაშგარე მდგომარეობაში, თუმცა თქვენ სულ იმას გასძახოდით, არაუშავს ასე გააგრძელეთო. გელაშვილი-სახოკია თამაშგარის ზღვარზე - ეს თქვენი ერთ-ერთი უმთავრესი ტაქტიკური იარაღი იყო?**

- ეს მართლაც ერთ-ერთი ტაქტიკური სვლა იყო. "დინამოს" ძალიან კარგი და გამოცდილი მცველები ჰყავს, მაგრამ სისწრაფეში ჩვენს ფორვარდებს შეეძლოთ უპირატესობის მოპოვება. თამაშგარის ზღვარზე თამაში აუცილებლად მოიტანდა შედეგს და ასეც მოხდა - პენალტი ამით მოვიპოვეთ ანუ გოლი ამ ტაქტიკური ხერხით შევქმენით.

**- მიმდინარე სეზონში მოუგეთ "დინამოს", მაგრამ დამარცხდით "ბორჯომთან" და "სიონთან". რას დააბრალებდით არასტაბილურობას?**

- ორ წელიწადზე ცოტა მეტია, რაც "ვიტ ჯორჯიას" ვწვრთნი და ამ ხნის განმავლობაში გუნდიდან ბევრი წამყვანი და გამოცდილი ფეხბურთელი წავიდა. ახალი გუნდი კეთდება და ეს იოლი პროცესი არ არის, თანაც ჩვენ მხოლოდ საკუთარი კადრებით ვილებთ შევსებას და მიმაჩნია, რომ ასეთი კურსი სწორია.

**- პირველი წრის მერე "ვიტ ჯორჯიიდან" გელაშვილი წავა, ალბათ ლექსო კვახაძეც...**

- გელაშვილის გარდა, სხვა საკითხი ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. რაც არ უნდა მოხდეს, "ვიტ ჯორჯიას" რიგიანი შევსება ეყოლება.

**- და სამეულში მოხვედრისთვის იბრძოლებთ?**

- ვიბრძოლებთ რომელიმე ევროსაგზურისთვის. ჯერ რაც ნახეთ, ეს არ არის "ვიტ ჯორჯიის" მაქსიმუმი, ჩვენ კიდევ უფრო მოვუმატებთ თამაშს.

**- ადრე "დინამოში" მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდით. ესეც გეხმარებათ "დინამოსთან" წარმატებულ თამაშში?**

- არა, ეს ფაქტობრივად არაფრით მეხმარება, ახლა "დინამო" სულ სხვა გუნდია. "დინამოს" საიდუმლოებებზე ხელი არ მიმიწვდება.

**დავით თავართქილაძე**


ნესტორ მუმლაძე

საქართველოს ჩემპიონატი. სტატისტიკა

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ხუციშვილი (დინამო) | 6 |
| 2-8 | აკირემი (დინამო) | 5 |
| | გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 5 |
| | სპასოევიჩი (დინამო) | 5 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 5 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 5 |
| | რ. ჯიქია (ოლიმპი) | 5 |
| | ჭედია (მგლები) | 5 |
| 9-14 | გ. მერებაშვილი (დინამო) | 4 |
| | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 4 |
| | ქარდავა (სიონი) | 4 |
| | შ. გრიგალაშვილი (ბორჯომი) | 4 |
| | ინასარიძე (მესხეთი) | 4 |
| 15-21 | ვიეირა (ზესტაფონი) | 3 |
| | კაიდარაშვილი (მესხეთი) | 3 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 3 |
| | რ. გოცირიძე (ამერი) | 3 |
| | დოლიძე (ამერი) | 3 |
| | ბ. ჩიტაია (დილა) | 3 |
| | ჩასემი (სიონი) | 3 |
| 22-33 | დავითაშვილი (ამერი) | 2 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | კობახიძე (დინამო) | 2 |
| | სადალაშვილი (დილა) | 2 |
| | სანიკიძე (სიონი) | 2 |
| | ქირია (მგლები) | 2 |
| | კოშკაძე (ოლიმპი) | 2 |
| | ჟვანია (მესხეთი) | 2 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 2 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ქუთათელაძე (სიონი) | 2 |

### საგოლე პასები

| | | |
|---|---|---|
| 1-4 | სპასოევიჩი (დინამო) | 3 |
| | თ. ლონლაძე (ბორჯომი) | 3 |
| | ჯელაძე (ამერი) | 3 |
| | კ. ჩხეტიანი (ზესტაფონი) | 3 |
| 5-15 | ფეიქრიშვილი (დინამო) | 2 |
| | ოდიკაძე (დინამო) | 2 |
| | დეკანოსიძე (ამერი) | 2 |
| | კაკაბაძე (მგლები) | 2 |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 2 |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 2 |
| | ხუციშვილი (დინამო) | 2 |
| | გვირჯიშვილი (მესხეთი) | 2 |
| | ნადირაძე (სიონი) | 2 |
| | ქუცურუა (სიონი) | 2 |
| | დავითაშვილი (ამერი) | 2 |

### გოლი+პასი

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | ხუციშვილი (დინამო) | 8 (6+2) |
| | სპასოევიჩი (დინამო) | 8 (5+3) |
| 3-6 | აკირემი (დინამო) | 6 (5+1) |
| | გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტ.) | 6 (5+1) |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 6 (5+1) |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 6 (5+1) |
| 7-11 | გ. მერებაშვილი (დინამო) | 5 (4+1) |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 5 (3+2) |
| | გრიგალაშვილი (ბორჯ.) | 5 (4+1) |
| | ჭედია (მგლები) | 5 (5+0) |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 5 (4+1) |
| 12-20 | ჯელაძე (ამერი) | 4 (1+3) |
| | გელაშვილი (ვიტ ჯორ.) | 4 (4+0) |
| | რ. ჯიქია (ოლიმპი) | 4 (4+0) |
| | რ. გოცირიძე (ამერი) | 4 (3+1) |
| | დოლიძე (ამერი) | 4 (3+1) |
| | დავითაშვილი (ამერი) | 4 (2+2) |
| | ინასარიძე (მესხეთი) | 4 (4+0) |
| | ქარდავა (სიონი) | 4 (4+0) |
| | ჩასემი (სიონი) | 4 (3+1) |
| 21-28 | ყენია (ლოკომოტივი) | 3 (1+2) |
| | ზ. ჩხეტიანი (მესხეთი) | 3 (1+2) |
| | კაიდარაშვილი (მესხეთი) | 3 (3+0) |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 3 (2+1) |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 3 (3+0) |
| | კ. ჩხეტიანი (ზესტაფონი) | 3 (0+3) |
| | სანიკიძე (სიონი) | 3 (2+1) |
| | ბ. ჩიტაია (დილა) | 3 (3+0) |

### რეალიზებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | ტატანაშვილი (ამერი) | 2 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| 3-10 | სამხარაძე (ლოკომოტივი) | 1 |
| | მედოევი (სპარტაკი) | 1 |
| | კაიდარაშვილი (მესხეთი) | 1 |
| | სანიკიძე (სიონი) | 1 |
| | რ. ჯიქია (ოლიმპი) | 1 |
| | საჯაია (ზესტაფონი) | 1 |
| | კრასოვსკი (მგლები) | 1 |
| | იმედაძე (ლოკომოტივი) | 1 |

### გაცუდებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | სვანიძე (სიონი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |

### მიღებული გოლები

(მატჩების ნახევარზე მეტი)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ოვონო (დინამო) | 2 |
| 2 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 3 |
| 3 | შეყრილაძე (ბორჯომი) | 6 |
| 4-5 | ივარდავა (მგლები) | 7 |
| | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| 6 | ქვაჩახია (ამერი) | 8 |
| 7 | სომხიშვილი (მესხეთი) | 9 |

### მშრალი სერიები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ოვონო (დინამო) | 366 წთ. |
| 2 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 341 |
| 3 | ოვონო (დინამო) | 338 |
| 4 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 330 |
| 5 | კოდალაევი (სპარტაკი) | 284 |
| 6 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 272 |
| 7 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 257 |
| 8 | შეყრილაძე (ბორჯომი) | 236 |
| 9 | ივარდავა (მგლები) | 234 |
| 10 | სომხიშვილი (მესხეთი) | 226 |
| 11 | ივარდავა (მგლები) | 225 |

### მიმდინარე მშრალი სერია

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 330 |
| 2 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 272 |
| 3 | ქვაჩახია (ამერი) | 151 |

### შემცვლელთა გოლები

| | | |
|---|---|---|
| 1 | იონანიძე (ზესტაფონი) | 4 |
| 2-3 | სპასოევიჩი (დინამო) | 3 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 3 |
| 4-7 | ხუციშვილი (დინამო) | 2 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 2 |
| | კოშკაძე (ოლიმპი) | 2 |
| | ქუთათელაძე (სიონი) | 2 |

### დუბლი

| | | |
|---|---|---|
| 1-10 | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | კაიდარაშვილი (მესხეთი) | 1 |
| | გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | ქარდავა (სიონი) | 1 |
| | რ. გოცირიძე (ამერი) | 1 |
| | აკირემი (დინამო) | 1 |
| | კობახიძე (დინამო) | 1 |
| | ქუთათელაძე (სიონი) | 1 |
| | ინასარიძე (მესხეთი) | 1 |

### მატჩის რჩეული

| | | |
|---|---|---|
| 1-8 | მემარნიშვილი (ბორჯომი) | 2 |
| | აიდარაშვილი (მესხეთი) | 2 |
| | აკირემი (დინამო) | 2 |
| | კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 2 |
| | ჩასემი (სიონი) | 2 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 2 |
| | რ. ჯიქია (ოლიმპი) | 2 |

### არბიტრები

(მატჩების რაოდენობა)

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | დ. ხარიტონაშვილი | 7 |
| | გ. ვადაჭკორია | 7 |
| 3-5 | ლ. კვარაცხელია | 6 |
| | მ. ბეუქლიშვილი | 6 |
| | ლ. ფანიაშვილი | 6 |
| 6 | გ. კიკაჩეიშვილი | 5 |
| 7-9 | ო. ხეცაძე | 4 |
| | ა. კრიჭაშვილი | 4 |
| | მ. ურუშაძე | 4 |
| 10-11 | პ. დოგრაშვილი | 3 |
| | ლ. სილაგავა | 3 |
| 12-13 | კ. ჭაჭუა | 2 |
| | ჯ. ბუიშვილი | 2 |
| 14-17 | ვ. ელისაბედაშვილი | 1 |
| | ვ. გუმბერიძე | 1 |
| | გ. დოგრაშვილი | 1 |
| | ა. ნონიკაშვილი | 1 |

### ხშირი ანგარიში

| | | |
|---|---|---|
| 1 | 1:0 | 13 |
| 2 | 2:1 | 7 |
| 3-5 | 0:1 | 5 |
| | 2:0 | 5 |
| | 0:2 | 5 |
| 6-7 | 1:2 | 4 |
| | 1:1 | 4 |
| 8-9 | 3:0 | 3 |
| | 0:3 | 3 |

### გაცუდებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1 | თოთლაძე (ბათუმი) | 1 |

**გასულ ტურში**
19 გოლი
(საშუალოდ მატჩში 2.71)
27 ყვითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 3.85)
0 წითელი ბარათი

**ჩემპიონატში (63 მატჩი)**
147 გოლი
(საშუალოდ მატჩში 2.33)
255 ყვითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 3.57)
13 წითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 0.20)

საქართველოს
ჯგუფური რაუნდი. II ტური
დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშება
www.pfl.ge

**A ჯგუფი**

**სპარტაკი-ამერი**

**2:1**

23.10. გორი. თ. ბურჯანაძე
150 მაყურებელი

1:0 ჯანელიძე (17. ძარიას პასით), 2:0 ჩირიკაშვილი (57. ჯანელიძის პასით), 2:1 დიდავა (66)

სპარტაკი: ქვილითაია-ბახტურიძე, ქემოკლიძე, ხაჭიპერაძე, მამუკაშვილი-ხიდეშელი (88. ტატაევი), კუპრეიშვილი (69. კეტაშვილი), ჩირიკაშვილი, ძარია- გოგოხია, ჯანელიძე

*სათადარიგოები:* კოდალაევი, მედოევი, გოგოლაძე, დარბაიძე, თექთუმანიძე

ამერი: ქვაჩახია-ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დავითნიძე, კაკაშვილი-დოლიძე, მესხი (46. დეკანოსიძე), ბოლქვაძე (59. დავითაშვილი), ალავიძე (46. დიდავა)-ტატანაშვილი, გოცირიძე

*სათადარიგოები:* ნადირაშვილი, შალამბერიძე, ჯელაძე, კობაური

გაფრთხილება: ბოლქვაძე (58)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

## უგოლო სერია მოგებით შეწყდა

მართალია ქვეყნის ჩემპიონატში ოთხი თამაშია ცხინვალის „სპარტაკს" არც მოუგია და არც გოლი გაუტანია, მაგრამ სათასო მატჩში, სათასო გუნდად ცნობილ „ამერს" ორი გოლიც გაუტნა და სამი ქულაც მოიმკო.

ორივე გუნდის ფეხბურთელებმა მატჩის დასაწყისიდანვე მეტოქის კარის მისადგომებთან სივრცეების საძიებლად ენერგიული გარჯა დაიწყეს. „ამერი" სივრცის თვალსაზრისით უფრო ფართო დიაპაზონით უტევდა. აქტიურად იყვნენ თამაშში ჩართული ფლანგები და ცენტრში უმეტესწილ **დიმიტრი ტატანაშვილს** ირჩევდნენ შეტევის დამგვირგვინებლად, თუმცა ფორვარდმა მთელი მატჩის განმავლობაში ვერაფრით გამოიჩინა თავი. თავადაც ბევრი ხარვეზი ჰქონდა და მასპინძელმა მცველებმაც გასაქანი არ მისცეს. საერთოდაც „სპარტაკი" ძალიან კარგად იცავდა თავს. რისი მეოხებითაც სტუმართა იერიშები ძირითადად საჯარიმოს მისადგომებთან სრულდებოდა. ამავდროულად ვერაფერს ვიტყვით თბილისელ მცველთა უშეცდომობაზე. თუკი მეორე გოლი ანგარიშში ჩამორჩენილმა და მთელი გუნდით შეტევაზე გადართულმა „ამერმა" კონტრშეტევაზე მიიღო, პირველი გოლისას უკანახაზელთა სათანადო უყურადღებობის გამო დაისაჯნენ **გიორგი ჩიხრაძის** შეგირდები. უნდა აღინიშნოს გოლის ავტორის **დავით ჯანელიძის** კარგი თამაში. მან ძარიას პასი მიიღო, გასცდა მეურვეს და **ქვაჩახიასაც** აჯობა. ამ დღეს ცხინვალელთა შემტევმა შესაძლოა საუკეთესო შეხვედრაც ჩაატარა „სპარტაკში" ყოფნის პერიოდში.

„ამერი" ბევრს ეცადა შორეული დარტყმებით მაინც გასულიყო ფონს და მათი დარტყმები არაერთხელ სახიფათოც გამოდგა, თუმცა საბოლოოდ ეს საქმეს არ წაადგა. პირველ ტაიმში ამ მხრივ **დავით ბოლქვაძე** გამოირჩა, მეორე ნახევარში კი **გივი დიდავამ** სამჯერ „გაისროლა" **ქვილითაიას** კარისკენ. გოლიც სწორედ ამ გზით შეაგდო გამოცდილმა ამერელმა. თითქოს შეცვლაზე შემოსული ფეხბურთელებიც „მოუხდა" სტუმართა თამაშს, გარკვეული პერიოდი მობურთალნი ერთთავად „სპარტაკის" ნახევარზეც ტრიალებდნენ, ანგარიშში სხვაობის შეცვლამაც სტიმული შემატა მათ, მაგრამ "ამერს" მოგება არ ეწერა. შეხვედრის მიწურულს **სულიკო დავითაშვილმაც** ისეთი თავური ვერ შეაგდო, სხვა დროს ალბათ, უთუოდ რომ გაიტანდა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ დავით თავართქილაძესთან

# მიზანი ბათუმის გადარჩენაა

## პრეზიდენტობის ახალი კანდიდატი პრიორიტეტს ბათუმზე აკეთებს

25 ოქტომბერს აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება. რამდენიმე დღის წინათ, ამ პოსტზე მხოლოდ ერთი, სულხან გოგიბერიძის კანდიდატურა განიხილებოდა. თუმცა ცნობილი გახდა, რომ მას კონკურენტი გამოუჩნდა ყოფილი ფეხბურთელის, ამჟამად კი ბიზნესმენ დავით თავართქილაძის სახით. თუ რას მოიმოქმედებს გამარჯვების შემთხვევაში და რა იქნება მისთვის პრიორიტეტული, ამაზე თავად დავით თავართქილაძე ისაუბრებს.

- მეც ფეხბურთელი ვიყავი. თამაში „არდაგანში" დავიწყე, შემდეგ პირველ ლიგაში ხელვაჩაურის „კახაბერის" ღირსებას ვიცავდი, სპორტული კარიერა კი სოხუმის „დინამოში" დავასრულე. სამწუხაროდ, დიდი ფეხბურთი არ მითამაშია, მაგრამ ვგრძნობ, რომ შემიძლია ქართული ფეხბურთის განვითარებაში საკუთარი წვლილი შევიტანო და არჩევნებში მონაწილეობაც ამიტომ გადავწყვიტე.

**- ეს თქვენი სურვილით, თუ საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლების თხოვნით მოხდა?**

- დავიწყებ იმით, რომ სანამ ალექსანდრე ახვლედიანი აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი იყო, მანამდე ამ თანამდებობაზე არ მიფიქრია. როგორც კი გავიგე, რომ იგი საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას არ აპირებდა, გადავწყვიტე, ბედი მეცადა. მან ქართული ფეხბურთისთვის და კონკრეტულად ბათუმის „დინამოსთვის" ძალიან ბევრი გააკეთა და ამის გამო, მასთან კონკურენტობას არ ვაპირებდი. თუმცა ვითარება შეიცვალა...

**- ამბობენ, რომ თქვენი კონკურენტი სულხან გოგიბერიძე საფეხბურთო წრეების დიდი მხარდაჭერით სარგებლობს და პრეზიდენტობის უალტერნატივო კანდიდატად მოიაზრებაო...**

- როგორც ხედავთ, კონკურენციას ვუწევ, რაც შეეხება საფეხბურთო წრეების მხარდაჭერას, მერწმუნეთ, ჩემ გვერდითაც არიან ისეთები, ვისაც ქართულ ფეხბურთში სიტყვა ეთქმის.

**- რითი აპირებთ ფედერაციაში მოსვლას?**

- ფინანსებზე თუ მეკითხებით, მოგახსენებთ, რომ მაქვს ჩემი ბიზნესი, მყავს დიდი სამეგობრო, რომელიც მზად არის ქართულ ფეხბურთს დახმარების ხელი გაუწოდოს.

**- რა ბიზნესი გაქვთ?**

- ნავთობპროდუქტების გადაზიდვა.

**- კონკრეტულად, როგორ აპირებთ თქვენი კაპიტალის გამოყენებას?**

- დავიწყოთ სათამაშო მოედნით, რომელიც დღეს ბათუმის „დინამოს" და საერთოდ ქალაქს, არ გააჩნია, თუ არ ჩავთვლით „ადელის" სტადიონს. მაქვს იმის საშუალება, რომ ერთი კარგი სტადიონი, თავისი ბაზით ავაშენო. გარდა ამისა, ვაპირებ აჭარის რაიონებთან თანამშრომლობას. ვიცი, რომ იქ ბევრი ნიჭიერი ბავშვია და მზად ვარ, ისინი ბათუმში ჩამოვიყვანო. ისინი აქ ივარჯიშებენ და იცხოვრებენ. ყველაფერს ამას საკუთარი სახსრებით გავაკეთებ. თუმცა აქვე მინდა გითხრათ, რომ პრიორიტეტი ბათუმის „დინამო" იქნება. ასეთი დიდი ტრადიციების გუნდი, არ შეიძლება უკვალოდ გაქრეს. საქართველოში დღეს აღმოსავლური ფეხბურთი დომინირებს. ნახეთ, რა მდგომარეობაა დასავლეთში?! რა დაემართა ქუთაისის „ტორპედოს", ფოთის „კოლხეთს". ლანჩხუთის „გურიას"?!არ მინდა, ჩვენც მათ კვალს მივყვეთ. ამ ეტაპზე ჩემი მთავარი მიზანია, „დინამო" უმაღლესი ლიგიდან გავარდნას გადავარჩინო, შემდეგ კი ძველი ტრადიციები უნდა ალვადგინოთ.

**- გამარჯვების შემთხვევაში, ფედერაციის შემადგენლობაში თუ გეგმავთ ცვლილებებს?**

- არავითარ შემთხვევაში, პირიქით, ვითანამშრომლებ ყველასთან, ვინც კი ამის სურვილს გამოთქვამს. მინდა, ერთი დიდი ოჯახი შევკრა. დღეს საქართველოში ვეტერანი ფეხბურთელები, თითქმის მივიწყებული ჰყავს ყველას. ვაპირებთ მათი სახელობის ტურნირების დაწესებას და შეძლებისდაგვარად დავეხმარებით კიდეც.

**- თქვენმა კონკურენტმა განაცხადა, რომ დიდ მნიშვნელობას დაუთმობს მწვრთნელთა მომზადებას...**

- ეს ჩემს გეგმაშიც შედის. ვაპირებ, დავეხმარო კვალიფიკაციის ამაღლებაში. მსაჯობას შევთავაზებ ძველ ფეხბურთელებს და მათი თანხმობის შემთხვევაში, სერიოზულ მსაჯებად ჩამოყალიბებაში დავეხმარები. აგრეთვე, მინდა ქალთა ფეხბურთის განვითარებაც. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ექვსი ბათუმელი გოგონა საქართველოს ნაკრებში თამაშობს, მაინც ვერ დგას ქალთა ფეხბურთი აჭარაში სათანადო დონეზე.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

ავტორის ფოტო



დავით თავართქილაძე

ქართველი გულშემატკივარი პრეტენზიულია და სუბიექტურიცაა. ის ფეხბურთში უფრო ლამაზ ფინტებსა და "გრუზინულ" გადახვევებს უკრავს ტაშს და არის ამაში ლოგიკა.

თუმცა ასეთი ლამაზი ფეხბურთის სიყვარულში დაუმსახურებლად იჩაგრებიან ის ფეხბურთელები, ე.წ. "შავ სამუშაოს" რომ ასრულებენ, ისინი ყველაზე დაუფასებლები არიან. ასე იყო წლების წინათ, როდესაც ვიტალი დარასელია და თენგიზ სულაქველიძე მოედანს "ხნავდნენ", მეტოქეს არ ახარებდნენ და მაინც ჩრდილში მოექცნენ.

ასეა დღესაც, არადა, რომ დავუკვირდეთ, ისინი ყველაზე მეტად დასაფასებლები არიან, რადგან მათ გარეშე წარმატება წარმოუდგენელია.

ეს ყოველივე ზურაბ მენთეშაშვილმა გაგვახსენა, საქართველოს ნაკრების ყველაზე დაუფასებელმა მოთამაშემ. ის უკვე წლებია ეროვნული ნაკრების წევრია და ძნელი გასახსენებელია ეროვნულში მისი ჩაგდებულ თამაში.

ის ყოველთვის გამორჩეულად მონდომებული და შემართულია. სხვათა შორის, ბოლო დროს საქართველოს ნაკრების საუკეთესო შეხვედრებში გამორჩეული იყო, მაგალითად, უკრაინასთან კიევში და თბილისში შოტლანდიასთან. თუმცა ამ ბოლო შეხვედრაში მისი წვლილი ისევ და ისევ დაიჩრდილა. არადა, მან და ჯაბა კანკავამ მოედნის ცენტრში უდიდესი მოცულობის სამუშაო ჩაატარეს, რამაც ჩვენების გამარჯვებას საფუძველი ჩაუყარა.



ინტერვიუ ზურაბ მენთეშაშვილთან

# მწვრთნელის დავალება ასი პროცენტით პირველად შოტლანდიასთან შევასრულეთ

**-ზურა, ჯერ შოტლანდიის მატჩი გავიხსენოთ. 17 ოქტომბერს ხშირად ისმოდა "დედა რა იყოს ეს" და იქნებ, შენ აგვიხსნა, რა იყო?**

- ეს დღემდე მეც ვერ ამიხსნია. თუმცა მეორეს მხრივ ლოგიკურიც იყო. ჩვენ ძალიან ბევრი რამ შეგვიძლია, პირდაპირ დაწერეთ, ჩვენ მთებს გადავატრიალებთ, თუკი ერთსულოვნები ვიქნებით. ასე იყო შოტლანდიასთან.

**- მანამდე ერთსულოვნები არ ვიყავით?**

- რაღაც მაინც გვაკლდა და ამიტომაც ვერ ვაღწევდით ვერაფერს. ეს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით პირველი თამაში იყო, როდესაც ფეხბურთელებმა მწვრთნელის დავალება 100 პროცენტით შევასრულეთ.

**- მანამდე ვერ ასრულებდით?**

- რა თქმა უნდა, ვერ ვასრულებდით. შედეგებიდან არ ჩანდა?

**- გამოდის, ტოპმიოლერი წაგებებში არაფერ შუაში იყო?**

- ფეხბურთელები ხშირად ვცოდავდით. ტოპი მაგარია, ეს პირველად შოტლანდიასთან გამოჩნდა.

**- ნაკრებში მის დანიშვნიდან ორი წლის შემდეგ?**

- აბა, გუნდი ერთ დღეში როგორ აშენდება?

**- ნაკრებში სათამაშო დისციპლინა არ იგრძნობოდა, ერთმანეთის დაზღვევას ვერ ახერხებდით. და უცებ ესეც მოახერხეთ. სასიამოვნო იყო ასეთი ცვლილების ხილვა.**

- სათამაშო დისციპლინა ნაღდად არ იყო, ცხოვრებისეული დისციპლინა კი, მართალი რომ გითხრათ, არცაა საჭირო. შოტლანდიასთან ყველაფერი იყო. ჩვენ ვაჩვენეთ ის, რაც აქამდე არ გვქონდა. რატომ არ გვქონდა, არ ვიცი, რისი ბრალია.

მე ვთვლი, რომ ტოპმიოლერის მიღწევა ესაა, პირველად სათამაშო დისციპლინა დავიცვათ. ხომ გითხარით, აქამდე არც ერთ შეხვედრაში მწვრთნელის დავალება ასე არ შეგვისრულებია.

**- გინდა თქვა, რომ გუნდის შენება დაწყებულია?**

- დაწყებულია, აბა, რა არის, ნუთუ ეს შოტლანდიასთან არ გამოჩნდა? სათამაშო დისციპლინა, ერთმანეთის დაზღვევა და რაც მთავარია, ერთსულოვანი გუნდი ვიყავით!

**- სიმართლე გითხრა, დღემდე ვერ ამიხსნია, ნაკრების ფეხბურთელი ლატვიასა და რუსეთს როგორ ვერ გასცდი. საერთოდაც, დამეთანხმები, რომ ეროვნულის ფეხბურთელი ლატვიაში არ უნდა თამაშობდეს.**

- სიმართლე გითხრათ, ევროპის ძლიერ ქვეყანაში წასვლის შანსიც არ მქონია. ტრაბახით არ ვამბობ, უბრალოდ, მეც მგონია, რომ "ვენტსპილსზე" უკეთეს გუნდში თამაში შემიძლია. იქ რატომ ვთამაშობ, დღემდე ვერ ამიხსნია. უკვე დავილალე კიდეც ფიქრით, რატომ, რისთვის მოხდა ასე და ალარაფერს ველოდები. "ვენტსპილსის" ფეხბურთელი ვარ, იქნება რაიმე საინტერესო წინადადება? სიამოვნებით წავალ. თუ არავინ დაინტერესდება, მაშინ რა დამრჩენია, კარიერას ისევ იქ გავაგრძელებ.

**- კარგად გაგვარკვიე, ლატვიურმა კლუბმა გამოგისყიდა თუ დღემდე იაროსლავლის "შინიკს" ეკუთვნი?**

- დიახ, ლატვიაში რუსებმა გამანათხოვრეს. "შინიკის" მწვრთნელს, იურანს ჭკუა თუ აქვს, დამაბრუნებს. "შინიკი" პრემიერლიგაში დაბრუნდა, რუსეთში სიამოვნებით დავბრუნდებოდი.

**- იურანი განაწყენებით ახსენე თუ მომეჩვენა?**

- ის არაკაცია, არაფერი არ მოგჩვენებია.

**- რატომ ასეთი რადიკალური შეფასება?**

- იურანი "შინიკის" მთავარ მწვრთნელად რომ დანიშნეს, გუნდზე წარმოდგენა არ ჰქონდა. ჩემი ერთი თამაში და ერთი ვარჯიშიც არ ენახა და ისე გამიშვა. რატომ, რისი გულისთვის? ასე მარტო არაკაცები იქცევიან.

**- როგორც მახსოვს, შენი გამოშვება იმ დროს დაემთხვა, რუსეთში ქართველობას განსაკუთრებით რომ დევნიდნენ.**

- ესეც იყო, რადგან ბიჭებმა მითხრეს, იურანი ქართველებს ვერ იტანსო.

**- "შინიკში" დაბრუნებას გამორიცხავ?**

- არ ვიცი, რა მოხდება. ისე, თუ არ მეშლება, იურანს ხსნიდნენ. პრემიერლიგაში როგორც დააბრუნა "შინიკი" ეს ყველამ ვიცით. მასე მეც გადმოვიყვანდი. ახლა რას იზამს, ვნახოთ.

**- გამოდის, ისევ ლატვიაში ითამაშებ?**

- ასე უიმედოდაც არ ვარ.

**- ისე მიპასუხე თავიდან, რომ კინაღამ კითხვა გადავიფიქრე. არადა, გვითხრეს, შესაძლოა, ზამთარში გერმანიაში გადავიდესო. ეტყობა, არის ამ ინფორმაციაში სიმართლე.**

- ჯერ ვერაფერს ვიტყვი.

**- "ვენტსპილსში" დათო იმედაშვილი თამაშობს, მაგრამ ბოლო შეხვედრები შემადგენლობაში აღარ ჩანდა.**

- როგორც ვიცი, დათო გუნდიდან წავიდა. ჩამოსვლის შემდეგ, თამაშები ჩაატარა, მაგრამ საზარდულმა შეაწუხა და ტრავმის გამო ბოლოს ველარ ვარჯიშობდა.

ყველა მეკითხებოდა, დათო რატომ არ თამაშობსო. ჩვენი მწვრთნელი რომან გრიგორჩუკი ძალიან რთული ადამიანია. პირველი შეხვედრა რომ ჩავატარე, გაზეთში დაწერა, მენთეშაშვილი რომანტიკულ ფეხბურთს თამაშობსო. მერე ხუთი შეხვედრა ძირითადში აღარ მაყენებდა და ამის ნიადაგზე კონფლიქტი მოგვივიდა, ერთმანეთს მაგრად ვუყვირეთ. ამის შემდეგ მაგრად გამიკვირდა - კი არ გაიბუტა და ცხვირი აიბზუა, მასთან ურთიერთობა სწორედ ჩხუბის შემდეგ მოვაგვარე.

იმის თქმა მინდა, რომ ძალიან რთული ადამიანი და მწვრთნელია, ვერ გაუგებ, რა უხარია და რა სწყინს. ასეთ მწვრთნელთან შეწყობა რთულია, მით უფრო ჩვენთვის, ქართველებისთვის. მე მგონი, დათოსაც ამიტომ გაუჭირდა მასთან შეწყობა, მერე ტრავმა მიიღო და მითხრეს, წავიდაო. ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა, იჯარის ვადაც დაუმთავრდა და დარჩენას აზრი არც ჰქონდა.

**- დათო ჩალაძე არსად აღარ ჩანს. ფეხბურთს თავი დაანება?**

- კი, დიდი ხანია, შარშანდელი სეზონის შემდეგ აღარ თამაშობს, რიგაში ცხოვრობს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მიხეილ ძოძუაშვილთან

# მენთეშაშვილზე მოთხოვნა გაიზარდა

## ელიავამ ოპერაცია გაიკეთა

**საქართველო-ლატვიის 19-წლამდელთა მატჩს მიხეილ ძოძუაშვილიც ადევნებდა თვალს. ლატვიაში მოღვაწე ფიფას ლიცენზირებული აგენტი ქართველი ფეხბურთელების ტრანსფერებზე მუშაობს. ჩვენი საუბრის ძირითადი თემა, შოტლანდიასთან მატჩი და ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებისა თუ სხვათა სავარაუდო ტრანსფერები იყო. საუბარი კი ტრავმირებული ზაალ ელიავათი დავიწყეთ.**

- ზაალ ელიავამ ოთხი დღის წინათ რიგაში გაიკეთა ოპერაცია. ახლა უკეთაა, ერთ თვეში ვარჯიშის დაწყება შეეძლება, მაგრამ ლატვიაში მიმდინარე სეზონში ველარ ითამაშებს.

**- ელიავას მკლავის ამოვარდნა, ცოტა ხნის წინათაც ჰქონდა. ექიმები რას ამბობენ, რატომ ემართება ასე ხშირად?**

- ამჯერად ისე კარგად გაუკეთეს ოპერაცია, რომ ის აღარ შეაწუხებს. მას ბეჭში რკინა ჩაუდეს...

**- და ამ რკინით ითამაშებს?**

- დიახ. ოპერაცია ძალიან ცნობილმა სპეციალისტმა გაუკეთა და ამიერიდან მხარი აღარ შეაწუხებს.

**- ზაალს "სკონტოსთან" მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება კონტრაქტი?**

- არა, 9 თვის შემდეგ. ის სრულად გამოჯანმრთელდება, სარეაბილიტაციო პერიოდს გაივლის, "სკონტოში" აღიდგენს ფორმას და ამავე გუნდში ითამაშებს.

**- ტრავმამდე, მოსკოვის "ლოკომოტივსა" და "ტრაბზონში" მის გადასვლაზე იყო საუბრები...**

- დიახ, იყო, მაგრამ როცა კი მოლაპარაკებები დაიწყო, ზაალი დაშავდა. ასე ორჯერ მოხდა. მთავარია ახლა ის გამოჯანმრთელდეს და ფორმა აღიდგინოს.

**- ანუ ზამთრის პაუზისას ეს სატრანსფერო ვარიანტები ისევ ამოქმედდება?**

- დიახ, ამოქმედდება. ყველაფერი ელიავაზეა დამოკიდებული. ვნახოთ, თავად რამდენად მოგვცემს ტრანსფერის საბაბს, როგორ ფორმაში იქნება.

**- შოტლანდიელებთან მატჩში ზურაბ მენთეშაშვილმა ჩინებულად ითამაშა. მისადმი ინტერესი ხომ არ გაიზარდა?**

- დიახ, სწორედაც რომ ასეა. მის მიმართ დაინტერესება საგრძნობლად გაიზარდა. მოგეხსენებათ, ზურას რუსულ "შინიკთან" აკავშირებს კონტრაქტი და ახლა მთავარია იაროსლავლელებთან მოლაპარაკებებმა შედეგიანად ჩაიაროს. უკვე გადაწყვეტილია, რომ ახალი სეზონიდან "შინიკი" კვლავ რუსეთის პრემიერლიგაში იასპარეზებს და ბუნებრივია მათგან მოთხოვნა იქნება. "შინიკთან" უნდა დავილაპარაკოთ. კარგი იქნება, თუ ეს კლუბი მენთეშაშვილს ხელს არ შეუშლის.

**- თუ ვერ მორიგდით?**

- მაშინ ზურას "შინიკში" მოუწევს დაბრუნება. ის ახლა "ვენტსპილსში" იჯარის წესით ასპარეზობს და თუ იაროსლავლელებმა მოინდომეს მისი დაბრუნება, ფეხბურთელს კონტრაქტი აქვს და ჩვენ ვერაფერს ვიზამთ. თუმცა ყველანაირად შევეცდებით, რომ მენთეშაშვილმა კარგ უცხოურ კლუბში გააგრძელოს კარიერა.

**- რომელი კლუბები არიან მისით დაინტერესებულნი?**

- ამ ეტაპზე გუნდებს ვერ დაგისახელებთ, რადგან ამან შეიძლება საქმე გააფუჭოს და "შინიკთან" მოლაპარაკებები არ შედგეს ან უშედეგოდ დასრულდეს. იმისი თქმა კი შემიძლია, რომ მენთეშაშვილით რუსეთის, თურქეთისა და უკრაინის კლუბები არიან დაინტერესებულნი.

**- გამეზარდაშვილი "სკონტოში" დარჩება?**

- დიახ, მას კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს და "სკონტოს" მესვეურებსაც მოსწონთ ის.

**- ყარალანდის "შახტიორში" ხომ არ ვიხილავთ კიდევ ქართველ ფეხბურთელებს?**

- ჯერ ვნახოთ თავად რეზო ძოძუაშვილი დარჩება თუ არა. კლუბის ხელმძღვანელობას უნდა მისი დატოვება, მაგრამ მამაჩემი, კარგი გაგებით, ამბიციური მწვრთნელია. თუ მისი გუნდი სეზონის ბოლოს სამეულში მოხვდა და ევროტურნირზე საასპარეზო საგზური მოიპოვა, მაშინ დარჩება და ალბათ, ქართველი ფეხბურთელებითაც გააძლიერებს გუნდს.

**დავით ცაბაძე**



მიხეილ ძოძუაშვილი

ლეგიონერები

# ბოლო ლურსმანი მუჯირისაა



თემურ ქეცბაია

კვიპროსის A დივიზიონის დაწყებიდან სულ 6 ტურია გასული, თუმცა ორი კლუბი უკვე წინ გაიჭრა, "ომონია" და **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისი". ქართველი მწვრთნელის გუნდი მხოლოდ ქულით ჩამორჩება ლიდერს. "ანორთოსისმა" ბოლო ტურში **ბელიჩის** გოლით "ალკი" დაამარცხა - 1:0. 9 ქულით მეოთხე ადგილზეა **ლევან ქებაძის** "ეთნიკოსი", რომელიც "დოხას" ესტუმრა და 1:2 დამარცხდა. ვეტერანმა ფორვარდმა შეუცვლელად ითამაშა. **ლევან მაღრაძის** "აპოლონი" ჯერჯერობით მეცხრე ადგილზეა (7 ქულა). მისი გუნდის საგარეო მატჩი აპოელ-თან ჩაიშალა, მაშინ როცა მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ. კუნძულზე მხოლოდ ორი ქართველი ლეგიონერია.

ბელარუსის ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ბატე-მ მეოთხედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. **გია თოდუას** და **რომან გოგინაშვილის** "დინამომ" სტუმრად 2:1 მოუგო "დარიდას", რითაც მეათე ადგილზე აინაცვლა (24 ქულა). ჯერჯერობით ბრესტელებს თავი ქუდში არ აქვთ, რადგან გასავარდნ ზონას სულ ორი ქულით უსწრებენ. ბოლოსწინაზე **ალექსანდრე შუბლაძის** "დნეპრია". მოგილეველები სტუმრად "ნემანს" დაუზავდნენ - 0:0. ბრესტელთა სასტარტოში თოდუამ ითამაშა, ხოლო ტრავმამოშუშებულმა გოგინაშვილმა განაცხადში მოიპოვა ადგილი. თოდუას ორი კარგი შანსი ჰქონდა გოლის გატანისა - ერთხელ შემობრუნებით დაარტყა სახიფათოდ, მაგრამ ააცილა, მეორედ კი ქართველ ფორვარდს მეტოქის გოლკიპერმა აჯობა. 55-ე წუთზე გოგინაშვილმა თოდუა შეცვალა და მალევე მისი წყალობით სტუმრებმა გაათანაბრეს, 64-ე წუთზე გოგინაშვილი მცველმა საჯარიმოში წააქცია, პენალტი კი კაპიტანმა **სოკოლმა** გამოიყენა.

ყაზახეთის ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურიღა დარჩა, **რევაზ ძოძუაშვილის** "შახტიორი", რომელიც ამ ტურში არ თამაშობდა ჩემპიონობის თეორიულ შანსსღა ინარჩუნებს, ყარაღანდელებს 25 თამაშიდან 50 ქულით მესამე ადგილი უკავიათ. ამდენივე ქულა აქვს "ტობოლს", თუმცა ჩვენთვის ავადნაცნობ გუნდს მატჩით ნაკლები აქვს გამართული. 26 თამაშიდან 62 ქულით კი "აქტობე" ლიდერობს, რომელსაც ტიტულის მოპოვებაში სასწაული თუ შეუშლის ხელს. ქართველთა სხვა გუნდებს არც დაქვეითება ემუქრებათ და არც ევროთასებზე თამაში. **გიორგი მეგრელაძის** "ჟეტისუ" 42 ქულით მეხუთე ადგილზეა, **ზვიად ჯელაძის** "ვოსტოკს" 36 ქულა აქვს და მეშვიდეა, მას მოსდევს **გიორგი გოგიაშვილის** "კაისარი" (35 ქულა), მე-12 ადგილზეა **ზურაბ არჩვაძის** "ეკიბასტუზეცი" (29 ქულა). მეგრელაძის გუნდი სავარაუდოდ მომავალ ჩემპიონ "აქტობესთან" დამარცხდა - 0:2. მეგრელაძემ 90 წუთი ითამაშა. "ვოსტოკში" 90 წუთი ითამაშა ზვიად ჯელაძემ, კლუბმა კი "ატირაუ" 1:0 დაამარცხა. ზურაბ არჩვაძემაც შეუცვლელად ითამაშა, "ეკიბასტუზეცი" 1:1 დაუზავდა "ორდაბასის".

აზერბაიჯანის ჩემპიონატში ტური არ ყოფილა, გაიმართა მხოლოდ ორი გადადებული მატჩი. ჩვენთვის მხოლოდ ბაქოური დერბია საინტერესო - "ბაქომ" 5:1 გაანადგურა "ნეფთჩი". "ბაქოს" სასტარტო შემადგენლობაში **ალექსანდრე გოგობერიშვილი** იყო, 85-ე წუთზე კი **ამირან მუჯირიც** გამოჩნდა. ნეფთჩელი **გიორგი ადამია** კი მეორე ტაიმში ათამაშეს. მართალია, მუჯირმა მხოლოდ ხუთი წუთი ითამაშა, მაგრამ ანგარიშს და აზერბაიჯანული ფეხბურთის ფლაგმანის განადგურებას წერტილი მან დაუსვა, ბოლო წუთზე გატანილი გოლით. ადამიასაც შეეძლო გოლის გატანა, თუმცა მასპინძელთა მეკარემ იყოჩაღა. "ბაქო" ამ მოგებით მხოლოდ მეცხრე ადგილზე გადავიდა (9 ქულა), "ნეფთჩი" კი 17 ქულით მესამე დარჩა.

სომხეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში გოლი გაიტანა **გიორგი თიბილაშვილმა**, თუმცა მისმა გოლმა "განძასარი" "შირაქთან" სტუმრად გამართულ მატჩში მარცხისგან ვერ იხსნა - 1:2. "განძასარი" 35 ქულით მეხუთე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



რომან გოგინაშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩართე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის წინ

# მილანი ალესილია, ჩელსი დაღვრემილი...

## ვერდერი და ბენფიკა ბოლო შანსისთვის იბრძვიან

### A ჯგუფი

#### ბეშიქთაში-ლივერპული

საკუთარ მოედანზე, მარსელის "ოლიმპიკთან" განცდილი მოულოდნელი მარცხით, "ლივერპულმა" თავი ერთობ მძიმე მდგომარეობაში ჩაიგდო: **რაფა ბენიტესის** გუნდს ორი ტურის შემდეგ, მხოლოდ 1 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა. მერსისაიდელები დღეს თურქეთში, "ბეშიქთაშის" წინააღმდეგ ითამაშებენ და აღსანიშნავია, რომ თურქული კლუბიც დამშეულია, რადგან ორივე თამაში წაგებული აქვს. მასპინძლების მთავარი მწვრთნელი **ერთუგრულ საგლამი** დისკვალიფიცირებულია (წინა ტურში გააძევეს) და დღევანდელი მატჩისთვის თვალყურის დევნება ტრიბუნებიდან მოუწევს. აღსანიშნავია ისიც, რომ "ბეშიქთაშის" დამრიგებელს მთელი დღის განმავლობაში გუნდთან ერთად ყოფნა აკრძალული აქვს და თამაშის დროს ვერც გასახდელში შევა. სხვამხრივ კი, "ბეშიქთაში" კარგ ხასიათზეა, რადგან გასულ უქმეებზე "ტრაბზონს" 3:2 მოუგო (0:2-ს აგებდა).

პრემიერლიგის ბოლო ტურში მნიშვნელოვანი თამაში მოიგო "ლივერპულმაც" - ბენიტესის გუნდმა დერბიში "ევერტონი" დაამარცხა (2:1). მერსისაიდელებს დღეს გუნდის ნომერ პირველი გოლეადორი **ფერნანდო ტორესი** არ ეყოლებათ. როგორც იცით, ეს უკანასკნელი "ევერტონთან" შეხვედრის წინ დაშავდა და როგორც "ბი-ბი-სი" იტყობინება, დღევანდელი მატჩისთვის გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. ამრიგად, "ბეშიქთაშს" **დირკ კუიტისა** და **ანდრეი ვორონინის** დუეტი შეუტევს.

სავარაუდო შემადგენლობები

**ბეშიქთაში:** რუშთუ, ქურთულუში, იბრაჰიმი, თორამანი, ზანი, ტელო, ილმაზი, თანდოგანი, დელგადო, ე.სისე, ნობრე.

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, ფინენი, ჰიიპია, რიისე, ბენაიონი, მასკერანო, სისოკო, ჯერარდი, ვორონინი, კუიტი.

**მსაჯი:** კლაუს ბო ლარსენი (დანია).

#### მარსელი-პორტუ

2 თამაში 2 მოგება, აქედან ერთი ლივერპულში, 6 ქულა და პირველი ადგილი - თამამად შეიძლება ითქვას, რომ მარსელის "ოლიმპიკი" ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთი აღმოჩენაა. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ფრანგული კლუბებიდან წარმატებული მოლოდინისამებრ არა "ლიონი", არამედ სწორედ "მარსელია". ორიოდ კვირის წინათ, ლივერპულში მოპოვებული გამარჯვება **ერიკ გერეტსის** გუნდისთვის ისტორიული მოგება გახლდათ - "მარსელი" პირველი ფრანგული კლუბი გახდა, რომელმაც "ენფილდზე" იმარჯვა. *"ლივერპულთან ჩვენ პირველიდან ბოლო წუთამდე თავდაუზოგავად ვიბრძოლეთ და მეტოქეს ტაქტიკურადაც ვაჯობეთ,"* - აცხადებს "მარსელის" მცველი **ლორან ბონარი**. გერეტსის შეგირდები დღეს "პორტუს" მასპინძლობენ - გუნდს, რომელმაც "ლივერპულთან" ფრე გაახერხა, "ბეშიქთაშს" კი მოუგო და ახლა 4 ქულა აქვს.

კვირას, "ოლიმპიკმა" "ლანსს" **ზენდენის** გოლით მოუგო და გასავარდნი ზონა დატოვა. აი, "პორტუ" კი, პორტუგალიის პირველობაზე კვლავ ერთპიროვნული და მყარი ლიდერია. **ჟესუალდო ფერეირას** ბიჭებმა ზედიზედ მეშვიდე თამაში მოიგეს. ფრანგულ კლუბს დღეს ცენტრალური მცველი **ჟულიენ როდრიგესი** არ ეყოლება, რომელმაც "ლანსთან" მატჩის დროს ტრავმა მიიღო და ორკვირიანი იძულებითი შვებულება გამოიწერა.

სავარაუდო შემადგენლობები

**მარსელი:** მანდანდა, ბონარი, ზუბარი, ჟივე, ფატი, ზენდენი, შეირუ, კანა, ვალბუენა, ჯ. სისე, ნიანგი.

**პორტუ:** ნუნუ ესპირიტო, ბრუნო ალვეში, ჟოაო პაულო, ბოსინგვა, ფუჩილე, ასუნსაო, ლუჩო გონსალესი, რაულ მეირელეში, კუარეშმა, ლისანდრო ლოპესი, სეკტიუი.

**მსაჯი:** მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი).



ჯენარო გატუზო აუცილებლად იბრძოლებს, მაგრამ უშველის მარტო გატუზო მილანს?

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარსელი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 2. პორტუ | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. ლივერპული | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 4. ბეშიქთაში | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

### B ჯგუფი

#### რუსენბორგი-ვალენსია

"რუსენბორგს" მთელი აქცენტი ჩემპიონთა ლიგაზე აქვს გადატანილი, რადგან ეს გუნდი ნორვეგიის ჩემპიონატში ძალიან ცუდად გამოიყურება. სეზონის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე, "რუსენბორგი" მისთვის უჩვეულო, მე-6 ადგილზეა და გასულ უქმეებზე "ლილესტრიომთან" 1:4 განადგურდა. ჩემპიონთა ლიგაში კი, ამ გუნდს ჯერჯერობით, არაფერი დაუკარგავს: ნორვეგიულმა კლუბმა პირველ ტურში, ყველასთვის მოულოდნელად, ლონდონიდან ქულა წაიღო, სამაგიეროდ, მეორე ტურში "შალკესთან" დამარცხდა. თუმცა **კნუტ ტორუმის** გუნდი "ვალენსიასთან" მაინც აუტსაიდერად მიიჩნევა.

**კიკე სანჩეს ფლორესის** სამწყსო ვალდებულია, გამარჯვებისთვის იბრძოლოს, რადგან უშუალო კონკურენტმა "შალკემ" რუსენბორგიდან უკვე წაიღო 3 ქულა და ამდენად, "ღამურებს" ამ გუნდთან, უახლოეს ორ თამაშში, ორი ან მეტი ქულის დაკარგვის უფლება არა აქვთ. შეგახსენებთ, რომ "ვალენსიას" **დავიდ ვილია** არ ჰყავს. ეს უკანასკნელი ლაზარეთშია.

სავარაუდო შემადგენლობები

**რუსენბორგი:** ჰირშფელდი, კოპინენი, ბასმა, დორსინი, შტრანდი, რისეტი, სკიელბერგი, ტეტეი, საპარა, ტრაორე, ივერსენი.

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, ალბიოლი, ელგერა, მორეტი, ხოაკინი, ალბელდა, ბარახა, გავილანი, დავიდ სილვა, მორიენტესი.

**მსაჯი:** კრეიგ ტომსონი (შოტლანდია).

#### ჩელსი-შალკე

ჯგუფის ლიდერი "ჩელსი" "შალკეს" მასპინძლობს. მართალია, "არისტოკრატებმა" გასულ უქმეებზე "მიდლსბროს" 2:0 მოუგეს, მაგრამ გუნდში მაინც დაძაბული ატმოსფეროა, რაზეც "ჩელსის" თავდამსხმელმა **დიდიე დროგბამ** გულახდილად ისაუბრა. *"გუნდში რაღაც ხდება, მდგომარეობა ძალიან შეცვლილია. გასახდელში ყველანი რაღაცნაირად უხასიათოდ ვართ,"* - განაცხადა დროგბამ და იქვე დაამატა, არ გამოვრიცხავ, რომ "ჩელსიდან" წავიდეო. მართალია, მერე დროგბამ ბოდიში მოიხადა, ახლა ასეთი განცხადების გაკეთების დრო ნამდვილად არ იყოო, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. არის თუ არა "ჩელსის" დაღვრემილობა "შალკეს" შანსი? ფაქტი ის გახლავთ, რომ **მირკო სლომკას** ლონდონიდან 1 ან 3 ქულის წაღება არ დაუგეგმავს, რადგან თავიდანვე იცოდა, რომ მისი გუნდი "სტემფორდ ბრიჯზე" აუტსაიდერი იქნებოდა, მაგრამ რაკი მეტოქე გუნდში დაძაბულობაა, ტრავმირებული **ლევან კობიაშვილის** გუნდს შეუძლია ამით ისარგებლოს.

დროგბას ნათქვამს ისიც ემატება, რომ "ჩელსის" დღეს ტრავმირებული **ეშლი კოული** და **ჯონ ტერი** არ ეყოლება. ლაზარეთშია **სალომონ კალუც**. კოულს და ტერის **ალექსი** და **უეინ ბრიჯი** შეცვლიან. არადა, ეს უკანასკნელი ცუდ ფორმაშია (ამ სეზონში მოედანზე მხოლოდ 25 წუთი აქვს გატარებული). "მიდლსბროსთან" კოული, დაცვის მარცხენა ფლანგზე, **პაულო ფერეირამ** შეცვალა, მაგრამ ამ ამოცანას თავი ვერ გაართვა - ფერეირა ხომ მარჯვენა მცველია და არცაა გასაკვირი, მარცხნივ არაფერი რომ არ გამოუვიდა.

*"ჩემპიონთა ლიგაში საკმაოდ ცუდი სტარტი ავიღეთ, მაგრამ "რუსენბორგთან" მოულოდნელი ფრის კომპენსირება ვალენსიაში შევძელით,* - ამბობს დროგბა, - *ახლა, "შალკესან" ორი მატჩი გველის და დარწმუნებული ვარ, რომ ამ ორი მატჩის მოგება ძალიან გაგვიჭირდება. "შალკემ" "რუსენბორგს" სძლია და ამდენად, ჩვენთვის მერვედფინალში გასვლა-არგასვლის საკითხი სწორედ ამ გუნდთან შეხვედრებმა უნდა გადაწყვიტოს. "რუსენბორგთან" 30 საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ ვერ მოვიგეთ, "ვალენსიასთან" კი მხოლოდ სამი მომენტი შევქმენით, მაგრამ ამ გუნდთან სამი ქულა მოვიპოვეთ. აი, ასეთია ფეხბურთი."*

სლომკას, როგორც იცით, სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. კობიაშვილის გარდა, დღეს თამაშს ვერც **ჰალილ ალთინთოფი**, **გუსტავო ვარელა**, **მესუთ იოზილი**, **კრისტიან პანდერი** და **მათიას აბელი** მოახერხებენ. სამაგიეროდ, გელზენკირხენულ კლუბს ცენტრალური მცველი **მლადენ კრსტაიჩი** გამოუჯანმრთელდა. ოღონდ, ჯერ კიდევ უცნობია, გარისკავს თუ არა სლომკა ფორმაში არ მყოფი მცველის სასტარტო შემადგენლობაში გამწესებას.

სავარაუდო შემადგენლობები

**ჩელსი:** ჩეხი, ბელეტი, რ. კარვალიო, ალექსი, ბრიჯი, ჯ. კოული, ესიენი, ლემპარდი, ობი მიკელი, მალუდა, დროგბა.

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ბორდონი, ვესტერმანი, დ. როდრიგესი, ფ. ერნსტი, ჯონსი, გროსმიულერი, რაკიტიჩი, ლოვენკრანდსი, კურანი.

**მსაჯი:** პეტერ ფრიოდფელდტი (შვედეთი).

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 2. ვალენსია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3. შალკე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 4. რუსენბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |

### C ჯგუფი

#### ვერდერი-ლაციო

თუკი "ვერდერისთვის" "რეალთან" განცდილი მარცხი (პირველ ტურში) საპატიო იყო, ბრემენული კლუბის გულშემატკივრებმა "ოლიმპიაკოსთან" საკუთარ მოედანზე წაგება ველარ აიტანეს და "მუსიკოსები" სტვენით აავსეს. ამრიგად, **თომას შააფის** გუნდს უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვს და დღეს, "ლაციოსთან" მატჩში ვალდებულია, თავიდანვე შეუტიოს და მხოლოდ გამარჯვებაზე იფიქროს. *"ჩვენ მეტოქეს პირველივე წუთიდან უნდა ვაგრძნობინოთ, რომ "ვეზერშტადიონიდან" ხელცარიელები უნდა გაბრუნდნენ,"* - აცხადებს "ვერდერის" ნახევარმცველი **ტიმ ბოროვსკი**. "ვერდერს" ზურგს ბუნდესლიგაში გამოსწორებული მდგომარეობა უმაგრებს - ბრემენელებმა გერმანიის პირველობაზე ბოლოს ზედიზედ სამი თამაში მოიგეს. "ლაციომ" გასულ უქმეებზე სტუმრად "ლივორნო" დაამარცხა (1:0) და ეს გახლდათ პირველი გამარჯვება გასვლით მატჩებში ბოლო 200 დღის განმავლობაში. ევროტურნირებზე კი, **დელიო როსის** სამწყსოს ექვსთამაშიანი მოუგებელი სერია აქვს.

"ვერდერის" გენერალური მენეჯერის, **კლაუს ალოფსის** თქმით, ამ თამაშის მოგება აუცილებელია და თუ ისტორიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ბრემენული კლუბი ამაზე მძიმე სიტუაციიდანაც გამომძვრალა. 2005/06 წლების სეზონში, "ვერდერმა" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ სამ ტურში მხოლოდ 1 ქულა აიღო (0:2 "ბარსელონასთან", 1:2 "პანათინაიკოსთან" და 1:1 "უდინეზესთან"), მაგრამ თუ გახსოვთ, "მუსიკოსები" იმ ჯგუფიდან მაინც გავიდნენ. ბოროვსკი ოპტიმისტად რჩება და დარწმუნებულია, რომ მიუხედავად ორი წაგებისა, "ვერდერი" ამ ჯგუფიდანაც გავა. აღსანიშნავია, რომ შააფს, რომელმაც წინა კვირაში "ვერდერთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა, საკადრო პრობლემები აქვს: **კლემენს ფრიტცისა** და **უგო ალმეიდას** თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა.

*"რეალთან" ჩვენ შესანიშნავად ვიასპარეზეთ. მერე რა, რომ ორ თამაშში მხოლოდ 2 ქულას მოვუყარეთ თავი - თუ ასე გავაგრძელებთ, ჯგუფიდან აუცილებლად გავალთ. "ვერდერი" იძულებულია, შემოგვიტიოს, რაც ჩვენ იმის შანსს გვაძლევს, რომ მეტოქე კონტრშეტევებზე გამოვიჭიროთ,"* - აცხადებს რომაელთა გოლეადორი **ტომაზო როკი**.

სავარაუდო შემადგენლობები

**ვერდერი:** ვიზე, კ. ფრიტცი, ნალდო, მერტეზაკერი, პასანენი, ფრინგსი, იენსენი, ბოროვსკი, დიეგო, უგო ალმეიდა, სანოგო.

**ლაციო:** ბალოტა, ბეჰრამი, კრიბარი, სტენდარდო, ძაური, მანფრედინი, მაური, მუდინგაი, მუტარელი, პანდევი, როკი.

**მსაჯი:** ოლეგარიო ბენკერენსა (პორტუგალია).

#### რეალი-ოლიმპიაკოსი

"რეალისა" და "ოლიმპიაკოსის" სახით, ერთმანეთს C ჯგუფში პირველ და მეორე ადგილზე მყოფი გუნდები უპირისპირდებიან. მადრიდულმა კლუბმა გასულ უქმეებზე მიმდინარე სეზონში პირველი მარცხი იგემა (1:2 "ესპანიოლთან") და იმ შეხვედრაში **ბერნდ შუსტერის** სამწყსოში ყველაზე სუსტი **კრისტოფ მეტცელდერი** გახლდათ. მიუხედავად ამისა, "რეალი" პრიმერადივიზიონში მაინც პირველ ადგილზეა. მადრიდელებს ჩემპიონთა ლიგაშიც ერთპიროვნული ლიდერობა სურთ და ამისათვის, მათ დღეს "ოლიმპიაკოსის" დამარცხება მოუწევთ. **ტაკის ლემონისის** გუნდმა წინა ტურში, ყველასათვის მოულოდნელად, "ვერდერს" ბრემენში მოუგო და "რეალის" დარად 4 ქულა აქვს. შუსტერისთვის სერიოზული საკადრო პრობლემაა ის, რომ **არიენ რობენმა** მძიმე ტრავმა მიიღო და ექვსკვირიანი იძულებითი პაუზა გამოიწერა. ამას თან ისიც დაერთო, რომ ტრავმირებულია **გაბრიელ ჰაინცეც**, რომელიც ლაზარეთში სამ კვირას დაჰყოფს.

სავარაუდო შემადგენლობები

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, მეტცელდერი, კანავარო, მარსელო, მ. დიარა, იგუაინი, გუტი, სნეიდერი, ვან ნისტელროი.

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, დომი, რაულ ბრავო, ანცასი, ტოროსიდისი, პაცაცოგლუ, ჯორჯევიჩი, სტოლტიდისი, გალეტი, კრისტიან რაულ ლედესმა, ლუა ლუა.

**მსაჯი:** ტომ ჰენინგი (ნორვეგია).

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 2. რეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 3. ლაციო | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 4. ვერდერი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |

### D ჯგუფი

#### ბენფიკა-სელტიკი

ლისაბონის "ბენფიკა" ჯერაც უქულოდაა. ამრიგად, თუკი **ხოსე ანტონიო კამაჩოს** შეგირდებს ჯერ კიდევ სურთ მერვედფინალში გასვლა, დღეს გლაზგოს "სელტიკი" საკუთარ "და ლუჟზე" აუცილებლად უნდა დაამარცხონ. პორტუგალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში, "ბენფიკამ" "ლეირია" 2:1 დაამარცხა (გამარჯვების გოლი **ნუნუ გომეშმა** გაიტანა) და წაუგებლად ასპარეზობს. "სელტიკს" კი, შაბათს დიდი დერბი ჰქონდა "რეინჯერსთან", რომელიც **გორდონ სტრაჩანის** შეგირდებმა 0:3 დათმეს. "ბენფიკასთან" სტრაჩანს სამი ფეხბურთელი დააკლდება: **სტივ მაკმანუსი**, რომელიც დერბიში დაშავდა, **იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი** და **პოლ ჰარტლი**.

სავარაუდო შემადგენლობები

**ბენფიკა:** კუიმი, ლეო, ლუიზაო, ნელსონი, ედკარლუში, კაცურანისი, პერეირა, დი მარია, რუი კოშტა, კ. როდრიგესი, ნუნუ გომეში.

**სელტიკი:** ბორუცი, ო'დი, კოლდუელი, უილსონი, ნეილორი, იაროშიკი, ნაკამურა, სნო, მაკგიდი, დონატი, მაკდონალდი.

**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია).

#### მილანი-შახტარი

რა სჭირს "მილანს"? ეს კითხვა მთელს საფეხბურთო იტალიაში ძალიან აქტუალურია. "როსონერიმ" გლაზგოში განცდილი მარცხის შემდეგ, გასულ უქმეებზე, სერია A-შიც მორიგი თამაში წააგო - ამჯერად ერთ-ერთ უსუსტეს "ემპოლისთან", თანაც საკუთარ "სან სიროზე", 50 000 მაყურებლის თვალწინ. **კარლო ანჩელოტის** გუნდი მე-11 ადგილზეა. დღეს გამოჯანმრთელებული **კახა კალაძის** გუნდი ჯგუფის ლიდერ "შახტარს" მასპინძლობს - გუნდს, რომელმაც ორივე თამაში მოიგო და მეტიც: გოლიც კი არ გაუშვია. ანჩელოტი დღეს მარცხენა მცველ **მარეკ იანკულოვსკის** ვერ დაიხმარს - ეს უკანასკნელი "ემპოლისთან" დაშავდა. ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, ჩეხი ლაზარეთში სამ კვირას დაჰყოფს. ამრიგად, დღეს მთელი იტალია "მილანის" გამოღვიძებას ელოდება. *"დროა, გონს მოვეგოთ და ისეთი შედეგები ვაჩვენოთ, რასაც ჩვენგან გულშემატკივრები მოელიან. "შახტართან" თითოეული ჩვენგანი უაღრესად მოტივირებული იქნება,"* - ამბობს **ჯენარო გატუზო**.

სავარაუდო შემადგენლობები

**მილანი:** კალაჩი, ოდო, ნესტა, კალაძე, მალდინი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ფ. ინძაგი (ან ჯილარდინო).

**შახტარი:** პიატოვი, ჰუბშმანი, კუჩერი, შევჩუკი, ჩიგრინსკი, ფერნანდინიო, ჟადსონი, ილსინიო, ვილიანი, ბრანდაო, ლუკარელი.

**მსაჯი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი).

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 2. სელტიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 3. მილანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. ბენფიკა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერები

# იუვენტუსი: ლემპარდი და უკვე დროგბაც?

## ფრენკს წასვლა კი უნდა, მაგრამ ხელფასის შეკვეცას უნდა შეურიგდეს. დროგბას აგენტმა იუვენტუსი ახსენა...

"იუვენტუსმა" **ფრენკ ლემპარდის** ტრანსფერზე მუშაობა განაახლა. იტალიური სააგენტოების ცნობით, "ზებერი ქალბატონის" სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** ამჟამად ლონდონშია და "ჩელსის" აღმასრულებელ დირექტორ **პიტერ კენიონს** ხვდება. "სტემფორდ ბრიჯზე" მან ახალი წინადადება ჩაიტანა. **ჟოზე მოურინიოს** წასვლამ, შეიძლება, შეუქცევადი პროცესები გამოიწვიოს. ლემპარდი ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც გუნდის ახალ ხელმძღვანელობასთან საერთო ენის გამონახვა უჭირს. **დიდიე დროგბამ** უკვე ღიად დააფიქსირა თავისი პოზიცია, განაცხადა რა, რომ "არისტოკრატებში" მხოლოდ ზაფხულამდე გაჩერდება. ის ფაქტი, რომ ლემპარდს "ჩელსისთან" ახალი კონტრაქტი არ გაუფორმებია, იმის ნიშანი უნდა იყოს, რომ მასაც წასვლაზე უჭირავს თვალი.

"იუვენტუსმა" მას სეზონის დაწყებამდეც შესთავაზა სარფიანი (თუმცა არა ისეთი, როგორსაც თავად "ჩელსი" სთავაზობს ახალი ხელშეკრულების სახით) წინადადება, მაგრამ პირველი ცდა წარუმატებელი გამოდგა. იმედოვნებდნენ, რომ ლემპარდისთვის გადამწყვეტი ფაქტორი იქნებოდა "იუვეში" მისი ყოფილი მწვრთნელის **კლაუდიო რანიერის** დანიშვნა. ცნობისთვის, რანიერი ის კაცია, ვინც 2001 წელს ლემპარდი "ვესტ ჰემიდან" "ჩელსიში" გადაიყვანა...

ფრენკის მოქმედი კონტრაქტი 2009 წლის ზაფხულში იწურება. ფიფას ახალი წესების თანახმად, 29 წლის ნახევარმცველს საკუთარი ტრანსფერის გამოსყიდვის უფლება აქვს. თუ ლემპარდს "იუვენტუსის" ვარიანტი ჭკუაში დაუჯდა, მას ჯიბის შეთხელებაზეც მოუწევს დათანხმება. ახლა, ის "ჩელსიში" წლიურად 4.2 მილიონ გირვანქას იღებს, ტურინში კი 3.4 მილიონს გადაუხდიან.

როგორც ჩანს, რანიერის ახლა ყველაზე მეტად ნახევარდაცვის პრობლემა აღელვებს. **სერხიო ალმირონი და ტიაგო მენდეში** გუნდს ვერ შეეწყვნენ. ეს უკანასკნელი "სინიორასთან" განშორებას უკვე იანვარში აპირებს და არც კლუბია მისი გასხვისების წინააღმდეგი. ტიაგოს ესპანეთში სურს თამაში. თუმცა, ბოლო ინფორმაციით, მისი გადაბირებით "ფიორენტინა" ყოფილა დაინტერესებული. ოღონდ, "ვიოლა" მხოლოდ იმ თანხის ნახევარს გაიღებს, რაც "იუვენტუსმა" "ლიონს" გადაუხადა. საუბარია 3.5 მილიონ გირვანქაზე. საეჭვოა, "ბიანკონერი" ამაზე დათანხმდეს. თუმცა ტიაგოს გაყიდვა მაინცდამაინც ლემპარდის ტრანსფერზე არ უნდა იყოს მიბმული. შეიძლება, "იუვემ" წააგოს ახლა, მაგრამ ლემპარდის მოყვანით მომავალში მოიგოს...




რანიერი და ლემპარდი, ერთ დროს ჩელსიში. ახლა იუვეში?

■ ■ ■

ამასობაში, **დიდიე დროგბას** აგენტმა საინტერესო ინფორმაცია გაამხილა. **ეტიენ მენდის** თქმით, მისი კლიენტი "მილანში" ან "იუვენტუსში" გადასვლის ვარიანტებს განიხილავს. დროგბათი "მილანის" დაინტერესების თაობაზე ამასწინათ გაცნობეთ, "იუვე" კი ამ კომპოტში ახალი ხილია. აი, რას ამბობს მენდი "სქაი სპორტთან" ინტერვიუში:

*"არავისთვისაა დასამალი, რომ დიდიეს "მილანი" მოსწონს. მაგრამ ჩვენ აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში სხვა იტალიური გრანდების სურვილებიც, პირველ რიგში, ეს "იუვენტუსს" ეხება. ყველამ იცის, რომ დროგბა "ჩელსიში" თავს ბედნიერად ვერ გრძნობს, როგორც ეს მოურინიოს დროს იყო. მაგრამ დიდიე ჭეშმარიტი პროფესიონალია და იცის, რომ მწვრთნელზე მიბმული არ უნდა იყოს. თუ ის "ჩელსის" დატოვებს, ან სერია A-ში წავა ან პრიმერა დივიზიონში".*

თუ ასეა საქმე, ალესიო სეკო ალბათ შანსს ხელიდან არ გაუშვებს და პიტერ კენიონთან შეხვედრისას ამ საქმითაც დაინტერესდება. ვნახოთ, რით დასრულდება ახალგაზრდა ტურინელი ჩინოსნის ლონდონური ვოიაჟი.

### პანდევს ლივერპული გამოუჩნდა

"ლივერპული" "ლაციოს" შემტევ ნახევარმცველ **გორან პანდევს** აკვირდება. ამ ფეხბურთელმა "ბაიერნის" ყურადღებაც მიიპყრო. მიუნხენელთა დაინტერესების ამბავი **პაულ ბრაიტნერმა** გვაუწყა. ის გერმანული გიგანტის მთავარი სკაუტია. მაკედონიელ ლეგიონერს რომაული კონტრაქტი 2009 წლის ივნისში ეწურება. გაისად ზაფხულში მას ადვილად შეეძლო ხელშეკრულებაში დარჩენილი ერთი წლის გამოსყიდვა. გასულ ზაფხულს "პორტსმუთმა" "ბიანკონერესტეს" ფეხბურთელის სანაცვლოდ 17 მილიონი გირვაქაც კი შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. დღესავით ნათელია, რომ სეზონის ბოლოს ფეხბურთელი ამ თანხის ნახევარიც კი არ ეღირება. მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ მხარეებს კომენტარები არ გაუკეთებიათ.

### ინტერი დუბაიში გამოიზამთრებს

"ინტერი" ზამთრის არდადეგების ერთ ნაწილს მზიურ დუბაიში გაატარებს. 2008 წლის იანვარში არაბთა გაერთიანებული საემიროები **მოჰამედ ბინ რაშიდის** სახელობის ტურნირს უმასპინძლებს. გათამაშებას უცნაური სახელი ჰქვია: დუბაის ჩემპიონატი ფეხბურთში. "ინტერი" მიწვევას მაშინვე დათანხმდა. მილანელთა აღმასრულებელი დირექტორი **ერნესტო პაოლილო** ამბობს, რომ ევროპის სუსხიანი ზამთრიდან სითბოში მოხვედრა მოთამაშეებს დიდად წაადგებათ. ისინი სეზონის მეორე ნახევრისათვის იდეალურად მოემზადებიან. "ინტერის" გარდა დუბაის ჩემპიონის ტიტულისათვის საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი, ბრაზილიური "ინტერნასიონალი" და "აიაქსი" იბრძოლებენ. მეოთხე კლუბის ვინაობა უახლოეს მომავალში გაირკვევა. თამაშები 5 და 7 იანვარს გაიმართება.

### ავსტრალია vs ნიგერია ლონდონში

17 ნოემბერს ავსტრალია ნიგერიას ამხანაგურად შეხვდება. მატჩი ნეიტრალურ ტერიტორიაზე, ლონდონში გაიმართება. მას ბრიტანეთის დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მოცუცქნული სტადიონი, "ქრევენ კოტიჯი" უმასპინძლებს. მოგეხსენებათ, ეს "ფულჰემის" სტადიონია. აფრიკელებს ფიფას რეიტინგში 23-ე ადგილი უჭირავთ. ისინი ოკეანელებს 25 საფეხურით აღემატებიან. ავსტრალია აზიის წლევანდელ თასს მეოთხედფინალში გამოეთიშა. თებერვალში ის 2010 წლის მუნდიალის შესარჩევ ტურნირს დაიწყებს. ნიგერიასთან შეხვედრა ფაქტობრივად გენერალური რეპეტიცია იქნება.

### ამერიკა გალაქტიკოების მოლოდინში

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ MLS-ის მომავალ სეზონში **დევიდ ბექჰემი** ოკეანის გაღმა გადახვეწილი ერთადერთი გალაქტიკო არ იქნება. სულ უფრო ხშირად გაიგონებთ, რომ ამერიკული კლუბები სახელგანთქმულ ევროპელ და სამხრეთამერიკელ ვარსკვლავებს აკვირდებიან და სარფიან კონტრაქტებს უმზადებენ. გავლენიანი გაზეთი "ვაშინგტონ პოსტი" იუწყება, რომ დედაქალაქურმა "დი სი იუნაიტედმა" არგენტინელი ვეტერანი **ხუან სებასტიან ვერონი** ამიღო მიზანში. ლოს ანჯელესის "ჩივას იუ ეს ეის" კი ბრაზილიელი **რონალდო** სურს. კლუბების ხელმძღვანელებს კომენტარები არ გაუკეთებიათ. ორიოდე დღის წინ "ინტერის" ვეტერანმა ვარსკვლავმა **ლუიშ ფიგუმ** განაცხადა, თუ გაისად ამერიკიდან სარფიან წინადადებას მივიღებ, თამაშს გავაგრძელებ, თუ არადა, აქტიურ სპორტს ჩამოვშორდებიო.

ძველი წყენა

# ეს სირცხვილია!

## როგორ ექცევა ინტერი თავის ფეხბურთელებს. ვიერი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ. ადრიანოს პრობლემებიც ბოსების ბრალიაო...



კრისტიან ვიერი ინტერს უჩივის

როგორც ჩანს, **კრისტიან ვიერის** "ინტერში" ყოფნისას მიღებული "ტრავმა" ჯერ არ მოუშუშებია. თავის დროზე, მან საკუთარი სატკივარი პრესას უკვე გაუზიარა. ახლა მეორე სერია იწყება. ვიერი "ნერაძურის" ბოსებს ფეხბურთელებისადმი უღირს დამოკიდებულებაში ამხელს. "ინტერში" ის ექვს წელიწადი თამაშობდა. ამ პერიოდში "ბობომ" 190 მატჩი ჩაატარა და 123 გოლი გაიტანა. 2005 წელს, "მილანში" გადასვლით, მან ერთგვარად შური იძია ყოფილ კლუბზე, რომელიც მის მიმართ, თურმე, შპიონაჟსა და სატელეფონო მოსმენებს ახორციელებდა.

*"სიმართლე მალე გაირკვევა და ბოლოს ყველა გაიგებს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. ახლა არ არის იმის დრო, რომ საქმეზე კონკრეტულად ვისაუბროთ, ჩემი ადვოკატები მუშაობენ და ისინი მალე დადებენ მასალებს. ეს არის სირცხვილი, რომელიც ხალხმა უნდა იცოდეს. მაქვს დოკუმენტები, რომელსაც ყველა ნახავს. არ არსებობს არანაირი საფუძველი, რომ "ინტერი" თავის ფეხბურთელებს ასე ეპყრობოდეს"* - ამბობს ვიერი "სქაი სპორტთან" ინტერვიუში.

შემდეგ, ის "ინტერში" გატარებულ რთულ წლებს იხსენებს: *"ვფიქრობ, "ინტერში" კარგად ვთამაშობდი, თავი არ დამიზოგავს... გოლებიც გამქონდა, საწვრთნელ პროცესშიც ყველაფერი ნორმალურად იყო... თუმც იმ წლებში ვერაფერი მოვიგეთ და მიზეზი ის გახლდათ, რომ მაშინ სხვა გუნდები უფრო ძლიერები იყვნენ".*

ბოლოს, ვიერიმ **ადრიანოც** ახსენა. "ბობომ" ბრაზილიელ ფორვარდს მხარდაჭერა გამოუცხადა. ის მიიჩნევს, რომ ადრიანოს პრობლემებიც "ინტერის" ბოსების მიერაა ინსპირირებული:

*"შეხედეთ ადრიანოს, დიდ ფეხბურთელებს კლუბში პრობლემები აქვთ. და იცით რატომ? იმიტომ, რომ ეს კლუბი თავის მოთამაშეებს არ იცავს, არ ზრუნავს მათზე. თავიდან, გაჩვენებენ, რომ უყვარხართ, მერე ეზიზღებით, მერე ისევ უყვარხართ... და "ინტერში" ყოველთვის ასე ხდება. იმიტომ, რომ ეს ამ კლუბის პოლიტიკაა".*

ივნისში იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ვიერის განცხადებებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო, თუმცა "ინტერს" ბრალეულობა ვერ დაუმტკიცა. სხვათა შორის, საქმე დახურული არ არის...



პაველ ნედვედი უფრო მეტს იმსახურებდაო

ინციდენტი

# ნედვედი მხოლოდ ორი მატჩით

## ჩეხი ვეტერანი ინტერთან პრინციპულ მატჩს არ გამოტოვებს

კვირას "იუვენტუსმა" "ჯენოას" უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით მოუგო. თამაშის მიწურულს უსიამოვნო ინციდენტი მოხდა. **პაველ ნედვედმა** მეტოქის ფეხბურთელს სახეში იდაყვი ჩასცხო. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ ჩეხი ლეგიონერი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. მიმომხილველებმა გაკვირვება ვერ დამალეს. ნედვედის უხეშობა იმდენად აშკარა და ბოროტად განზრახული იყო, რომ გაცილებით მკაცრ სასჯელს იმსახურებდა. პაველი მომავალ უქმეებზე "ნაპოლისთან" გასვლით შეხვედრას გამოტოვებს. მომავალ ოთხშაბათს ის ვერც ემპოლიში გაემგზავრება. სამაგიეროდ, ორი ტურის შემდეგ, "ინტერთან" უპრინციპულეს მატჩში ითამაშებს. გასულ ზაფხულს მილანელებს ნედვედთან კონტრაქტის გაფორმება სურდათ. "ინტერი" "იუვეს" მოსისხლე მტერია. 2006 წლის ზაფხულში, როცა ტურინელები ქვედა დივიზიონში მიაბრძანეს, მათი სკუდეტო "ნერაძურის" ერგო. "ინტერი" ჩემპიონატის ლიდერია. "იუვენტუსს" მეორე ადგილი უკავია. 4 ნოემბერს ტურინელი მაყურებელი გრანდებისა და რაც მთავარია, ლიდერების მატჩს ნახავს. "ზებერი ქალბატონის" ერთ-ერთი ლიდერიც განაცხადში ეყოლება, თანაც დასვენებული და ენერგიით სავსე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი

# გალიანის ბირჰოფი გაახსენდა

## პრობლემა არის, კრიზისი და ქაოსი არა, სინიორ ადრიანომ, კანუტე არანორმალურად ძვირიაო...



ადრიანო გალიანი სიმშვიდეს ინარჩუნებს

ბოლო ტურში "მილანმა" სენსაციური მარცხი იწვნია. მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონებმა შინ "ემპოლისთან" წააგეს. იტალიელი მიმომხილველები "როსონერის" ღრმა კრიზისზე საუბრობენ. "მილანის" ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** რადიკალურ თეორიებს არ იზიარებს და პრობლემების დაძლევას უმოკლეს დროში წინასწარმეტყველებს: *"კრიზისსა და ქაოსზე საუბარი გაუმართლებლად მიმაჩნია. გეთანხმებით, უცნაური ამბები ხდება, მაგრამ მოვლენების დრამატიზებისაგან თავს შევიკავებდი. პრობლემებს მას ამ მწვრთნელით, ამ ფეხბურთელებითა და კულისებში დარაზმული ადამიანების გუნდით მოვაგვარებთ."* კითხვაზე, რითი ხსნის მილანელთა ბოლოდროინდელ წარუმატებლობებს, გალიანიმ მიუგო: *"ერთმანეთის მიყოლებით ვეთამაშეთ გუნდებს, რომლებიც 90 წუთის განმავლობაში დაცვაში იდგნენ. მათთან სასურველი შედეგის მიღწევა ყოველთვის ძნელია. ამას დავუმატოთ მინიმუმ ექვსი ქულა, რომელიც მსაჯების შეცდომების გამო დავკარგეთ. თუნდაც "ემპოლისთან" მატჩი ავიღოთ. თამაშის დასაწყისში ჩვენს სასარგებლოდ პენალტი რომ დაენიშნათ, სულ სხვა შედეგს ვიხილავდით."*

ნაგებამ გალიანის **ალბერტო ძაკერონის** ხანა გაახსენა. 1999 წელს ძაკერონის "მილანი" სკუდეტოს დაეუფლა. ის არ იყო "როსონერის" ისტორიაში საუკეთესო გუნდი, მაგრამ ერთი გამორჩეული ფეხბურთელი ჰყავდა: გერმანელი თავდამსხმელი **ოლივერ ბირჰოფი**. "ემპოლისთან" ნამატჩევს გალიანიმ ბირჰოფი ახსენა: *"ის რომ გვყოლოდა, მეტოქის ჩარაზულ კარს აუცილებლად გავხსნიდით. ბირჰოფი აუცილებლად მოგვაგებინებდა თამაშს. თამამად შემიძლია განვაცხადო, ის რომ არა, მაშინ (1999 წელს) ჩემპიონები ვერ გავხდებოდით. ასე რომ, თუ მკითხავთ, რა გვჭირდება პრობლემების დასაძლევად, გიპასუხებთ, რომ ბირჰოფი."*

ბირჰოფის რა მოგახსენოთ, მაგრამ მილანელებს რომ თავდასხმის გაძლიერება არ აწყენდათ, ფაქტია. "როსონერის" სასურველი ფეხბურთელი შეგულებული ჰყავს. ესაა სევილიელი **ფრედერიკ კანუტე**. გალიანი ამბობს, რომ ეს ბიჭი მასაც და პრეზიდენტ **სილვიო ბერლუსკონისაც** ძალიან მოსწონთ. "მილანი" დაუყოვნებლივ წამოიწყებდა მოლაპარაკებას, მაგრამ ანდალუსიელები არარეალურ თანხას ითხოვენ. გალიანი ამბობს, კანუტე რომ ახალგაზრდა იყოს, ათეულობით მილიონი ევროს გადახდას კიდევ ექნებოდა საფუძველი, მაგრამ ის 30 წლისაა და "სევილიას" რეალური პირობების წამოყენება მართებსო. სევილიელებმა თავისი საქმისა თვითონ უკეთ იციან. ისინი კანუტეს გაყიდვას სულაც არ აპირებენ და ასტრონომიულ თანხას იმიტომაც ასახელებენ, რომ აბეზარი კლიენტები თავიდან მოიშორონ. მილანელს კიდევ ორი ფავორიტი ჰყავს: "მანჩესტერ სიტიში" მოასპარეზე **როლანდო ბიანკი** და პალერმოელი **ამაური**. მოსალოდნელ ტრანსფერებთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა.

დაპირისპირება

# რაულს ფედერაციისგან არაფერი სჭირდება

## ანხელ მარია ვილიარმა თავი ტყუილად არ უნდა შეიწუხოს

**რაულისა** და **ლუის არაგონესის** დაპირისპირება აქტუალობას არ კარგავს. არადა, "რეალის" კაპიტნის განცხადების შემდეგ ვფიქრობდით, საკითხი ამოიწურებოდა. გონსალეს ბლანკომ, ესპანეთის ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, ყველას მოუწოდა დაპირისპირების გაღრმავებისგან თავი შეეკავებინათ. მიუხედავად ამისა, თემა რაულის უახლოესმა მეგობარმა **გუტიმ** განაგრძო: *"მოთმინება დავკარგე, როცა არაგონესის სიტყვები მოვისმინე. ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ამბობდა, იქნებ მითხრათ, რაულს "სელექსიონისთვის" განსაკუთრებული რა გაუკეთებია და რამდენი მუნდიალი მოუგიაო. ამას მარჩელო ლიპი რომ ამბობდეს, კიდევ გავიგებდი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ გონსალეს ბლანკოს წინააღმდეგ გალაშქრების უფლებას საკუთარ თავს სწორედ არაგონესი აძლევს. იქნებ, ღრმად პატივცემულმა ლუისმა გვითხრას, ესპანეთის ნაკრებს თავად რამდენ მუნდიალზე გაამარჯვებინა? მას შემდეგ რაც ეს კაცი მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დაინიშნა, წარუმატებლობა წარუმატებლობას მოსდევს. ბოლოს და ბოლოს, ადამიანმა ნამუსი არ უნდა დაკარგოს. ერთი კაცის სიჯიუტეს ქვეყნის ინტერესები ეწირება. განა ძნელი მისახვედრია, რომ რაული ნაკრებს უდიდეს დახმარებას გაუწევდა? მოკლედ, საზოგადოებამ დასკვნები თავად უნდა გამოიტანოს და ყველაფერს საკუთარი სახელი დაარქვას."*

აღსანიშნავია, რომ არაგონესის სიტყვები ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის მაღალჩინოსნებმაც არ მოიწონეს. პრეზიდენტმა **ანხელ მარია ვილიარმა** სენიორ ლუისს თავშეკავებისკენ მოუწოდა და რაულის დამსახურებებს საგანგებოდ გაუსვა ხაზი. "რეალის" კაპიტნისადმი პატივისცემის გამოხატვის მიზნით კი პირობა დადო, რომ მის დასაფასებლად საგანგებო ღონისძიებას მოაწყობს. რაულს ამასთან დაკავშირებით დღემდე არაფერი უთქვამს, სამაგიეროდ, კომენტარი ფეხბურთელის აგენტმა **ხინეს კარბახალმა** გააკეთა: *"ჩემს აგენტს გული სტკივა, რომ ნაკრებში თამაშის შესაძლებლობა არ ეძლევა. მენეჯერობას უამრავ მოთამაშეს ვუწევ, მაგრამ თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ გონსალეს ბლანკო მათ შორის საუკეთესოა. სამწუხაროდ, ყველაზე მეტად სწორედ საუკეთესოთა შორის საუკეთესო იჩაგრება. პრესის საშუალებით გავიგე, რომ სამეფო ფედერაციის პრეზიდენტი რაღაც ღონისძიების მოწყობას გეგმავს. შევეცდები, თავაზიანი ვიყო და სენიორ ვილიარს მოვახსენო, რომ რაულს მსგავსი ღონისძიება არაფერში სჭირდება. თავს ნუ შეიწუხებენ. ხალხმა ამ ფეხბურთელის შესახებ ისედაც ყველაფერი იცის. "რეალის" კაპიტანი ესპანური ფეხბურთის სიმბოლოა. გულშემატკივრები მას აღმერთებენ და საკუთარი ოჯახის წევრივით უყვართ. ასე რომ, ანხელ მარია ვილიარს ღონისძიებაზე ზრუნვა მართლაც არ სჭირდება."*



რაულის გვარი ესპანური გაზეთების პირველი გვერდებიდან არ ჩამოდის



რომარიოს კარიერაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო

მოულოდნელი დანიშვნა

# ვასკო და გამა რომარიომ ჩაიბარა

## 41 წლის ბრაზილიელი, ფაქტობრივად, მოთამაშე-მწვრთნელია...

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი **რომარიო** მწვრთნელობას შეუდგა. ის "ვასკო და გამის" დროებით დამრიგებლად დანიშნეს. კონტრაქტი ორშაბათს გვიან ღამით გაფორმდა. დირექტორებმა კარისაკენ მიუთითეს მთავარ მწვრთნელ **სელსო როტს**. გუნდმა მის ხელში წარუმატებელი მატჩების სერია გამოაცხო და ცხრილის ქვედა ეშელონში დაეშვა. "ვასკომ" ბოლო 10 მატჩში 30 შესაძლებლიდან მხოლოდ ხუთი ქულა დააგროვა. პრეზიდენტმა **ეურიკო მირანდამ** განაცხადა, რომ არაფერი მელონა, ფანებისთვის თვალებში როგორ შემეხედაო. ხანმოკლე ფიქრის შემდეგ გადაწყდა, რომ სახელოვან გუნდს რომარიოს ჩააბარებდნენ. პრეზიდენტ მირანდას მასთან ხანმოკლე საუბარი ჰქონდა. 41 წლის ვეტერანმა თქვა, რომ ის მზადაა პასუხისმგებლობა იკისროს. რომარიოს დებიუტი უჩვეულო ამპლუაში დღეს შედგება. "კოპა სუდამერიკანაზე", რაც უეფას თასის სამხრეთამერიკული ანალოგია, "ვასკო" მექსიკურ "ამერიკას" უმასპინძლებს. ეს მეოთხედფინალის განმეორებითი მატჩი გახლავთ. "ამერიკამ" პირველი შეხვედრა 2:0 მოიგო.

რომარიოს კონტრაქტის დეტალები უცნობია. უცნობია ისიც, შეიყვანს თუ არა ახალბედა მწვრთნელი საკუთარ თავს ძირითად შემადგენლობაში. გაზაფხულზე რომარიომ, მისივე მტკიცებით, კარიერის მე-1000 გოლი გაიტანა. ვარაუდობდნენ, რომ ფეხბურთელი ბუცებს ლურსმანზე დაკიდებდა. ფორვარდმა ტრავმა მიიღო, კოჭი დაიშავა და ოთხი თვით ჩამოშორდა მოედანს. ის ფაქტობრივად პენსიონერი იყო, მაგრამ ცოტა ხნის წინ ვარჯიში განაახლა. ბოლო ორ მატჩში რომარიო "ვასკო და გამის" თადარიგში იჯდა, თუმცა არ უთამაშია. ახლა ის უკვე მთავარი მწვრთნელია. მისი თამაში და უთამაშებლობა მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. დასასრულს იმასაც გეტყვით, რომ სელსო როტი მეორე მწვრთნელია, რომელიც "ვასკო და გამამ" ამ სეზონში დაითხოვა. აპრილში კარისაკენ მიუთითეს **რენატო პორტალუპის**.

ხეტაფე

# ლაუდრუპი მოხსნას გადაურჩა

პრიმერა დივიზიონის წინა ტურში "ხეტაფემ" მიმდინარე სეზონის პირველი გამარჯვება მოიპოვა. მოგეხსენებათ, **ბერნდ შუსტერის** მადრიდის "რეალში" წასვლის შემდეგ "ხეტაფეს" მდგომარეობა საგრძნობლად დამძიმდა. თუმცა ნუ იფიქრებთ, რომ **მიქაელ ლაუდრუპის** ბიჭები ცუდად თამაშობენ. პირიქით, სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ დედაქალაქელები მაყურებლებს სანახაობრივი, ლამაზი ფეხბურთით ანებივრებენ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ "ხეტაფეს" ფატალურად არ უმართლებდა, თუნდაც რამდენიმე კვირის წინ სამეფო კლუბის წინააღმდეგ ჩატარებული შეხვედრა გავიხსენოთ. "ხეტაფემ" **კასილიასის** კართან ერთბაშად 20 საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ ერთხელაც არ გაუმართლა და გოლი ვერ გაიტანა. სამაგიეროდ, სტუმრებმა იხეირეს და აქტივს სამი ქულა შემატეს. ასე იყო სხვა მრავალ მატჩშიც. კლუბის ხელმძღვანელებს მოთმინების ფიალა ევსებოდათ. ისინი ლაუდრუპის გადაყენებაზეც დაფიქრდნენ, მაგრამ "მურსიის" დამარცხებამ მათ სიმშვიდე მოუტანა და რადიკალური გადაწყვეტილების მიღებისგან ხელი აალებინა.

ლაუდრუპი პირველი გამარჯვებით უზომოდ კმაყოფილია: *"როგორც იქნა, ეს დღეც დადგა. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩემს შეგირდებს უდიდესი თავმოყვარეობა და ესთეტიზმი გამოარჩევთ. თითოეულ ორთაბრძოლაში ასი პროცენტით ვიხარჯებით. პირადად მე, საფინალო სასტვენის შემდეგ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ბიჭებთან ერთად 90 წუთის განმავლობაში მოედანზე დავრბივარ. უდიდესი ძალისხმევისა და შრომის მიუხედავად, ქულას ქულაზე ვკარგავდი. მადლობა ღმერთს, ამჯერად მაინც მოვიგებთ. მსურს გულშემატკივრები დავამშვიდო, მოთმინება უნდა იქონიოთ, ჩვენი შემართება არ დაიკარგება. მწამს, მომავალში ყველაფერი უკეთ აეწყობა."* "ხეტაფე" მომდევნო პაექრობას ლონდონში გამართავს. ესპანელები "ტოტენჰემს" ესტუმრებიან. მათ სჯერათ, რომ უეფას თასის ამ მატჩს მაღალ დონეზე ჩაატარებენ და სულ მცირე, ფრეს მიაღწევენ.



მიქაელ ლაუდრუპი

## არსენალი: 40 მილიონი ლიონს

"არსენალი" მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბია. ამიტომ იანვრის ტრანსფერებისას "ლიონის" ორ ახალგაზრდა ფეხბურთელში 40 მილიონ გირვანქას დახარჯავენ. ამ ინფორმაციას "სანი" ავრცელებს. პოპულარული ტაბლოიდის მტკიცებით, **არსენ ვენგერი ქარიმ ბენზემასა** და **ჰატემ ბენ არფას** აკვირდება. ბენზემა 19 წლისაა, ბენ არფა 20-ის. ისინი საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელები არიან. "მეთოფეების" სკაუტები მათ უკვე რამდენიმე თვეა, თვალს ადევნებენ. ბენზემა მიმდინარე სეზონის აღმოჩენაა. მან საფრანგეთის ჩემპიონატის 11 მატჩში 11 გოლი შეაგდო. "ლიონი" ყმაწვილებს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაყიდის, თუ ზესარფიან წინადადებას შესთავაზებენ. საფრანგეთის ჩემპიონებმა იციან, რომ ვენგერს ტრანსფერებისათვის 70 მილიონი გირვანქას აქვს. ამიტომ შესაძლოა, 40 მილიონი იცოტავონ.

## გუარდიოლა გაამართლეს

სასამართლომ ესპანეთის ნაკრებისა და "ბარსელონის" ყოფილ კაპიტან **ხოსეპ გუარდიოლას** ბრალდებები მოუხსნა. ექვსი წლის წინ სახელგანთქმულ ფეხბურთელს დოპინგის მოხმარების გამო შვიდთვიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს. გუარდიოლა იმთავითვე ამტკიცებდა, რომ უდანაშაულო იყო. მან სიმართლე დიდი ხნის შემდეგ დაამტკიცა. შვიდი წლის წინ ხოსეპი იტალიური "ბრეშას" ღირსებას იცავდა. ერთ-ერთი კალენდარული მატჩის შემდეგ ის დოპინგზე შეამოწმეს და სხეულში აკრძალული ნივთიერება, ნანდროლონი აღმოუჩინეს. ერთი წლით ადრე იტალიაში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები გაამკაცრეს. გუარდიოლა პირველი ფეხბურთელი იყო, რომელსაც სტიმულატორის მოხმარებისათვის პატიმრობა (პირობითი) შეუფარდეს. 36 წლის ვარსკვლავმა კარიერა ერთი წლის წინ დაასრულა. ამჟამად ის "ბარსელონის" სათადარიგო გუნდის მწვრთნელია.

## მოტამ ტრავმა მოიშუშა

"ატლეტიკოს" სამედიცინო შტაბის წარმომადგენლებმა **ხავიერ აგირეს** სასიხარულო ინფორმაცია ამცნეს. **ტიაგო მოტამ** ტრავმა ნავარაუდევზე ადრე მოიშუშა. ბრაზილიელი ნახევარმცველი კარგად გრძნობს თავს, თუმცა ექიმები მადრიდელთა მექსიკელ დამრიგებელს გარისკვას არ ურჩევენ. მათი აზრით, უკეთესი იქნება, თუ მოტას ნელ-ნელა დატვირთავენ და მზადების ეტაპობრივ განრიგს შეუდგენენ. აგირემ რჩევა უსიტყვოდ გაიზიარა. გუშინ ტიაგომ ინდივიდუალურად ივარჯიშა. ის ნელ ტემპში დარბოდა და ცალი თვალი გამუდმებით ექიმებისკენ ჰქონდა მიპყრობილი. როგორც ამბობენ, სამხრეთამერიკელი სრული დატვირთვით ვარჯიშს 7-10 დღის შემდეგ შეძლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპული ფინალები

# მოსკოვს პრობლემები შეექმნა

## ვინ უმასპინძლებს 2010 და 2011 წლების ევროპულ ფინალებს?

გაისად ჩემპიონთა ლიგის ფინალი მოსკოვში უნდა გაიმართოს. თამაშის მასპინძელი "ლუჟნიკის" სტადიონი იქნება. რუსეთის უმთავრეს არენაზე ხელოვნური საფარია დაგებული. რუსეთი-ინგლისის უპრინციპულესი მატჩი პირველი ოფიციალური შეხვედრა გახლდათ, რომელშიც ფეხბურთელებმა ბალახის ნაცვლად ხალიჩაზე ირბინეს. ორგანიზატორები პირობას დებენ, რომ ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი მატჩისათვის ხელოვნურ საფარს ბუნებრივით შეცვლიან. მოსკოველ ჩინოვნიკებს კიდევ ერთი პრობლემა აქვთ გადასაჭრელი: რუსული კანონმდებლობით, სტადიონზე ალკოჰოლური სასმელების, მათ შორის ლუდის რეკლამირება აკრძალულია. ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი უმთავრესი სპონსორი კი ლუდსახარში "ჰაინეკენია". მისი რეკლამებით აჭრელებულია ყველა ის არენა, სადაც ამ ტურნირის მატჩი იმართება.

ამასობაში, უეფამ იმ ქალაქების სია ჩამოწერა, რომელთაგან 2010 და 2011 წლების ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის ფინალების მასპინძლებს შეარჩევს. ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი მატჩის ორგანიზებისათვის მიუნხენი ("ალიანს არენა"), ვალენსია ("მესტალია"), ბერლინი ("ოლიმპიაშტადიონი"), მადრიდი ("სანტიაგო ბერნაბეუ") და ლონდონი ("უემბლი") იბრძოლებენ. რანგით მეორე ევროპული ტურნირს ფინალზე კი იმავე ლონდონს ("ემირატს სთედიუმი"), გელზენკირხენს ("აუფ შალკე"), ბარსელონას ("მონჟუიკი"), ჰამბურგს ("AOL არენა"), დუბლინსა ("ლენსდაუნ როუდი") და ბუქარესტს ("ნაციონალი") აქვთ პრეტენზია. სიის შედგენისას უეფას სტადიონების ტევადობით, ინფრასტრუქტურით, ალჭურვილობითა და უსაფრთხოების გარანტიებით იხელმძღვანელა.



არსენ ვენგერი

არსენალი

# ვენგერული წლების საუკეთესო თერთმეტი

## არსენმა ოცნების არსენალი ჩამოწერა

**აგერ, უკვე 9 წელია, არსენ ვენგერი "არსენალის" მწვრთნელია. ამ ხნის განმავლობაში, მის ხელში მრავალმა ფეხბურთელმა გამოიარა. ინგლისელმა ჟურნალისტებმა სთხოვეს ვენგერს, ყოფილი და ახლანდელი შეგირდებისგან საუკეთესო თერთმეტეული შეედგინა და მოთამაშეები ორიოდ სიტყვით დაეხასიათებინა. საგულისხმოა, რომ დღევანდელი გუნდიდან, რომელიც პრემიერლიგის ერთპიროვნული ლიდერია, ჩამონათვალში მხოლოდ კოლო ტურე მოხვდა. როგორც ჩანს, და ეს ასეცაა, ამ ბიჭებს ჯერ დაღვინება აკლიათ. აი, როგორი სახე მიიღო არსენის რჩეულთა ნაკრებმა...**

### დევიდ სიმენი
**(მეკარე, 245 მატჩი)**

- მას ძალიან რბილი ხასიათი აქვს, უზომოდ კეთილია. იმ დროს, როცა დევიდს წარუმატებელი მატჩები ჰქონდა, კრიტიკას ყოველთვის თვალს უსწორებდა, არ სწყინდა, ან არ იმჩნევდა. სიმენს რკინის ნერვები აქვს, მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად იცინის.

### ბისან ლორენი
**(მარჯვენა მცველი, 241)**

- როცა ის "არსენალში" მოვიდა, თავიდან ნახევარმცველი იყო. ალბათ, მაშინ ვერც იფიქრებდა, რომ ლი დიქსონის შეცვლა მოუწევდა. ის ძალიან ჯიუტია, კარგი გაგებით, რა თქმა უნდა. ყოველთვის გამარჯვებისთვის თამაშობდა. მაგრამ როცა თამაშის წინ ისეთ დავალებებს ვაძლევდი, რაც არ მოსწონდა, სულ ვკამათობდით. მისთვის ავტორიტეტი არ არსებობდა, ყოველთვის და ყველას წინააღმდეგ შეუპოვარი იყო, არ ნებდებოდა.

### კოლო ტურე
**(ცენტრალური მცველი, 244)**

- "არსენალამდე" ის სამ კლუბში თამაშობდა. და ბედს მადლობა უნდა ვუთხრა, რომ მასთან კონტრაქტი მეტად იოლად გავაფორმეთ. არავინ ელოდა, რომ დაცვაში უფრო უკეთ ითამაშებდა, ვიდრე ნახევარდაცვაში. ის ყოველთვის ცდილობს, დაეხმაროს ადამიანებს, მაშინაც კი, როცა ეს მის ინტერესებს აზიანებს. ის ძალზე კარგი ადამიანია.

### მარტინ კიოუნი
**(ცენტრალური მცველი, 264)**

- მას გამარჯვებების მიმართ გასაოცარი წყურვილი ახასიათებდა. ერთიერთზე მისი მოტყუება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მას საკმარისად ჰქონდა ტექნიკა, რაც მცველისთვის უდავოდ დიდი პლუსია. მაგრამ სამწუხაროდ, ის ყოველთვის საიმედო არ იყო.

### ეშლი კოული
**(მარცხენა მცველი, 228)**

- დარწმუნებული ვარ, ეშლი სიცოცხლის ბოლომდე არსენალელი დარჩება. მას ძალიან უყვარს შეტევა. თუ მისი თანაგუნდელი მეტოქეს ბურთსართმევს, კოულიც იქვეა. ის ყოველთვის მზადაა, დაეხმაროს თავის პარტნიორს. ეს მისი მთავარი მახასიათებელი შტრიხია. ეშლი ყოველთვის მოვლენათა ცენტრშია. მოკლედ, უმაღლესი დონის ოსტატი გახლავთ.

### ფრედი ლიუნგბერგი
**(მარჯვენა ნახევარმცველი, 328)**

- როგორც კი ის პირველად ვნახე შვედეთისა და ინგლისის ნაკრებთა შეხვედრაში, მაშინვე მის თაყვანისმცემლად ვიქეცი. ის გამარჯვებულია. ნებისმიერი წაგების შემდეგ, მთელი ორი დღის განმავლობაში დათრგუნული და მოწყენილია. შესაძლოა, ესეცაა იმის მიზეზი, რომ ფრედი მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავად ვერ ჩამოყალიბდა.

### პატრიკ ვიეირა
**(ცენტრალური ნახევარმცველი, 402)**

- ის მოედანზე ყოველთვის ბოლომდე იხარჯება, თანაც ნებისმიერი მეტოქის წინააღმდეგ, იქნება ეს "შეფილდი" თუ "მილანი".

### რეი პარლორი
**(ცენტრალური ნახევარმცველი, 318)**

- ნახეთ მისი ჯილდოები. და ეს ჯილდოები გეტყვიან თქვენ, რომ "არსენალის" ისტორიაში პარლორი ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშე იყო. 90 წუთისთვის ძალა ყოველთვის ჰქონდა. მაშინ, როცა მეტოქე იღლებოდა, რეის რესურსი არ იწურებოდა. ეს გუნდისთვის უდიდესი პლუსია.

### რობერ პირესი
**(მარცხენა ნახევარმცველი, 284)**

- ვფიქრობ, ის მსოფლიოში საუკეთესო მარცხენა ნახევარმცველია. რობერის გაჩერება ძალიან ძნელია, ბურთით მას ყველაფრის გაკეთება შეუძლია. მან "არსენალს" დიდი სარგებელი მოუტანა და ყოველთვის დარჩება "მეთოფეთა" ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ.

### ტიერი ანრი
**(თავდამსხმელი, 370)**

- არ დაიჯერებთ, მაგრამ როცა მას ტურინში, "იუვენტუსში" თამაშისას შევხვდი, აღმოჩნდა, რომ არ სჯეროდა, თუკი გოლის გატანა შეეძლო. მაგრამ ლონდონში ჩამოსვლამ ის ყოველმხრივ შეცვალა. ის ფეხბურთის მაიკლ ჯორდანია. გაჰქონდა გოლი მაშინ, როცა უნდოდა. თუმცა რატომ ვლაპარაკობ ამას? ეს ხომ ყველამ იცის?

### დენის ბერგკამპი
**(თავდამსხმელი, 376)**

- ჩემი აზრით, ის ყველაზე ნიჭიერი მოთამაშე იყო იმათ შორის, ვისთანაც კი მუშაობა მომიწია. ჰკითხეთ ანრის ან იან რაიტს, ვისთან ერთად ისურვებდნენ თავდასხმაში თამაშს. ისინი აუცილებლად გეტყვიან, რომ ეს არის დენისი.



კრის კოულმენი

ბოლტონი

# არც კოულმენი, არც საუნესი

## ინგლისური კლუბი ელერდაისის სრულფასოვან მემკვიდრეს ეძებს

"რეალ სოსიედადი" კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას მთავარი მწვრთნელის **კრის კოულმენის** მოსალოდნელი აბარგების შესახებ. ინგლისური სააგენტოების მტკიცებით, უელსელი სპეციალისტი "ბოლტონის" ფავორიტია. ბოლტონელები ახალ დამრიგებელს ეძებენ. **სემი ლის** დათხოვნის შემდეგ გუნდი დროებით შოტლანდიელმა **არჩი ნოქსმა** ჩაიბარა. ეს სპეციალისტი "აბერდინსა" და "მანჩესტერ იუნაიტედში" სერ **ალექს ფერგიუსონის** ასისტენტად მუშაობდა. ის თანამდებობაზე დიდხანს დარჩენას არ აპირებს. სანსებასტიანური კლუბი ადასტურებს, რომ ბოლტონელთაგან ფაქსი ნამდვილად მიიღო. ინგლისური კლუბი კოულმენთან მოლაპარაკებების გამართვის ნებართვას ითხოვდა. ბასკების პასუხი ლაკონური იყო: მისტერ კრისს სამწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. "რეალ სოსიედადს" კი პირობების გადახედვის არავითარი სურვილი არ აქვს.

კოულმენი სან სებასტიანში გასულ ზაფხულს დაინიშნა. კლუბი სეგუნდა დივიზიონში გავარდა. მისი აღზევება კი ახალგაზრდა ბრიტანელს დააკისრეს. ცხრა ტურის შემდეგ ბასკები ცხრილის შუაში იმყოფებიან. მათ გასავარდნი ზონისაგან ექვსი ქულა აშორებთ, ლიდერთაგან კი - შვიდი. რაც შეეხება "ბოლტონს", გუნდის გაძღოლა კიდევ ერთმა ფავორიტმა **გრემ საუნესმა** იუარა. ეს ინფორმაცია მიმომხილველებს ინგლისური კლუბის თავმჯდომარე **ფილ გარტსაიდმა** მიაწოდა.

ნიუკასლი vs ტოტენჰემი. გამოხმაურება

# იოლის დღეები დათვლილია

## მამლების მწვრთნელი ბერბატოვს მინდორზე შესვლას სთხოვდაო...

ორშაბათს "ტოტენჰემი" "ნიუკასლთან" დამარცხდა (1:3). ინგლისელ მიმომხილველებს ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ **მარტინ იოლის** ლონდონური კარიერა მალე დასრულდება. ჯორდებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჩაგრეს. მათ დამსახურებულად მოიპოვეს სამი ქულა. **ობა მარტინსმა** ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გახსნა. შესვენების შემდეგ **კლაუდიო კასაპამ** მეორედ აიღო სტუმართა კარი. **რობი კინმა** ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ "მამლებს" მეტის გაკეთება არ ეწერათ. შეხვედრას წერტილი **ჯეიმს მილნერმა** დაუსვა. "ნიუკასლის" თავკაცმა **სემ ელერდაისმა** კმაყოფილება ვერ დამალა. მან შეგირდები შემტევი ფეხბურთის თამაშისათვის შეაქო: *"ზედიზედ მესამე მატჩია, სამ გოლს ვიტანთ. შეუძლებელია, ფეხბურთელებს უფრო მეტის გაკეთება მოსთხოვო. ხანდახან შეცდომებს ვუშვებთ, ხანდახან ყურადღებაც გვეფანტება, მაგრამ მთავარი შედეგია. ჩემი გუნდის მიმართ პრეტენზიები არ მაქვს."* ამ გამარჯვების შემდეგ ნიუკასლელები მერვე ადგილზე დარჩნენ, მაგრამ მათ სხვა გუნდებზე ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. დაკარგულ ქულებს თუ დავთვლით, აღმოვაჩენთ, რომ ჯორდები არა მხოლოდ უეფას თასის ზონაში ხვდებიან, არამედ თუ ასე გააგრძელეს, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვისაც შეუძლიათ ბრძოლა.



მარტინ იოლი ჩემოდნებზე ზის

სრულიად სხვა ვითარება აქვს "ტოტენჰემს". ლონდონელებმა ათი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგეს და გასავარდნ ზონაში იმყოფებიან. გუნდმა ზაფხულის ტრანსფერებისას თითქმის 50 მილიონი გირვანქა დახარჯა. დირექტორებს ჩემპიონთა ლიგაში გასვლის იმედი ჰქონდათ. გუნდი კი კრიზისშია. პრობლემებს დასასრული არ უჩანს. იოლი კრიზისიდან გამოსავალს ვერ პოულობს. "ტოტენჰემის" ბოსების მოთმინება კი იწურება. აი, რა განაცხადა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ნამატჩევს: *"ვფიქრობ, საკმაოდ წარმატებული სერია გვქონდა, ზედიზედ სამი ფრე. დღეს რომ მოგვეგო, დარწმუნებით, ჩვენი პრობლემები არავის გაახსენდებოდა. დაცვაში ლიდერი გვაკლია. გვჭირდება ვიღაც, ვინც უკანა ხაზს შეკრავს და გაამთლიანებს. მოუთმენლად ველოდებით ლედლი კინგის გამოჯანმრთელებას. იმედია, ის რამდენიმე კვირაში დაგვიბრუნდება. წაგების მიუხედავად, მიმაჩნია, რომ სათასო ტურნირებში წარმატების კარგი შანსი გვაქვს. ხუთშაბათს უეფას თასზე ვთამაშობთ. აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ."*

"ნიუკასლთან" მატჩის მეორე დღეს ინგლისურ პრესაში საინტერესო ინფორმაცია დაიბეჭდა: მეორე ტაიმში იოლი **დიმიტარ ბერბატოვს** მინდორზე შესვლას ეხვეწებოდაო (!). გასულ სეზონში ბულგარელი თავდამსხმელი ლონდონელთა საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ამ სეზონში მას ხშირად თადარიგში სვამენ. უცნობია, რატომ. ამ კითხვაზე პასუხი არც ფეხბურთელს აქვს და არც მიმომხილველებს. ორშაბათის შეხვედრაში ბერბატოვი ისევ სკამზე აღმოჩნდა. როცა იოლს თავდასხმის გაძლიერება დასჭირდა, პირველად, რა თქმა უნდა, ის გაახსენდა. ბერბატოვს იოლთან საუკეთესო ურთიერთობა არასოდეს ჰქონია. ბოლო დროს დაპირისპირება სრულიად აშკარა გახდა. ორშაბათს ბერბატოვმა თამაშზე კატეგორიული უარი განაცხადა. მას დიდი ხვეწნა დასჭირდა, რომ სავარჯიშო ფორმა გაეხადა და მინდორზე შესულიყო. ბერბატოვს ღირებული არაფერი შეუქმნია, მაგრამ ამ ინციდენტმა კიდევ ერთხელ ცხადყო "ტოტენჰემში" იოლის პოზიციების სისუსტე და მისი დათხოვნის გარდაუვალობა. ბრიტანელი მიმომხილველები პოტენციურ მემკვიდრეთა შესახებ ჯერჯერობით არაფერს იუწყებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მაქსი როდრიგესთან

# ფრონტის ხაზი ახლა მოსკოვზე გადის

## როხიბლანკოს არგენტინელი ნახევარმცველი დარწმუნებულია, რომ მის გუნდს პრიმერა დივიზიონსა და უეფას თასზე გამარჯვების უნარი შესწევს



მაქსი როდრიგესი

**"ატლეტიკოს" ვარსკვლავმა მაქსი როდრიგესმა მიმდინარე სეზონი წარუმატებლად დაიწყო. მისმა გუნდმა დებიუტში რამდენიმე მარცხი ინვნია. თავად არგენტინელმა ნახევარმცველმა კი ტრავმა მიიღო და საყვარელ საქმეს კარგა ხნით ჩამოშორდა. როგორც იქნა, მაქსიმ ტრავმა მოიშუშა, გასულ უქმეებზე ის ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდა და ფანტასტიკური მატჩი ჩაატარა. სამხრეთ ამერიკელმა "სარაგოსას" ორი ბურთი შეუგდო. გარდა ამისა, პენალტი აიკიდა და საგოლე გადაცემა გააკეთა. დაგვეთანხმებით, ფანტასტიკური მაჩვენებლებია, მაგრამ მაქსი ამითაც არ კმაყოფილდება. მას ძალიან დიდი ამბიცია აქვს და სურს, "როხიბლანკო" ესპანეთის ჩემპიონი ან უეფას თასის მფლობელი გახდეს. მომავალი სეზონიდან კი ჩემპიონთა ლიგაში უმაღლესი დივიზიონისთვის იბრძოლოს. ერთი შეხედვით, უტოპიური ამოცანებია, თუმცა როდრიგესი ასე არ ფიქრობს. სამხრეთ ამერიკელი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდისთვის შეუძლებელი არაფერია.**

**- კვირას "ვისენტე კალდერონზე" შესანიშნავი შეხვედრა ჩაატარეთ. გულშემატკივრებმა უდიდესი სიამოვნება მიიღეს...**

- აბსოლუტურად გეთანხმებით. დაუვიწყარი საღამო გვქონდა. გუნდმა გენიალურად ითამაშა და დიდი ანგარიშით გაიმარჯვა. ჩვენი ქომაგები მართლაც გახარებულები და ბედნიერები დარჩნენ. საფინალო სასტვენის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ტაშს გვიკრავდნენ და მოედნის დატოვების უფლებას არ გვაძლევდნენ. მოკლედ, მაღალი დონის ორთაბრძოლა ჩავატარეთ, მაგრამ ყველას გვესმის, რომ ეს მატჩი უკვე ისტორიის საკუთრებაა. დღეს მოსკოვში "ლოკომოტივის" წინააღმდეგ გასამართ დაპირისპირებაზე უნდა ვიფიქროთ. დიდ ამოცანებს ერთბაშად ვერ გადაჭრი, ყოველთვის ნაბიჯ-ნაბიჯ წინ სიარულია საჭირო. არ უნდა ვიფიქროთ, რომ "სარაგოსის" გაცამტვერებით რაიმეს მივაღწიეთ ან ყველაზე ძლიერი გუნდი ვართ.

**- როგორც იქნა, შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოამჟღავნეთ და დაუვიწყარი შეხვედრა ჩაატარეთ. აშკარად ჩანდა, რომ გულშემატკივრები ყველაზე მეტად თქვენ გამხნევებდნენ.**

- საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ ჟურნალისტებთან ბევრი საუბარი არ მიყვარს. ვცდილობ, ნაკლებად ვიტრაბახო. ჩემი ერთადერთი ამოცანა მოედანზე გასვლა და ფეხბურთის თამაშია. ვფიქრობ, კარგი შეხვედრა ჩავატარე, მაგრამ მე ერთადერთი გამონაკლისი არ გახლდით. გულშემატკივრებს რაც შეეხება, მათ მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. წლების განმავლობაში ამ ხალხისგან უდიდეს სითბოს ვიღებ.

**- ფერნანდო ტორესის "ლივერპულში" წასვლის შემდეგ "ატლეტიკოს" კაპიტანი გახდით. სეზონის დასაწყისში არ გაგიმართლათ. რამდენიმე უსახური მატჩის შემდეგ ტრავმა მიიღეთ. მიუხედავად ამისა, ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა, რომ თანაგუნდელები და გულშემატკივრები უდიდეს პატივს გცემენ. რაიმე ხომ არ გვეშლება?**

- უკვე მოგახსენეთ, რომ გულშემატკივრები უდიდეს სითბოს მიძღვნიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა პრობლემები მაწუხებს. ხშირად დავფიქრებულვარ, ამ ადამიანებს მადლობა როგორ უნდა გადავუხადო, მაგრამ პასუხისთვის ვერასოდეს მიმიგნია. ალბათ, მხოლოდ კარგი თამაშით თუ მოვახერხებ ვალის უმცირესი ნაწილის გადახდას.

**- როგორ ფიქრობთ, ახალ "ატლეტიკოს" რა მიზნების მიღწევა შეუძლია?**

- ღრმად მწამს, რომ ამ შემადგენლობისთვის შეუძლებელი არაფერია, თუმცა წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევთ, თუ ცაში ფრენას არ დავიწყებთ. აუცილებელია, მწვრთნელის მითითებები პირნათლად შევასრულოთ. პირადი ამბიციები ნაკლებად გამოვამზეუროთ და ერთმანეთს ხელი შევუწყოთ. წინა წლებში ბევრი ბარიერის გადალახვა მოგვიხდა. სეზონის განმავლობაში იმდენ დაბრკოლებას ვაწყდებოდით, რომ ძალა აღარ გვრჩებოდა და ტიტულებს ვერ ვიპოვებდით. იმედია, ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად წარიმართება. ბოლოს და ბოლოს, დიდი გამოცდილება დაგვიგროვდა. საკუთარი შეცდომებით ჭკუა უნდა ვისწავლოთ. გლობალური თვალსაზრისით, ბევრი არც არაფერი შეცვლილა. მოედანზე ყოველთვის მოსაგებად გავდივართ. ადრეც ასე იყო, მაგრამ მუდამ რაღაც გვაკლდა. ალბათ, ზედმეტად თავდაჯერებულები ვიყავით.

**- ოპტიმიზმის საფუძველს რა გაძლევთ?**

- საქმეს განსხვავებულად ვუდგებით. ხავიერ აგირამ ახლებური მეთოდები დანერგა. შეუძლებელია, ამ ძალისხმევამ შედეგი არ გამოიღოს. ერთმანეთს პირობა მივეცით, რომ საერთო საქმეს არ ვუღალატებთ. შესაძლოა, ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდე, სახლში დილამდე დაბრუნება არ მომინდეს. გამკონტროლებელიც არავინ იყოს, მაგრამ მაინც დროულად წავალ და დავიძინებ. ყოველთვის მეცოდინება, რომ მე მთლიანი ორგანიზმის, ანუ გუნდის შემადგენელი ნაწილი ვარ და მხოლოდ საკუთარ თავს არ ვეკუთვნი. ადამიანს ათიდან ერთი თითიც რომ მოტყდეს, კოჭლობით ივლის. იმედია, ხვდებით, რისი თქმაც მსურს. პასუხისმგებლობა ფეხბურთელის ცხოვრების თანამგზავრია. ხშირად ვიღლებით, ყველაფერი გვბეზრდება, და ვფიქრობთ, რომ ახალგაზრდობის საუკეთესო წლებს ვარჯიშებსა და სახლში ტელევიზორის წინ ჯდომაში ვატარებთ, მაგრამ რადგან ფეხბურთელები ვართ, ასეთ ყოფას უნდა შევეგუოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროფესიულ წინსვლაზე არც კი უნდა იოცნებო. რაც არ უნდა ნიჭიერი იყო, შოკისმომგვრელი სეზონიც რომ ჩაატარო, თუ სტაბილურობას ვერ მიაღწევ, საფეხბურთო სამყაროს ზედაპირზე ვერ გაჩერდები.

**- პასუხისმგებლობა შარშანაც არ გაკლდათ, თითქოს, ფიზიკურადაც კარგად იყავით მომზადებულები, მაგრამ ზედიზედ სამ ტურს ისე ატარებდით, რომ ერთი გოლის გატანასაც ვერ ახერხებდით. ახლა კი მეტოქეს უმცირეს შეცდომასაც არ პატიობთ.**

- გავაცნობიერეთ, რომ მეტი მუშაობა გვმართებდა. მაგალითად, მე ვარჯიშის დასრულების შემდეგ მინდვრიდან კიდევ ერთი საათი არ გავდივარ და სხვადასხვა პოზიციიდან კარში ბურთს ვურტყამ. შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ ფუჭი შრომაა, თუმცა მერწმუნეთ, ეს გამოცდილი მეთოდია. თუ ბურთს კარის ჩარჩოში მოახვედრებ, გოლის გატანის ალბათობა ერთი-ორად იზრდება. ერთი შეხედვით ისეთ მარტივ ამოცანას, როგორიც ბურთის კარის ჩარჩოში მოხვედრებაა, შრომის გარეშე ვერ გადაჭრი. გეთანხმებით, შარშან გაცილებით უფერულად გამოვიყურებოდით. კონტრასტის რამდენიმე მიზეზი უკვე დაგისახელეთ, მაგრამ ასი პროცენტით ვერაფერს დავამტკიცებ. ფაქტი ერთია, წლეულს გაცილებით უკეთ ვთამაშობთ. იმედია, მომავალშიც ასე იქნება.

**- ცოტა არ იყოს, უცნაურია, ფერნანდო ტორესის წასვლის შემდეგ მეტ გოლს იტანთ.**

- აბსოლუტურად მართალი ხართ, მაგრამ ამ ფაქტის ახსნა ძალიან გამიჭირდება. შესაძლოა, ახალწვეულებმა გამოგვაცოცხლეს. ნახევარდაცვა უფრო მობილური და მოქნილი გახდა. მათი წყალობით, ფორვარდები ხელსაყრელ პოზიციაზე გასვლას შედარებით იოლად ახერხებენ. ბურთსაც დროულად იღებენ და კარში დამიზნებით ურტყამენ.

**- ისევ თქვენს თამაშს დავუბრუნდები. ფორვარდი არ ხართ, მაგრამ წინა ტურის მატჩში მუდამ წინ გარბოდით. ამას აგირე გავალებდათ?**

- გოლზე მნიშვნელოვანი არაფერია. "ატლეტიკო" ტაქტიკას ნელ-ნელა ხვეწს. თუ შესაძლებლობა მოგვეცემა, ვუტევთ და გოლის გატანას ვცდილობთ. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე აგირეს შემოქმედებაა. თუმცა თუ ფეხბურთელს სხარტი აზროვნების უნარი არ გააჩნია, მწვრთნელი ვერაფერს გახდება. როცა შეტევაში წასვლით გუნდს რისკს უქმნი, თავი უნდა შეიკავო. ზოგჯერ ცდუნება აგიტანს და მაინც წინ გაიქცევი, მაგრამ პროფესიონალმა ემოციები უნდა მოთოკოს და მსგავსი რამ თამაშის განმავლობაში მაქსიმუმ ერთხელ გააკეთოს. პირადად მე, "სარაგოსასთან" მატჩში ძალიან გამიმართლა. შეამჩნევდით, მოწინააღმდეგის კარის ხაზთანაც კი ჩავდიოდი, მაგრამ საჭირო დროს დაცვასაც ვეხმარებოდი.

**- დამეთანხმებით, "ატლეტიკოს" გულშემატკივრები ამხელა ოპტიმიზმით არასოდეს ყოფილან გამსჭვალულები.**

- ბოდიში, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით. ჩვენს გულშემატკივრებს ყოველი სეზონის დაწყების წინ იმედი აქვთ, რომ რაიმე დიდ ტიტულს მოვიპოვებთ. ფეხბურთელებიც ასევე ვფიქრობთ. ამბიცია და ენთუზიაზმი არასოდეს გვაკლია. მთავარია, ეს ამბიცია რეალურ შესაძლებლობებს რამდენად შეესაბამება. ჩემი აზრით, წლეულს ამ თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. ძალიან მინდა, თვეების შემდეგ ჩემი სიტყვები არ გაუფასურდეს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ სტაბილურობის მისაღწევად და მის შესანარჩუნებლად თავდაუზოგავი შრომაა საჭირო.

**- ე.ი. "როხიბლანკოს" პრიმერა დივიზიონში გამარჯვების უნარი შესწევს?**

- რატომაც არა.

**- ესპანეთის ჩემპიონატის გარდა, უეფას თასზე ასპარეზობთ. ეს ტურნირი თქვენთვის რამდენად მნიშვნელოვანია?**

- უეფას თასის მოპოვება რომ არ გვსურდეს, აგირე შემადგენლობაში სათადარიგო გუნდის ბიჭებს დააყენებდა. ჩვენი მიზანი ფინალში გასვლა და გამარჯვებაა, მაგრამ ამ დღემდე პატარ-პატარა ნაბიჯებით უნდა ვიაროთ. ასე რომ, "ატლეტიკოს" ფრონტის ხაზი ახლა მოსკოვზე გადის. "ლოკომოტივს" აუცილებლად უნდა მოვუგოთ.

**ილია ნიკოლაიშვილი**


ვიქტორ ფერნანდესი

სარაგოსა

# ვიქტორ ფერნანდესს წყალი შეუდგა

## არაგონელები მის შესაძლო შემცვლელებთან საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებენ

"ატლეტიკოსთან" განცდილმა მარცხმა "სარაგოსის" გულშემატკივრების ხელმძღვანელებისა და ფეხბურთელების უდიდესი უკმაყოფილება გამოიწვია. შემადგენლობით თუ ვიმსჯელებთ, არაგონელები "რეალისა" და "ბარსელონის" გარდა არავის ჩამოუვარდებიან, მაგრამ მაღალი ხარისხი შედეგზე არ აისახება. "სარაგოსამ "ვისენტე კალდერონზე" კატასტროფული ანგარიშით, 0:4 წააგო. საზოგადოება მიზეზების ძიებას შეუდგა. როგორც ჩანს, ხალხი დამნაშავედ მთავარ მწვრთნელს, **ვიქტორ ფერნანდესს** მიიჩნევს. არაგონელთა ნახევარმცველმა **ხუანფრანმა** საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა: *"სიტუაციის დაძაბვა და სკანდალის აგორება არ მიყვარს. ბუნებით მშვიდი ადამიანი ვარ, მაგრამ საკვირაო შეხვედრამ მოთმინების ფიალა ამივსო. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ჩვენს გუნდს, უბრალოდ, წარმოდგენა არ აქვს, რას აკეთებს და როგორ ფეხბურთს თამაშობს. დღეს ერთი ტაქტიკით ვასპარეზობთ, ხვალ კი აბსოლუტურად განსხვავებულ სტრატეგიას ვიყენებთ. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გავერკვეთ, რა გზით მივდივართ? ჩემი აზრით, "სარაგოსას" მკაცრად ჩამოყალიბებული და განსაზღვრული გეგმა არ გააჩნია. ქაოსში ვცხოვრობთ, შესაბამისად, ქაოსურადვე ვთამაშობთ. ძლიერი გუნდები ამას არასოდეს გვაპატიებენ. "ატლეტიკომ" ჩვენი შეცდომები შესანიშნავად გამოიყენა. მადრიდიდან სარაგოსაში დაბრუნება საშინლად მრცხვენოდა. ხალხს თვალებში ვერ ვუყურებ."*

აღსანიშნავია, რომ ხუანფრანის სულისკვეთებას ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა იზიარებს, მაგრამ მისგან განსხვავებით, ხმამაღლა საუბარს ერიდებიან. მოარული ხმების თანახმად, არაგონული კლუბის ხელმძღვანელობა ვიქტორ ფერნანდესის გათავისუფლებაზე სერიოზულად დაფიქრდა. "დიარიო მარკას" თუ დავუჯერებთ, ისინი რამდენიმე სპეციალისტთან კონფედეციალურ მოლაპარაკებას აწარმოებენ. თავად ფერნანდესი კი გუნდში არსებულ სიტუაციაზე საუბარს დუმილს ამჯობინებს. წამყვანმა ესპანურმა გაზეთებმა "სარაგოსის" პრესსამსახურში საგანგებო პრესკონფერენციის გამართვის მოთხოვნა გააგზავნეს. პირობა მიიღეს, რომ გუშინ მთავარ მწვრთნელს შეახვედრებდნენ, მაგრამ სენიორ ვიქტორმა მსუბუქი სურდო მოიმიზეზა და განაცხადა, რომ სახლიდან გასვლა არ შეეძლო.

SAQARTVELO
GEORGIA

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ოლიმპიური ფონდი



ინტერვიუ საქართველოს ოლიმპიური ფონდის ვიცე-პრეზიდენტ ემზარ ზენაიშვილთან

# ქართულ სპორტში ოლიმპიური ფონდის წვლილი მნიშვნელოვანია

## ფონდი გუშინ და დღეს. ხვალ?

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტიდან ბადრი პატარკაციშვილის გადადგომის შემდეგ, ჩნდება კითხვა - გააგრძელებს თუ არა საქმიანობას საქართველოს ოლიმპიური ფონდი. ამას გარდა, სპორტით დაინტერესებულ საზოგადოებას ინფორმაცია უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ ფონდის მომავალზე, არამედ მის მიერ ამ ხუთ წელიწადში ჩვენი სპორტისთვის გაწეული ხარჯების შესახებაც. ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე კითხვით მივმართეთ ფონდის ვიცე-პრეზიდენტ ემზარ ზენაიშვილს.**

**- ბატონო ემზარ, როდის დაინდო ოლიმპიურმა ფონდმა ფუნქციონირება და ვინ იყო მისი დაფუძნების ინიციატორი?**

- ფონდი საქმიანობას 2002 წლის მეორე ნახევრიდან შეუდგა. მე მგონი, საზოგადოებამ იცის, რომ მისი დაფუძნების ინიციატორი და პროგრამების დამფინანსებელი ბატონი ბადრი პატარკაციშვილია.

**- რა არის ფონდის საქმიანობის ძირითადი მიზანი, სტრატეგია...**

- გაგახსენებთ, 2002 წელი ერთ-ერთი ყველაზე გაუსაძლისი წელიწადი იყო დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ქართული სპორტი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ფაქტობრივად, კითხვის ნიშნის ქვეშ იყო თვით ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის საკითხიც კი. მხედველობაში მაქვს ელემენტარული, ნორმალური მზადების პროცესი. და ფონდიც სწორედ იმ აუცილებლობის გათვალისწინებით დაფუძნდა, რომ ხელი შეეწყო მაღალი მიღწევების სპორტში, პირველ რიგში კი ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის ქართველ სპორტსმენთა მზადებისა და მონაწილეობის პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის. საუბარი იყო მოკლევადიან, კონკრეტულ ამოცანაზე - ათენი 2004. ფონდის შედგომ საქმიანობაზე მაშინ ლაპარაკი არ ყოფილა. ვფიქრობ, 2005-07 წლებში ფონდის საქმიანობა, უფრო მეტად, სეოკ-ის პრეზიდენტად ბატონი ბადრის არჩევამ განაპირობა.

**- რა რაოდენობის ინვესტიცია ჩაიდო ფონდში ოლიმპიური პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფისთვის?**

- განვლილი ხუთნახევარი წლის განმავლობაში ფონდის მიერ ოლიმპიურ პროგრამების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 12 მილიონ 700 ათას ლარზე მეტი.

**- თქვენ თქვით, რომ მთავარი იყო მაღალი მიღწევების სპორტში დასაქმებულ სპორტსმენთა ხელშეწყობა. რაში გამოიხატებოდა ეს და როგორია შედეგები?**

- ამ პერიოდში ფონდმა საწვრთნელი შეკრებების, მსოფლიოსა და ევროპის პირველობებში მონაწილეობისთვის, სპორტული ინვენტარის შეძენითა თუ სხვა სახით, სპორტის 23 ეროვნულ ფედერაციას 5 მილიონ ლარზე მეტი დახმარება აღმოუჩინა. აღნიშნული თანხის თითქმის ნახევარი ორ წამყვან ფედერაციაზე, ჭიდაობასა და ძიუდოზე მოდის. შედეგები თავად ლაპარაკობენ. ამ პერიოდში ქართველი სპორტსმენების მიერ მოპოვებულია ორ-ორი ოლიმპიური ოქრო და ვერცხლი, მსოფლიოს შვიდი და ევროპის ჩემპიონატების ცხრა ოქროს მედალი, და ამავე ჩემპიონატებში ვერცხლისა და ბრინჯაოს 50 მედალი. ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალებში ჩვენი ნორჩი ათლეტების მონაგარია ოქროს შვიდი, ვერცხლის ექვსი და ბრინჯაოს ოთხი მედალი. ცხადია, არ ვამტკიცებ, რომ ეს წარმატებები მხოლოდ ოლიმპიური ფონდის დამსახურება იყოს, მაგრამ მათში, სხვა სპორტულ სტრუქტურებთან ერთად, ფონდის მნიშვნელოვანი წვლილიცაა.

**- მეორე მიმართულება სოციალური პროგრამებია. ორიოდ სიტყვით ამაზეც ვისაუბროთ...**

- უკანასკნელ პერიოდში, ფაქტობრივად, წერტილი დაესვა სპორტსმენთა და მწვრთნელთა მასობრივ მიგრაციას. ამაში ფონდის სოციალური პროექტების წვლილიცაა. განვლილ პერიოდში სპორტსმენთა, მწვრთნელთა, ვეტერან ოლიმპიელთა, ჟურნალისტთა და სპორტული მედიცინის მუშაკთა ყოველდღიური სტიპენდიების თუ ერთჯერადი დახმარებების სახით გაიცა 3.5 მილიონი ლარი. სტიპენდიების ოდენობაც სოლიდური გახლდათ - 250 ლარიდან 2000 ლარამდე.

**- იყო სხვა ოლიმპიურ პროექტებიც. რომელს გამოყოფდით მათგან?**

- რა თქმა უნდა, აქტიურ საგამომცემლო საქმიანობას. ოლიმპიზმის პოპულარიზაციის მიზნით, ოლიმპიურ და სპორტულ თემატიკაზე გამოვიდა ათეულობით წიგნი, კრებული, ბუკლეტი, რამდენიმე მათგანი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შენაძენია. მაგალითად, უნიკალური გამოცემებია "სპორტი და ოლიმპიზმი ქართულ სახვით ხელოვნებაში" და "სპორტული ენციკლოპედია", ამ გამოცემების მსოფლიოს ძალიან ბევრ, ეკონომიკური თუ სპორტული თვალსაზრისით მდიდარ ქვეყნებსაც კი შეშურდებოდათ. ან თუნდაც, ავიღოთ მრავალსერიიანი ვიდეოფილმი "ათენიდან ათენამდე", რაც, ფაქტობრივად, ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორიაა. გავიხსენოთ, თუ როგორი მასშტაბებით აღინიშნა ქართული სპორტის კორიფეების, ნონა გაფრინდაშვილისა და ვიქტორ სანეევის იუბილეები; როგორი გამოძახილი ჰქონდა ღონისძიებას, რომელიც მიეძღვნა ქართველ სპორტსმენთა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს და კიდევ მრავალი სხვა.

**- პროექტი "ბორჯომი 2014"-ც ხომ ფონდის დაფინანსებულია?**

- ამ პროექტის ინიციატორიც ბატონი ბადრი გახლდათ. თავიდანვე ყველასათვის ნათელი იყო, რომ 2014 წელს საქართველო ვერ მოიპოვებდა თამაშების მასპინძლობის უფლებას. მაგრამ ჩვენმა ქვეყანამ დააფიქსირა თავისი სურვილი და ჯანსაღი ამბიცია, ადრე თუ გვიან უმასპინძლოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. ჩვენ სასტარტო პოზიცია უკვე დავიკავეთ და ის გამოცდილება, რაც ამ მიმართულებით დაგროვდა, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.

**- რას გვეტყვით ფონდის სამომავლო გეგმებზე?**

- ფონდის ბიუჯეტით, 2007 წლის დარჩენილ პერიოდსა და 2008 წლის ბოლომდე, კიდევ უნდა დახარჯულიყო დაახლოებით 2.5 მილიონი ლარი. ვვარაუდობ, რომ ფონდის პრეზიდენტს განზრახული ჰქონდა პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებისთვის დაეწესებინა უნიკალური საპრიზო ფონდი. ცნობილი მოვლენების შემდეგ, ჩემთვის ძნელია იმის თქმა, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს სეოკ-ის პრეზიდენტობის პოსტიდან აწ უკვე გადამდგარი ბატონი ბადრი პატარკაციშვილი. თუმცა მისი სიტყვები - კვლავაც მიგულეთ ქართული სპორტის სამსახურშიო - ოპტიმისტურად განგვაწყობს.

---

*თვალსაჩინოებისთვის, გთავაზობთ საქართველოს ოლიმპიური ფონდის მიერ 2002 წლის 1 ივლისიდან 2007 წლის 1 ოქტომბრამდე დაფინანსებული ოლიმპიური და სხვა პროგრამების სრულ ნუსხას.*

**სულ გაწეული ხარჯები:** 12762630 ლარი

I. სპორტული ფედერაციების მიხედვით (სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები, მონაწილეობა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, სპორტული ინვენტარი და სხვა).

| ფედერაცია | თანხა |
|---|---|
| 1. ჭიდაობა | 1 224 979 ლ. |
| 2. ძიუდო | 940 516 |
| 3. კალათბურთი | 513 899 |
| 4. ძალოსნობა | 366 302 |
| 5. ტანვარჯიში | 332 905 |
| 6. კრივი | 278 818 |
| 7. სროლა | 257 423 |
| 8. წყალოსნო სახეობები | 163 628 |
| 9. ზამთრის სახეობები | 133 062 |
| 10. ფრენბურთი | 158 574 |
| 11. ჭადრაკი | 131 677 |
| 12. მშვილდოსნობა | 106 114 |
| 13. მძლეოსნობა | 104 698 |
| 14. ჩოგბურთი | 65 000 |
| 15. მკლავჭიდი | 53 000 |
| 16. თანამედროვე ხუთჭიდი | 49 157 |
| 17. ფარიკაობა | 43 709 |
| 18. ტაეკვონდო | 35 000 |
| 19. ხელბურთი | 15 403 |
| 20. ნიჩბოსნობა | 13 501 |
| 21. ბეისბოლი | 10 000 |
| 22. ველოსპორტი | 7 880 |
| 23. ფიგურული სრიალი | 1 500 |

*სულ: 5 006 745 ლარი*

II. სპორტსმენთა, მწვრთნელთა, ვეტერან ოლიმპიელთა და ჟურნალისტთა, სპორტული მედიცინის მუშაკების ყოველთვიური სტიპენდიები და მატერიალური დახმარება.

1. **სპორტსმენები, მწვრთნელები, სპორტული მედიცინის პერსონალი** 2 079 750 ლარი
2. **ვეტერანი ოლიმპიელები და სპორტული ჟურნალისტები** 585 000
3. **ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონების მატერიალური წახალისება (პირადი ანგარიშიდან)** 800 000

*სულ: 3 464 750 ლარი*

III. სხვა ოლიმპიური პროგრამები

1. პროექტი **"ბორჯომი 2014"** 1 266 710
2. **ოლიმპიზმის პოპულარიზაცია, გამოცემები და ვიდეოფილმები ოლიმპიურ და სპორტულ თემატიკაზე, ქართული სპორტის კორიფეთა საიუბილეო საღამოები და სხვ.** 1332 380
3. **ოლიმპიური ნაკრები გუნდის სამედიცინო უზრუნველყოფა** 35 000

*სულ: 2 634 090 ლარი*

IV. სხვა პროგრამები

1. **სპეციალური ოლიმპიური კომიტეტი** 88 330
2. დახმარება საფეხბურთო კლუბ **ბორჯომისთვის** 50 000
3. **სხვადასხვა (მათ შორის, ათენში "ქართული სახლის" მოწყობა, სპორტული ეკიპირება, სეოკ-ის ოფისის ფუნქციონირება და ა.შ.)** 1 041 261
4. **სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სოციალური და საშემოსავლო გადასახადები** 477 454

*სულ: 1 657 045 ლარი*

*შენიშვნა: **მიმდინარე ოლიმპიური ციკლის დასრულებამდე (ანუ 2009 წლის 1 იანვრამდე) ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში დამატებით გათვალისწინებული იყო 2.6 მილიონი ლარის ინვესტიცია (პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა საპრიზო ფონდის გარეშე).***

## ჭადრაკი

ევროპის გუნდური ჩემპიონატი

# იმედი გვაქვს, ჩემპიონი საქართველო იქნება

**27 ოქტომბერს კუნძულ კრეტაზე ევროპის გუნდური ჩემპიონატი იწყება. ვაჟთა ნაკრების შემადგენლობა და წინასაშეჯიბრო სამზადისი უკვე გაგაცანით დღეს ქალთა ნაკრების შესახებ ვისაუბრებთ. რესპონდენტად გუნდის მთავარი მწვრთნელი, დიდოსტატი ზურაბ სტურუა გვყავს.**

**- ბატონო ზურაბ, როგორი ინტენსივობით ემზადებოდით, სად და კმაყოფილი ხართ თუ არა?**

- ჩვენთვის უმთავრესი და მუდმივი პრობლემა უფულობაა, რის გამოც ისეთი ინტენსივობითა და ხანგრძლივი დროით მომზადება ვერ შევძელით. გუნდის წევრებთან თბილისში ვმუშაობდი, რასაც, დამეთანხმებით, შეკრებას რთულად თუ დაარქმევთ, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა. ესეც ხანგრძლივობით არ გამოირჩეოდა, თუმცა მუშაობა ნაყოფიერი იყო და იმედი მაქვს, რომ ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით გამოვალთ. ამას გარდა, გოგონები მთელი ზაფხულის განმავლობაში სხვადასხვა ტურნირებში თამაშობდნენ და სათამაშო პრაქტიკა კარგი აქვთ.

**- ცხადია, მაღალ ადგილებს უმიზნებთ - ასეთი მოთხოვნაა გულშემატკივრისგანაც, რადგანაც ტრადიცია ერთგვარად გვავალდებულებს მოწინავეთა რიგებში ყოფნას...**

- შეგვიძლია კიდეც მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა და ვეცდებით, ვაჩვენოთ მაღალი შედეგი. რა თქმა უნდა, ძალიან რთულია ჩემპიონობა, მაგრამ ისეთი შემადგენლობა გვყავს, სავსებით რეალურია, შევძლოთ. თუმცა ამისთვის მხოლოდ კარგ სპორტულ ფორმაში ყოფნა საკმარისი არ იქნება - ცოტა იღბალიც საჭიროა, ფორტუნამ ზურგი არ უნდა გვაქციოს. ერთიც: ევროპის ჩემპიონატზე, ოლიმპიადისგან განსხვავებით ბევრად ნაკლები გუნდია - 30-მდე. თანაც საუკეთესო ნაკრებები მსოფლიოში ძირითადად ევროპაშია თავმოყრილი - მსოფლიოში ჩინეთი, ინდოეთი და აშშ თუ ითვლებიან უმაღლესი კლასის გუნდებად და რახან ნაკრებთა სიმცირეა, პირველივე ტურიდან გიწევს ძლიერ მეტოქეებთან თამაში. თანაც 9 ტურად იმართება შეჯიბრი და ერთი ჩავარდნის უფლებაც არ გრჩება. ასეთ რეჟიმში თამაში კი ძალიან დიდ ფიზიკურ ენერგიას მოითხოვს - ანუ მოჭადრაკეთა ფიზიკური მზადყოფნა იქნება ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი.

**-ეს ნამდვილად პრობლემაა. ბევრი ქართველი მოჭადრაკე დაუღალატებია გამძლეობას... თქვენ რახან ამის საჭიროებას ხედავთ, აქცევთ თუ არა განსაკუთრებულ ყურადღებას გუნდის წევრთა ფიზიკურ მზადებას?**

- გამომდინარე იქიდან, რომ შეკრებაზე ვერ წავედით, ამ მხარეს უშუალოდ ვერ გავაკონტროლებდი. მე ვთვლი, რომ სპორტსმენმა კარგად უნდა შეიგრძნოს პრობლემის არსი და საკუთარ თავს მიხედოს. მართალია, გუნდური ბრძოლა დიდ ენერგიას მოითხოვს, მაგრამ ასეთი ტურნირი წელიწადში ერთია, დანარჩენ დროს კი ისინი უამრავ ტურნირში ასპარეზობენ და გამძლეობა ნამდვილად ესაჭიროებათ.

**- წარმატებისთვის გუნდის ტაქტიკურ-სტრატეგიული პოლიტიკაც უშეცდომო უნდა იყოს, რომელსაც ტურნირზე კაპიტანი წარმართავს, თქვენ მწვრთნელი ხართ და ეს მხარე არ გეხებათ...**

- ამჯერად კაპიტნის ფუნქციებიც მე შევითავსე, ამიტომ ამ მხარესაც უნდა მივხედო.

**- თუ ასეა, მოჭადრაკეები დაფების მიხედვით უკვე განაწილებული გეყოლებათ...**

- სიმართლე გითხრათ, საბოლოოდ არ ჩამოვყალიბებულვართ. თუმცა, გარწმუნებთ, რომ ობიექტურად იქნება საკითხი გადაწყვეტილი და რაც მთავარია, გუნდის სტრატეგიისა და ტაქტიკის გათვალისწინებით - გააჩნია როგორი მეტოქე გვეყოლება კონკრეტულ მატჩში.

**- ობიექტურობის მთავარი კრიტერიუმი რა არის?**

- უპირველესად რეიტინგი. თუ ამ ფაქტორით ვიხელმძღვანელებთ, განლაგება ასეთი იქნება: მაია ჩიბურდანიძე (2500), ლელა ჯავახიშვილი (2474), ნინო ხურციძე (2451), ნანა ძაგნიძე (2416), მაია ლომინეიშვილი (2409).

**- გუნდურ ტურნირებში, განსაკუთრებით ევროპის ჩემპიონატზე, ხშირი იყო შემთხვევა, როცა ჩემპიონობა შედარებით სუსტ გუნდებს მოუპოვებიათ. როგორ ფიქრობთ, ამჯერად ასეთი რამ შესაძლებელია?**

- სპორტში გამორიცხული არაფერია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამჯერად "შემთხვევითი" გუნდები ჩემპიონობას ვერ მოიპოვებენ. საქმე ის არის, რომ ადრე გათამაშების ფორმატი იყო სხვა - ორ დაფაზე თამაშობდნენ, რაც ძალიან ზრდიდა შემთხვევითობის ფაქტორს. ამის გამო იყო, რომ ბათუმში ევროპის ჩემპიონატზე სლოვენიელები გახდნენ, სამი წლის წინათ კი ანალოგიურ შედეგს სომხებმა მიაღწიეს. ვერც ბოლო ევროპის ჩემპიონი პოლონეთი ჩაითვლება საჩემპიონო გუნდად, თუმცა ძლიერი მოჭადრაკეებით კი არის დაკომპლექტებული.

ახლა უკვე ოთხ დაფაზე იბრძვიან ქალბატონები და ძლიერ გუნდებს დიდი შანსი აქვთ, საკუთარი უპირატესობა დაამტკიცონ.

ქულათა დარიცხვის სისტემაც მომწონს - უფრო ობიექტურია, ვიდრე ოლიმპიადაზე. მოგეხსენებათ, ოლიმპიადაზე თითოეული პარტიის მიხედვით აკუთვნებენ ქულებს, აქ კი მატჩის მოგებით - გამარჯვებაზე ორი ქულა ეძლევათ, ყაიმზე - 1. ამიტომაც მივიჩნევ, რომ წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებული ნაკრები ობიექტურად უძლიერესი იქნება.

იმედი გვაქვს, ეს გუნდი საქართველოს ნაკრები იქნება.

**ზვიად შათირიშვილი**

25-27 ოქტომბერი, სპორტის სასახლე. ჩელენჯ ტროფი. საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა

# რატი მსხვილიძე, ერაძის პროტეჟე

**რატი მსხვილიძე** რომ ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ქართველი ხელბურთელია, ამაზე ორი-სამი წელიწადია, არავინ დავობს. შარშანწინ, როდესაც საქართველოს კადეტთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშა, მაშინ ნაკრების თავკაცმა ირაკლი კეკელიძემ ინტერვიუში მითხრა - დაიმახსოვრეთ მსხვილიძე, იგი დიდ ხელბურთს ითამაშებსო.

კეკელიძის სიტყვები ნელ-ნელა ხდება. შარშან, რატიმ თბილისში გამართულ 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშა შთამბეჭდავად, გასულ ეროვნულ ჩემპიონატშიც უდავოდ საუკეთესო იყო და სეზონის ბოლოს, ისლანდიას მიაშურა კარიერის გასაგრძელებლად.

იანვარში, ტრავმის გამო იგი ეროვნულ ნაკრებს სათანადოდ ვერ დაეხმარა და ვიმედოვნებთ, რაც მაშინ ვერ შეძლო, ახლა გააკეთებს - "ჩელენჯ ტროფიზე". ისლანდიიდან ჩამოსულ რატი მსხვილიძეს გუშინ, ნაკრების ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრეთ.

- ისლანდიაში საკმაოდ თბილად და მეგობრულად მიმიღეს. "სტიარნანი" საკმაოდ კარგი გუნდია, ისლანდიის ჩემპიონატიც მაღალი დონისაა. ახლად ჩასული ვიყავი, რომ რეიკიავიკის ჩემპიონატში ვითამაშეთ და ჩემპიონობა არავის დავუთმეთ. მერე კი ისლანდიის ჩემპიონატი დაიწყო, სადაც ექვსიდან ხუთი მატჩის მოგებითა და ერთი წაგებით, პირველ ადგილზე ვართ. ჩვენი ძირითადი ამოცანა ჩემპიონობა და ისლანდიის თასის მოპოვებაა.

**- საქართველოს ჩემპიონატიდან პირდაპირ ისლანდიის ჩემპიონატში თამაში არ გაგიჭირდა?**

- ცოტა მართლაც გამიჭირდა, რადგან ისლანდიაში უფრო ხისტად და სწრაფად თამაშობენ. თანაც, გუნდში ასაკით ერთ-ერთი ყველაზე უმცროსი ვარ და მწვრთნელები ნელ-ნელა მაჩვევენ ძირითად შემადგენლობას. ჯერჯერობით, უფრო შეცვლებზე მიწევს ხოლმე თამაში. ზუსტად არ დამითვლია, მაგრამ ისლანდიის ჩემპიონატში დაახლოებით ათ გოლამდე გავიტანე.

**- თასების მფლობელთა თასზე, დასანანი მარცხი იწვნიეთ უკრაინის "ბროვართან"...**

- ძალიან ცოტა დაგვაკლდა შემდეგ ეტაპზე გასვლამდე. ისლანდიაში ერთი ბურთით წავაგეთ, სტუმრად კი იგივე სხვაობით მოვიგეთ, მაგრამ ჩვენს მოედანზე უფრო მეტი გოლი გავუშვით და ამის წყალობით, უკრაინელები გავიდნენ მომდევნო წრეში. ისლანდიაში არ მითამაშა, უკრაინაში კი სამი წუთით შემიშვეს მოედანზე და ერთი გოლი შევაგდე.

**- "სტიარნანში" ისლანდიის ნაკრების ქართველი მეკარე როლანდ ერაძე დაგხვდა. ეს ალბათ, უფრო გაგიადვილებდა გუნდთან ადაპტაციას.**

- რა თქმა უნდა. შეიძლება ითქვას, რომ გუნდში ჩემი პატრონი როლანდია. რაც არ უნდა დამჭირდეს, მუდამ გვერდში მიდგას, მეხმარება და რჩევებს მაძლევს. მას ისლანდიაში საკმაოდ დიდი ავტორიტეტი აქვს.



**- შარშან, "სტიარნანში" თამაშობდა ტიტე კალანდაძეც. მასზე რას ამბობენ?**

- ტიტეს ყველა დადებითად ახასიათებს - ძალიან მაღალი დონის ხელბურთელიაო. გული სწყდებათ, რომ ტრავმის გამო, გუნდიდან წავიდა.

**- საქართველოს ნაკრების შანსებზე რას იტყვი?**

- ჩემი აზრით, "ჩელენჯ ტროფზე" ფავორიტები ვართ. მით უმეტეს, რომ თითქმის ყველა ლეგიონერი ჩამოვიდა და საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა გვყავს. ვიმედოვნებ, იანვარში ფინალში ვითამაშებთ.

## რეზო ჭანტურია: ფინალის საგზური ჩვენ უნდა დაგვრჩეს



**რეზო ჭანტურიას სახელი ქართული ხელბურთის გულშემატკივრისთვის კარგად ნაცნობია. ბოლო წლებში, იგი სისტემატიურად თამაშობს ეროვნულ ნაკრებში და გუნდის შეუცვლელ და ერთ-ერთ საკვანძო ფიგურად გვევლინება. სხვა ლეგიონერების მსგავსად, რეზოც ჩამოვიდა თავისი მაკედონიური "მეტალურგიდან" და ნაკრებს შეუერთდა.**

- რაც სეზონი დაიწყო, "მეტალურგს" საკმაოდ დაძაბული და საინტერესო ბრძოლების გადატანა მოუხდა. მაკედონიის ჩემპიონატში, "ვარდართან" ერთად, პირველ-მეორე ადგილებს ვიყოფთ და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ წლეულსაც, ალბათ, ეს ორი გუნდი ვიბრძოლებთ ჩემპიონობისა და თასისთვის.

"ვარდარს" უკვე ვეთამაშეთ ჩვენს მოედანზე, შეხვედრა ფრედ დასრულდა და ოთხი გოლი გავიტანე. არადა, მოგებასთან ძალიან ახლოს ვიყავით. მატჩის დამთავრებამდე 20 წამით ადრე, თანაგუნდელები 32:31 დავაწინაურე, მაგრამ დარჩენილ დროში დასანანი გოლი გავუშვით.

რაც შეეხება ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასს, იქ კვიპროსის "სტროვოლოსს" მოვუგეთ ორი მატჩის ჯამში. პირველი შეხვედრა კვიპროსში გვქონდა, სადაც მსაჯებიც არაობიექტურები იყვნენ და ჩახუთული დარბაზიც არაფრად ვარგოდა. საპასუხო მატჩში კი ყველაფერი თავის ადგილას დავაყენეთ, 13-ბურთიანი სხვაობით მოვიგეთ და შემდეგ ეტაპზე გავედით, სადაც შვედურ "სავეჰოფს" ვხვდებით. კვიპროსში სამი გოლი გავიტანე, სკოპიეში კი უგოლოდ დავტოვე მოედანი.

**- მაკედონიის ჩემპიონატში თამაშით კმაყოფილი ხარ?**

- ჯერჯერობით, "მეტალურგში" საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობ თავს. პირობებიც ნორმალურია, სტაბილურადაც ვთამაშობ და საკუთარი გარჯითაც კმაყოფილი ვარ. საერთოდ, მაკედონიაში ნომერ პირველი სპორტია ფეხბურთი, მაგრამ ხელბურთიც ძალიან უყვართ. ჩემს გუნდს საკმაოდ მრავალრიცხოვანი, ემოციური და "ველური" ფანები ჰყავს. პრინციპულ მატჩებში თავგამოდებით გვქომაგობენ და მეტოქე გუნდსა თუ მის ფანებს შავ დღეში აგდებენ. თუ ძალიან გაჭირდა საქმე, არც ბოთლების სროლას ერიდებიან. "ვარდართან" მატჩზე 3000 მაყურებელი მოვიდა.

**- სანაკრებო თემით დავასრულოთ...**

- "ჩელენჯ ტროფიზე" გუნდებს სიძლიერის მიხედვით ასე დავაწყობდი: საქართველო, მოლდოვა, აზერბაიჯანი და სომხეთი. რაც მთავარია, საქართველოს ნაკრებში იდეალური განწყობაა, საკადრო პრობლემები თითქმის არ გვაქვს და ყველანი მზად ვართ, რომ საკუთარ კედლებში ფინალის საგზური არავის დავუთმოთ.

**კობა ხატისაშვილი**

## ანდრო ანდრიაშვილი: ნაგებაზე ფიქრით არ შეიძლება!



**ანდრო ანდრიაშვილმა საქართველოს ნაკრებში ბოლოს 1999 წელს ითამაშა, როდესაც გუნდი და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პლეიოფში გავიდა. რვა წლის შემდეგ ანდრო კვლავ სამშობლოშია და ნაკრებთან ერთად ემზადება "ჩელენჯ ტროფისთვის".**

- თელაველი ვარ და ხელბურთის თამაში იქ დავიწყე, შემდეგ რამდენიმე კლუბი გამოვიცვალე საქართველოს ჩემპიონატში - "ქარიშხალა", სტუ და ასკ. 2000 წელს კი უცხოეთში გავაგრძელე კარიერა. ჯერ ბელგიის უმაღლესი ლიგის კლუბ "საშაში" ვთამაშობდი, სადაც წელიწადნახევარი დავყავი. ამის შემდეგ კი ესპანეთს მივაშურე და დღემდე მესამე ლიგის კლუბ "არანგა სორიას" ღირსებას ვიცავ.

**- ესპანეთის თუნდაც მესამე ლიგა რომ დაბალი დონის არ იქნება, ცხადია. "არანგა სორიას" რა ამბიციები აქვს?**

- ესპანეთის ჩემპიონატი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ლიგაა და იქ მესამე დივიზიონშიც კი მშვენიერი პირობებია. ხშირად ხდება, რომ მესამელიგელებს პრიმერადივიზიონიდან გადმოგყავთ ხელბურთელები, რათა მეორე ლიგაში გადავიდნენ. მეორე ლიგაში კი სპონსორები ემატებათ, კიდევ უფრო ძლიერდებიან და ელიტაში გადასასვლელად იბრძვიან.

რაც შეეხება "არანგა სორიას", წლევანდელი სეზონი კარგად დავიწყეთ. ბოლო ტურის წინ, მეექვსე პოზიციაზე ვიყავით და პირველადგილოსანს მხოლოდ ორი ქულით ჩამოვრჩებოდით. სამწუხაროდ, ბოლო მატჩი წავაგეთ და ლიდერთან სხვაობა ოთხ ქულამდე გაიზარდა, მაგრამ არაფერია, ჯერ მთელი სეზონი წინ გვაქვს. ჩვენი მთავარი ამოცანაა, პირველ ან მეორე ადგილზე გავიდეთ, რაც მეორე ლიგაში გადასასვლელ პლიოფში თამაშის უფლებას მოგვცემს. მე სტაბილურად ვთამაშობ ძირითად შემადგენლობაში და კარგ ფორმაში ვარ.

**- ესპანეთში კიდევ ერთი ქართველი თამაშობს - გიორგი გვაზავა...**

- დიახ, გიორგი კატალონიის ლიგის კლუბ "ბორდილსში" თამაშობს და საკმაოდ კარგად გამოიყურება. საერთოდ, ესპანეთის ქვედა დივიზიონებში ძალიან ჩახლართული სისტემაა - უამრავი ლიგაა, მაგრამ ყველგან მშვენიერი პირობებია.

**- საქართველოს ნაკრებში გამოძახების კანდიდატი იანვარში, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზეც იყავი, მაგრამ ვერ ჩამოხვედი...**

- ნაკრებში პირველად რომ ვითამაშე, 18 წლის ვიყავი და მას შემდეგ, თითქმის ყოველთვის მიძახებენ. ბოლოს 1999 წელს ვითამაშე, როდესაც ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პლეიოფში გავედით. რაც შეეხება იანვრისთვის ვერჩამოსვლას, ძალიან მინდოდა ნაკრებს დავხმარებოდი, მაგრამ კლუბში მძიმე ტრავმა მივიღე - კუნთი გამიწყდა და ვერ მოვახერხე.

**- ამდენი ხნის გამშორების შემდეგ, შეძლებ ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას?**

- ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაში თამაში ნებისმიერი სპორტსმენის ოცნებაა. საერთოდ კი, არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ერთი საათი ითამაშებ ნაკრებში თუ ხუთი წუთი. მთავარია, რა დროსაც დაჰყოფ მოედანზე, შესაძლებლობების მაქსიმუმი გაიღო. მე ნებისმიერ თამაშში ყველაფერს ვდებ, რაც გამაჩნია და რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრებშიც ასე გავაკეთებ.

**- მეტოქეებზე რას იტყვი?**

- ორი აზრი არ არსებობს, რომ აუცილებლად უნდა გავიდეთ ჯგუფიდან. წაგებაზე ფიქრს ჯობია, საერთოდ არ ითამაშო და არც უნდა ვიფიქროთ ამაზე.

**კობა ხატისაშვილი**



**საქართველოს** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეა დეპარტამენტი და მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 75 წელს ულოცავენ ვეტერან მძლეოსანს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს და რეკორდსმენს, "დინამოს" საკავშირო ჩემპიონს, სსრ კავშირის ხალხთა სამი სპარტაკიადის მონაწილეს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ღირსების ორდენის კავალერს **მამია ტუღუშს**, უსურვებენ მას მხნეობას და მალე გამოჯანმრთელებას.

**საქართველოს** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 75 წელს ულოცავს ქართული სპორტის ღვაწლმოსილ მუშაკს, მძლეოსანთა თაობების და სპორტის სპეციალისტთა აღმზრდელს, მოსკოვის ოლიმპიადის მსაჯთა კორპუსის წევრს **მამია ტუღუშს**.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

სუპერლიგა. I ტურის მიმოხილვა და სტატისტიკა

# გვიმრავლოს კოლეჯელები

სამი წლის წინათ, მე-14 ჩემპიონატის მსვლელობისას ხშირად მოისმენდით - ქართულ გუნდებს შორის ოთხი თანაბარი ძალისაა, შესაბამისად, ბრძოლებიც დაძაბულია და კლასის ამაღლებაც ამას მოსდევსო. დღევანდელი გადასახედიდან ეს გამონათქვამი თავის მოტყუებად ჩანს, რადგან 2004-05 წლების სეზონში 20-მდე ნარჩევი ქართველი კალათბურთელი ირან-აზერბაიჯანს იყო მოდებული...

დღეს ყველა მათგანი (მათ შორის **ბაბიაშვილი, როდუმტა, მინაშვილი, ბარბაქაძე...**) საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს. მათ პარალელურად რუსთავის "აზოტში", ამერიკის კოლეჯების ლიგაში გამობრძმედილი სამი კალათბურთელი (**ველტონ რივერსი, ენვარ ფერგიუსონი და იოვან სტეფანოვი**) ჩაირიცხა, რომლებმაც უკვე დაგვანახეს, რომ მაღალი კლასის სპორტსმენები არიან.

სხვათა შორის, "ვითაც" აპირებდა 2-3 უცხოელით გაძლიერებას, მაგრამ ეს საქმე უახლოესი მომავლისთვის გადადო.

ასე რომ, წინა სეზონებთან შედარებით, წლეულს უკეთესი ჩემპიონატი გველის. აქამდე ვამბობდით - ვერის ბაღის დარბაზი თუნდაც ჩვენი კალათბურთელების დონეს არ შეესაბამებაო. ახლა საპირისპიროს თქმა შეიძლება - ევროპული დონის სასახლე ჩვენი მოთამაშეებისგანაც ევროკლასის თამაშს მოითხოვს.

სასახლის "მოთხოვნები" პირველმა ტურმა მეტ-ნაკლებად დააკმაყოფილა - საქართველოში გაზრდილი **გიორგი შერმადინი** ეფექტურად გაისარჯა და ტურის MVP-ს გამოკითხვაში ზემოთნახსენებ კოლეჯელებზე მეტი ხმა მიიღო.

გიორგიმ საუკეთესოდ დასახელებისთვის მადლობა გადაგვიხადა და "მაკაბი"-"ავიამშენის" მატჩი გაიხსენა:

*"ისევე, როგორც დუდუ დადიანის მემორიალზე, რუსთავში "აზოტთან" მატჩში ამჯერადაც ყველამ კარგად ვითამაშეთ. მეტოქეზე უკეთ გამოვიყურებოდით, როგორც დაცვაში, ასევე - შეტევაში. თუმცა, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ "ავიამ" თავისი ჩვეული თამაში ვერ უჩვენა".*

"მაკაბის" მწვრთნელის, **ჯამლეტ ხუხაშვილის** თქმით, "ავიატორთა" დამარცხება მაინც სენსაცია იყო. გიორგი შერმადინი კი ხაზს "მაკაბის" შემადგენლობას უსვამს: *"გასული სეზონის შემდეგ რამდენიმე კარგი კალათბურთელი დაგვემატა. მართალია, ჯერ სათანადო ფორმისთვის არ მიგვიღწევია, მაგრამ მონდომების ხარჯზე პირველ წარმატებასაც მივაღწიეთ".*

შერმადინს ჩემპიონატში მომრავლებულ ტანმაღალ კალათბურთელებზეც ვკითხეთ: *"ავიამშენში" გამოცდილი მეფარე როდუმტაა, მის წინააღმდეგ თამაში იოლი არ გახლავთ. სასიამოვნოა, რომ რუსთავის "აზოტის" ორი ლეგიონერი ტანმაღალია და მომიწევს პაექრობა. ეს ჩემთვის საინტერესო გამოწვევაა და ვეცდები, თავი არ შევირცხვინო".*

**ვაჟა სიმონიშვილი**



გიორგი შერმადინი (9)




| | |
|---|---|
| დინამო-თსუ | 64:78 |
| ვითა-აზოტი | 66:85 |
| მაკაბი-ავიამშენი | 83:76 |

**ქულა**

| მოთამაშე | ქულა |
|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 28 |
| 2. კოტე ტულუში (ავიამშენი) | 28 |
| 3. მიხეილ ბერიშვილი (თსუ) | 27 |
| 4. ირაკლი ბერიშვილი (მაკაბი) | 25 |
| 5. იოვან სტეფანოვი (ენ. ინვესტი) | 21 |
| 6. არჩილ ქლენტი (დინამო) | 20 |
| 7. ველტონ რივერსი (ენ. ინვესტი) | 19 |
| 8. მიხეილ ფანჩულიძე (თსუ) | 17 |
| 9. გიორგი ნიკოლაძე (ავიამშენი) | 14 |
| 10. შიო ხეცურიანი (თსუ) | 14 |

**მოხსნა**

| მოთამაშე | მოხსნა |
|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 18 |
| 2. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) | 17 |
| 3. რევაზ ათანელიშვილი (დინამო) | 14 |
| 4. დავით ბერძენიშვილი (ვითა) | 9 |
| 5. დავით ბერიშვილი (მაკაბი) | 8 |
| 6. ვახტანგ მინაშვილი (ავიამშენი) | 8 |
| 7. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 8 |
| 8. პლასიდე როდუმტა (ავიამშენი) | 7 |
| 9. გიორგი მარკოიშვილი (ვითა) | 7 |
| 10. ლექსო ლაფანაშვილი (დინამო) | 7 |

**პასი**

| მოთამაშე | პასი |
|---|---|
| 1. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 7 |
| 2. გიორგი გამყრელიძე (ენ. ინვესტი) | 6 |
| 3. ირაკლი ბერიშვილი (მაკაბი) | 5 |
| 4. გიორგი მარხვაშვილი (ვითა) | 4 |
| 5. შიო ხეცურიანი (თსუ) | 4 |
| 6. ირაკლი ხოშტარია (ავიამშენი) | 3 |
| 7. გიორგი მარკოიშვილი (ვითა) | 3 |

**ჩაჭრა**

| მოთამაშე | ჩაჭრა |
|---|---|
| 1. გიორგი გამყრელიძე (ენ. ინვესტი) | 5 |
| 2. დავით ბერიშვილი (მაკაბი) | 4 |
| 3. ირაკლი ხოშტარია (ავიამშენი) | 4 |
| 4. მიხეილ ბერიშვილი (თსუ) | 4 |
| 5. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 3 |
| 6. შალვა კოხრეიძე (თსუ) | 3 |
| 7. გიორგი ნიკოლაძე (ავიამშენი) | 3 |
| 8. პლასიდე როდუმტა (ავიამშენი) | 3 |
| 9. ლექსო ლაფანაშვილი (დინამო) | 3 |

**დაფარება**

| მოთამაშე | დაფარება |
|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 4 |
| 2. ანვარ ფერგიუსონი (ენ. ინვესტი) | 3 |

**შეცდომა**

| მოთამაშე | დაფარება |
|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 8 |
| 2. რევაზ ათანელიშვილი (დინამო) | 7 |
| 3. გულივერ ახალკაცი (დინამო) | 6 |
| 4. დავით ბერძენიშვილი (ვითა) | 4 |
| 5. ბესიკ ლეჟავა (ენერჯი ინვესტი) | 4 |
| 6. ირაკლი ბერიშვილი (მაკაბი) | 4 |
| 7. ირაკლი ხოშტარია (ავიამშენი) | 4 |
| 8. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 4 |

**სხვადასხვა**

**გუნდური სტატისტიკა**

**ყველაზე, ყველაზე...**

**მეტი მოხსნა** - 47, მაკაბი
**ნაკლები მოხსნა** - 33, ვითა
**მეტი პასი** - 15, ვითა
**ნაკლები პასი** - 4, დინამო
**მეტი ფოლი** - 27, თბილავიამშენი
**ნაკლები ფოლი** - 10, ენერჯი ინვესტი
**მეტი შეცდომა** - 21, დინამო
**ნაკლები შეცდომა** - 16, თბილავიამშენი

**საინტერესო ფაქტები**

**1.** "თბილავიამშენმა" "მაკაბისთან" 31 სამიანიდან მხოლოდ 5 გამოიყენა (16.1 პროცენტი). ხუთივე ზუსტი სროლა კოტე ტულუშის ანგარიშზე იყო, მთელმა გუნდმა კი 18-დან 18 შორეული ტყორცნა გააფუჭა.

**2.** თორნიკე ნინიაშვილმა 17 წუთში უფრო მეტი შეცდომა და ფოლი (2+4) დააგროვა, ვიდრე ქულა და მოხსნა (0+5).

**3.** მიხეილ ბერიშვილი პირველი ტურის ყველაზე აკურატული მოთამაშე იყო: 7-ში 6 გამოყენებული სამიანი, 5-ში 4 ორიანი და 2-ში 1 საჯარიმო ტყორცნა.

**4.** "მაკაბისა" და "თბილავიამშენის" შეხვედრაში გიორგი შერმადინმა და ირაკლი ბერიშვილმა ჯამში იმდენივე ზუსტი საჯარიმო დააგროვეს (21), რამდენიც მთელმა "თბილავიამშენმა".

**5.** "ენერჯი ინვესტის" ლეგიონერებმა, იოვან სტეფანოვმა და ველტონ რივერსმა მატჩი 10-10 საშუალო სროლიდან 7-7 გამოიყენეს. ერთმაცა და მეორემაც მოედანზე 28-28 წუთი დაჰყო.

**6.** ერთადერთი მოთამაშე, ვისაც სტატისტიკურ ოქმში არცერთ გრაფაში 0 არ ეწერა, კოტე ტულუში იყო – 28 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება, 4 ფოლი, 1 შეცდომა, 2 ზუსტი საშუალო და 5 შორეული ტყორცნა, 9 ზუსტი საჯარიმო.

**7.** ყველაზე დიდი გაქცევა "მაკაბიმ" გააკეთა, რომელმაც "თბილავიამშენს" პირველ მეოთხედში 3 წუთი 11:0 მოუგო და 13:7 დაწინაურდა.

სტატისტიკა აღებულია www.gbf.ge-დან

რაგბი

# ფუძემდებელი

**საქართველოში რაგბის ერთ-ერთ ფუძემდებელს, გივი მრელაშვილს დღეს 70 წელი შეუსრულდა. პიროვნება, რომელიც ქართული რაგბის სათავეებთან იდგა, მართალია, დღესდღეობით რაგბიში აღარ მოღვაწეობს, მაგრამ ისევ ძველებურად, რაგბულად უცემს გული. გივი მრელაშვილი ერთ-ერთი იმათთაგანია, რომელიც შორეულ, სამოციანი წლების დასაწყისში საფრანგეთიდან იმიგრირებულ ჟაკ ჰასპეკიანს გვერდში დაუდგა და საქართველოში პირველი სარაგბო შეჯიბრის ორგანიზება გაახერხა.**



გივი მრელაშვილი

- მაშინ რაგბი რა იყო, ჩვენში ბევრმა არ იცოდა - იხსენებს გივი მრელაშვილი - ერთხელ იმდროინდელი მთავრობის მაღალჩინოსნებთან გვქონდა შეხვედრა რაგბის საჭირბოროტო საკითხებზე. საუბრისას ერთმა იკითხა, ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ინსტრუმენტებს ვინ იყიდისო. რაგბი საქართველოში ზოგს "ორერა" და "რერო" ეგონა.

ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, მჯეროდა, რომ ეს თამაში ჩვენში ფეხს მოიკიდებდა. 1963 წელს ჟურნალ "დროშაში" გამოქვეყნდა ჩემთან ინტერვიუ სათაურით "ფეხბურთის მრისხანე მეტოქე". მჯეროდა, რომ როდესმე რაგბი ფეხბურთზე არანაკლებ პოპულარული გახდებოდა საქართველოში.

**- საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ახლახან მსოფლიო თასზე ფურორი მოახდინა. ცხადია, ქართული რაგბის ერთ-ერთ ფუძემდებელს ეს ყველაზე მეტად ახარებს.**

- იცით როგორი განცდა მაქვს? გლეხი შრომას რომ გაწევს, დათესავს და ისეთ მოსავალს მიიღებს, თვითონვე რომ გაუკვირდება. ყველაფერზე შეიძლება მეოცნება, მაგრამ ჩვენი ნაკრების ასეთ თამაშს თუ მოვესწრებოდი, ნამდვილად არ მეგონა. განსაკუთრებით უნდა გამოვყო ჩვენი ბიჭების ბრძოლა ირლანდიის ნაკრებთან. ამ თამაშში მათ თავიანთ თავს აჯობეს. ამ მატჩის პერიპეტიები სანამ პირში სული მიდგას, არასდროს წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ეს წარმატება, ჩვენი ყველა თაობის მორაგბეთა გარჯის ნაყოფია.

**- აღფრთოვანებასა და სიხარულთან ერთად, მომავლისადმი ფრთხილი, გონივრულად მიდგომის განცდა აქვს.**

- ახლა მთავარია, იმედგაცრუება არ მოყვეს ყოველივე ამას. კარგია, რომ ქვეყნის ხელისუფლება სერიოზულად დაინტერესდა სპორტის ამ სახეობის განვითარებით. მაგრამ, ერთი რამ უნდა დავძინო - თუ ქართულმა რაგბმა ის თავქარიანობა, რომანტიზმი დაკარგა, რაც დღემდე ახასიათებდა, არაფერი გამოვა. არც მოედნები გვიშველის და არც ფინანსები.

სიცოცხლე, გამარჯვებისკენ სწრაფვაა ჩვენი მორაგბეების დევიზი და აქეთკენ უნდა იყოს მიმართული მთელი ერის სწრაფვაც - სიცოცხლისკენ, გამარჯვებისკენ! რაგბი ჩვენი სპორტია და მას განსაკუთრებული ყურადღება, მოფრთხილება სჭირდება.

# ზურაბ ხარშილაძე 60 წლისაა

**ზურაბ ხარშილაძე** თბილისი "ლოკომოტივის" ერთერთი გამორჩეული ფიგურა, საკუთარი სათამაშო მანერის 9 ნომერი იყო. 1966 წლიდან, მთელი 16 წელიწადი ერთგულად ემსახურა ოვალურბურთა თამაშს. რკინიგზელთა გუნდთან ერთად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემოინატის ბრინჯაოს პრიზიორი და თასის მფლობელი. მაშინდელ საბჭოეთის ნაკრებში ოთხი კეპიც მოიპოვა.

ზურაბ ხარშილაძე რაგბიში შემთხვევით მოხვდა, მაგრამ ისე როგორც ბევრ ღირსეულ ადამიანს, ამ ვაჟკაცურ თამაშზე სამუდამოდ შეუვარდა გული. დღეს მას 60 წელი შეუსრულდა, მაგრამ რაგბის, მის ყველაზე უსაყვარლეს პროფესიით, როგორც ექიმი ერთგულად ემსახურება.

ქართული რაგბის თემი სამოცი წლის იუბილეს ულოცავს ზურაბ ხარშილაძეს.

ჩოგბურთი

## მხოლოდ ყაველაშვილი

სტამბოლის საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში ხუთი ქართველი ჩოგბურთელი მონაწილეობდა, ამათგან ძირითადში გაღწევა მხოლოდ ერთმა შეძლო - 20 წლის **თინათინ ყაველაშვილმა**. ყაველაშვილი მე-9 ნომრად იყო განთესილი საკვალიფიკაციოს ფინალურ წრეში მისი მეტოქე მე-5 ნომრად განთესილი **სოფიო შაფათავა** (426) იყო. თანამემამულეთა დაპირისპირება აგვისტოში (ბაქოში) ყაველაშვილმა მოიგო. რეიტინგში ლამის 200 საფეხურით წინ მდგომ შაფათავას ამჯერადაც მოეცარა ხელი, სამ სეტში თინათინმა იმარჯვა - 6:1, 3:6, 6:1. ძირითად ტურნირში თინათინ ყაველაშვილის პირველი მეტოქე გერმანელი **საბინ ლისიცკია** (236). 18 წლის გერმანელი შესანიშნავ ფორმაშია, გასულ კვირას მან ბრიტანული ჯერსის 25-ათასიანი ტურნირი მოიგო. თინათინ ყაველაშვილი ახლა მსოფლიოს 609-ე ჩოგანია, ზუსტად სამი წლის წინათ კი ის კარიერის პიკზე იყო, რეიტინგში 570-ე პოზიცია ეკავა და პერსპექტიულ ჩოგბურთელადაც ითვლებოდა, მაგრამ ტრავმის გამო 2005, 2006 წლების სეზონების გამოტოვება მოუწია. ახლა თინათინი დაკარგულს იბრუნებს.

წყვილთა თანრიგის ძირითად ბადეში ერთი ქართული დუეტია, **სოფიო ქვაცაბაია** და **ეკა გორგოძე** უკვე მეოთხედფინალში არიან, მათ თურქულ წყვილს (**დოგანი, სეზერი**) აჯობეს - 6:1, 6:3. მეოთხედფინალშია **ოქსანა კალაშნიკოვაც**, ვინც თურქ **პემრა ოზგენს** შეუწყვილდა. კალაშნიკოვამ და ოზგენმა მე-2 ნომრად განთესილი ბელგიელი **მაესისა** და რუმინელი **ნიკოლესკუს** დუეტი დაამარცხეს - 6:3, 6:3. სხვათა შორის, წყვილთა რეიტინგში ოქსანას საკმაოდ მაღალი ადგილი უჭირავს - 550-ე. ოქსანა ახალგაზრდულ რეიტინგში მე-12 პოზიციაზეა.

## ითონიშვილის მოგება-წაგება

ესპანეთის სანტ კუგატში მიმდინარეობს ფიუჩერსის სერიის საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი დოლარი). იქაურ თიხნარზე 19 წლის ქართველი **ნოდარ ითონიშვილი** მონაწილეობდა. საკვალიფიკაციო ტურნირში ნოდარი მე-15 ნომრად განთესეს. პირველ წრეში მან ესპანელ **კარლოს გალვანს** აჯობა - 6:2, 6:2, მეორეში კი თავად დამარცხდა მასპინძელ **აბელ რინკონ-ვასკესთან** - 5:7, 5:7.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მშვილდოსნობა

აზიის თასი

# ოქროსა და ბრინჯაოსთვის

ირანულ ისპაანში მიმდინარე აზიის თასის გათამაშებაში წარმატებით გამოდიან ჩვენი მშვილდოსანი ქალები - **ხათუნა ნარიმანიძე** ფინალშია გასული და ჩემპიონის ტიტულისთვის ხვალ ინდოელ დევი ბომბაილას შეხვდება. **ქრისტინე ესებუა** ტაივანელ ლაი იუ-სინთან ბრინჯაოსთვის იბრძოლებს.

ეს ბომბაილა ისპაანში ჩვენების ბედისწერად ჩასულა - მეოთხედფინალში ასმათ დიასამიძეს 111:109 მოუგო, ნახევარფინალში კი ესებუა 113:103 დაამარცხა. ვიმედოვნებთ, დღეს ნარიმანიძე ღირსეულ რევანშს აიღებს. მით უფრო, ინდოელი ნამდვილად არაა მისი დონის სპორტსმენი. ნარიმანიძემ პლეიოფის პირველ წრეში მასპინძელი არაბი საედანი 109:85 დაჯაბნა, მერე დაძაბულ ბრძოლაში ტაიპეელი ლინ იუჰენ-სუნი დაამარცხა ორი ქულით - 105:103, ნახევარფინალში კი ზემოხსენებულ ტაიპეელ იუ-სინის 107:101 მოუგო. ესებუამ ბომბაილასთან წაგებამდე ორი ბრძოლა მოიგო - ინდოელი პრანიტნა 101:98 დაამარცხა, ტაიპეელ ლინ ჩია-ჰუი კი 103:100 დაამარცხა. დიასამიძემ პირველ წრეში ასევე ტაიპეელი ჩენგ ვანგ-ტინგი 102:99 დაამარცხა, მერე კი ინდოელთან წააგო.

ტურნირი ნამდვილად არაა სიძლიერით გამორჩეული. ჩვენებურთა გარდა, ქალთა ტურნირში მხოლოდ ოთხი აზიური ნაკრები გამოდის - ირანის, ინდოეთის, ტაივანისა და ტაჯიკეთის. ამათგან გამორჩეულად ძლიერი ნაკრები ინდოელებს ჰყავთ, მაგრამ უძლიერესი შემადგენლობით არც ისინი ჩასულან. ამის მიუხედავად, იქ წარმატება ჩვენებს მსოფლიო რეიტინგში ქულებს მაინც შეჰმატებს.

დღეს შეჯიბრება გუნდურ პირველობაში ჩატარდება, ტურნირი კი ხვალ დასრულდება პირად პირველობებში გამართული ფინალებით.

**ირაკლი თავაძე**

## სხვადასხვა

მთის თხილამურები

### ავსტრიელებმა შემადგენლობა დაასახელეს

ავსტრიის კურორტ პიტცტალში უკანასკნელი ვარჯიშების შემდეგ, საბოლოოდ დაკომპლექტდა ავსტრიის ნაკრების შემადგენლობა, რომელიც მომავალ უიქ ენდზე, ახალი სეზონის მსოფლიო თასის პირველ ეტაპზე მიიღებს მონაწილეობას. სეზონს სტარტი ავსტრიის კურორტ ცელდენში მიეცემა.

მამაკაცთა ნაკრებში შემდეგი მოთხილამურეები მოხვდნენ: **შტეფან გერგლი, კრისტოფ გრუბერი, მატიას ლანცინგერი, ჰერმან მაიერი, მარიო მატი, ბენჯამინ რაიხი, ჰანეს რაიჰელტი, მარიო შაიბერი, რაინერ შიონფელდერი,** რომელმაც ვარჯიშზე საუკეთესო დრო აჩვენა და ნაკლებად ცნობილი **ფილიპ შერგჰოფერი.**

რაც შეეხება ქალთა ნაკრებს, მის შემადგენლობაში შემდეგი სპორტსმენები ირიცხებიან: **ნიკოლ ჰოსპი, კატრინ ჰეტელი, ანდრეა ფიშბაჰერი, მარლიზ შილდი, ელიზაბეტ გერგლი, ანა ფენინგერი, ალექსანდრა მაისნიცერი, შტეფანი კელე** და **ევა-მარია ბრემი.**

კალათბურთი

### ტომასი და სეფოლოშა ჩიკაგოში რჩებიან

კვირას, "ჩიკაგო ბულზმა" ორ კალათბურთელთან გააგრძელა კონტრაქტები. ესენი არიან ფორვარდი **ტაირუს ტომასი** და უნივერსალი შვეიცარიელი **ტაბო სეფოლოშა.** ხელშეკრულების თანახმად, ორივე მოთამაშე 2008-09 წლების ბოლომდე დარჩებიან "ხარებში".

გასულ სეზონში, ტომასმა 72 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 5.2 ქულა და 3.7 მოხსნა დააგროვა. სეფოლოშას ანგარიშზე 71 მატჩი, 3.6 ქულა და 2.2 მოხსნა იყო.

### უიზარდსმა ორი კალათბურთელი დაითხოვა

"ვაშინგტონ უიზარდსმა" ორი კალათბურთელის სამსახურზე თქვა უარი. გუნდის ხელმძღვანელობამ საწვრთნელი შეკრებიდან გაათავისუფლა 40 წლის ცენტრი **ტონი მასენბურგი** და 25 წლის მცველი **დონელ ტეილორი.**

მასენბურგმა NBA-ში უკანასკნელად 2004-05 წლების სეზონში, "სან ანტონიოს" რიგებში ითამაშა, ტეილორმა კი, შარშანდელი სეზონი "უიზარდსის" რიგებში გაატარა და 47 მატჩში საშუალოდ 2.7 ქულა დააგროვა.

### გრანტ ჰილმა ზურგი იტკინა

"ფინიქს სანზის" ვეტერანმა ფორვარდმა **გრანტ ჰილმა** "შარლოტთან" გუშინდელი მატჩის მეორე მეოთხედში ზურგის ტრავმა მიიღო და გაურკვეველი ვადით გამოეთიშა საწვრთნელ პროცესს.

სავარაუდოდ, კალათბურთელი ამ კვირის ბოლომდე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

### ბოში და არენასი ბრუნდებიან

"ტორონტო რეპტორზის" ლიდერი **კრის ბოში,** რომელიც მუხლის ტრავმის გამო ბოლო ორი კვირაა ვერ ახერხებდა ვარჯიშს, ხვალიდან შეუერთდება თავის გუნდს და რეგულარული ჩემპიონატისთვის მზადებას განაახლებს.

შესაბამისად, ბოში 30 ოქტომბრამდე (სეზონის სტარტის თარიღი) ორ საკონტროლო მატჩში მოასწრებს მონაწილეობის მიღებას.

სასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს "ვაშინგტონის" გულშემატკივრებმა. მოედანს დაუბრუნდა და ვარჯიში განაახლა გუნდის ლიდერმა **გილბერტ არენასმა.** ამ კალათბურთელს მუხლის ტრავმა აწუხებდა, თუმცა დაზიანება სერიოზული არ აღმოჩნდა და არენასი სეზონის სტარტისთვის მწყობრში იქნება.

### ბატისტა მაკაბის შეუერთდა

"ატლანტა ჰოქსის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **ესტებან ბატისტამ** (208 სმ) ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა თელ-ავივის "მაკაბისთან".

კალათბურთელმა "ჰოქსში" ბოლო ორი სეზონი გაატარა და ჯამში 70 მატჩში მიიღო მონაწილეობა. ბატისტას სტატისტიკური მონაცემები მეტად მოკრძალებული იყო - 1.7 ქულა და 1.5 მოხსნა იყო.

ფორმულა 1

### ალონსოს ბედი ორ კვირაში გაირკვევა

ფორმულა 1-ში სეზონი დასრულდა და დაპირებისამებრ, "მაკლარენმა" მომავალი წლის ჩემპიონატისთვის შემადგენლობის დაკომპლექტებაზე ზრუნვა დაიწყო. ცნობილია, რომ ბრიტანულ საჯინიბოსთან მოქმედი კონტრაქტები აკავშირებთ **ლუის ჰემილტონსა** და **ფერნანდო ალონსოს,** მაგრამ ისიც ყველამ იცის, რომ ესპანელი პილოტი ვერ შეეწყო ახალ გუნდს და ახლა ყველა მის სავარაუდო ტრანსფერზე საუბრობს.

"მაკლარენის" ბოსის **რონ დენისის** განცხადებით, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ბედი მომავალ ორ კვირაში გაირკვევა.

*"პრობლემა მართლაც არსებობს და ჩვენ სეზონის დასრულებას ველოდით, რათა მისი მოგვარებისთვის გვეზრუნა. უახლოესი ორი კვირის განმავლობაში გავარკვევთ გუნდის 2008 წლის შემადგენლობას და მომავალი სეზონისთვის მზადებას დავიწყებთ. მასმედიამ სერიოზული როლი ითამაშა ჩვენს გუნდში საბრძოლო განწყობაზე, განსაკუთრებით ეს ალონსოსთან დაკავშირებით ითქმის. ბევრი პუბლიკაცია ამოვარდნილი იყო კონტექსტიდან და ხშირად, მათზე პასუხის გაცემას ვერ ვასწრებდით. ნუ იფიქრებთ, რომ ჟურნალისტებს ვადანაშაულებ, მაგრამ ამან ჩვენზე სერიოზული ზეწოლა მოახდინა",* - აღნიშნა რონ დენისმა.

### ბრაზილიის გრან-პრის არაფერი ემუქრება

ფორმულა 1-ის ბოსმა **ბერნი ექლსტოუნმა** გამოაცხადა, რომ ბრაზილიის გრან-პრის ორგანიზატორებთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა და რბოლა "ინტერლაგუშის" ავტოდრომზე 2014 წლის ბოლომდე ჩატარდება.

ექლსტოუნმა, სან პაულუს მერმა **ჟილბერტო კასაბმა** და ბრაზილიის სპორტის მინისტრმა **ორლანდო სილვამ** ერთობლივ შეთანხმებას კვირას, ბრაზილიის გრან-პრის შემდეგ მიაღწიეს.

კრივი

### კუბელი ქამრისთვის იბრძოლებს

კუბელი **ხუან კარლოს გომესი** ზემძიმე წონაში WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონობის პირველი პრეტენდენტი გახდა. მისი მეტოქე მომავალ წელს გაირკვევა, როცა ერთმანეთს შეხვდებიან ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი, რუსი **ოლეგ მასკაევი** და WBC-ის დროებით ჩემპიონად გამოცხადებული, ნიგერიელი **სამუელ პიტერი.**

გომესმა საჩემპიონო ჩხუბში მონაწილეობის უფლება გასულ უიქ ენდზე მოიპოვა, როცა ქულებით დაამარცხა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ამერიკელი **ოლივერ მაკოლი.**

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**კაროლინა-ვანკუვერი 3:1**

0:0, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 სტილმანი-3 (რეი უიტნი-3, კულენი-4), 2:0 ლაროუზი-2 (ბრინდამორი-9), 2:1 ბ. მორისონი-4 (ისბისტერი-2), 3:1 რეი უიტნი-3 (ბრინდამორი-10).

**მონრეალი-ბოსტონი 6:1**

1:0, 2:0, 3:1

**გოლები:** 1:0 ჰიგინსი-3 (კომისარეკი-1, ს. კოივუ-5), 2:0 კოვალიოვი-4 (პლეკანეცი-4), 3:0 ბიგინი-1 (კოსტოპულოსი-2, ჰამრლიკი-4), 4:0 ბრისბუა-1 (პლეკანეცი-5, კოვალიოვი-3), 4:1 ვიდემანი-1 (შეფერი-4, სავარი-8), 5:1 გრაბოვსკი-1 (სმოლინსკი-2, დანდენო-1), 6:1 მარკოვი-3 (ს. კოივუ-6, შტრაიტი-3).

**კალგარი-სან ხოსე 1:4**

0:1, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 ქლოუ-3 (რიონიკი-1, ჯ. ტორნტონი-7), 0:2 მ. მიხალეკი-5, 0:3 ბერნიე-2 (რივე-7, მ. კარლი-4), 0:4 მ. მიხალეკი-6 (რიონიკი-2, ერჰოფი-6), 1:4 ლენგკოუ-8 (ჰუსელიუსი-4, ფანოფი-6).

**ტურის მოვლენები**

- "კაროლინამ" ორმატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა.

- მეკარე **კემ უორდი** სეზონში მეხუთედ ჩადგა "ჰარიკეინზის" კარში და გუნდმა მეხუთე გამარჯვებას მიაღწია. იმ საღამოს, უორდს დიდი სამუშაო არ ჰქონია - მას მხოლოდ 19 დარტყმის მოგერიება მოუხდა.

- "ვანკუვერმა" ჩემპიონატში პირველი გასვლითი მატჩი წააგო.

- "კენაქსს" ბოლო ოთხ ტურში სამი წაგება დაუგროვდა.

- "კაროლინამ" ორჯერ გამოიყენა ზედმეტი მოთამაშე და ჩემპიონატის ლიდერი გახდა რიცხობრივ უპირატესობაში გატანილი გოლების რაოდენობით. ეს მაჩვენებელი 13 შაიბას უტოლდება.

■ ■ ■

- "მონრეალ კანადიენსის" მეკარე **კრისტობალ უემ** 31 დარტყმა მოიგერია.

- "ბოსტონმა" შეწყვიტა ოთხმატჩიანი მოგებათა სერია.

- "კანადიენსმა" 2006 წლის 5 თებერვლის შემდეგ, პირველად მოიგო მატჩი ხუთშაიბიანი სხვაობით.

- მასპინძელმა **ბრაიან სმოლინსკიმ** ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მე-1000 მატჩი ჩაატარა. ფორვარდმა საიუბილეო თამაშში ერთი შედეგიანი პასი შეასრულა და კარიერაში პირველი გოლი გაატანინა დებიუტანტ **მიხაილ გრაბოვსკის.** სმოლინსკი ლიგაში 1992 წლიდან თამაშობს და "მონრეალი" მის კარიერაში მეშვიდე კლუბია.

- "ბოსტონის" მეკარე **მენი ფერნანდესმა** 20-დან ექვსი დარტყმა გაუშვა.

■ ■ ■

- "სან ხოსემ" ამ სეზონში პირველად შეძლო ზედიზედ ორი მატჩის მოგება.

- ბოლო ექვს მატჩში, "კალგარიმ" პირველად წააგო შეხვედრა ძირითად დროში.



მარტინ ბირონი

- NHL-ში მე-1000 მატჩი ჩაატარა "სან ხოსეს" ვეტერანმა ფორვარდმა **ოუენ ნოლანმა.** ეს თავდამსხმელი "შარქსში" მერვე სეზონს თამაშობს და ამ გუნდის რიგებში 568 შეხვედრა დაუგროვდა, რაც კლუბის ისტორიაში მესამე მაჩვენებელია.

**კვირის სამი ვარსკვლავი**

ზედიზედ მეორე კვირაა, "პირველი ვარსკვლავის" სტატუსი მეკარის კუთვნილება ხდება. კაროლინელი **კემ უორდის** შემდეგ, ეს ტიტული "ფილადელფია ფლაიერზის" მეკარე **მარტინ ბირონმა** დაიმსახურა.

ის, რომ "ფილადელფიამ" სტარტზე შვიდიდან ექვსი მატჩი მოიგო, გუნდის შეტევით ხაზთან ერთად ("ფლაიერზს" საშუალოდ ყველაზე მეტი - 4 გოლი გააქვს მატჩში), ბირონის დამსახურებაცაა.

გასულ კვირას, ბირონმა სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა და აქედან ორში "შათაუტი" შეასრულა, საშუალოდ 0.66 გოლს უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 95.2 პროცენტს იგერიებდა.

მეორე და მესამე ვარსკვლავები "კალგარის" მარჯვენა ფრთა **ჯერომ იგინლა** და "ჩიკაგოს" ცენტრალური ფორვარდი **ჯეისონ უილიამსი** გახდნენ.

იგინლა წინა შვიდი დღის ბომბარდირი გახდა. სამ მატჩში მის ანგარიშზე სამი გოლი და რვა ქულა იყო.

რაც შეეხება უილიამსს, ამ თავდამსხმელმა სამ თამაშში ორი გოლი და ექვსი ქულა მიითვალა. სხვათა შორის, "კალგარიმაც" და "ჩიკაგომაც" ორ-ორი თამაში მოიგეს.

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოტავა* | 9 | 8 | 1 | 0 | 16 |
| 2. კაროლინა* | 9 | 5 | 1 | 3 | 13 |
| 3. ფილადელფია* | 7 | 6 | 1 | 0 | 12 |
| 4. ბოსტონი | 8 | 5 | 3 | 0 | 10 |
| 5. აილენდერსი | 8 | 5 | 3 | 0 | 10 |
| 6. მონრეალი | 8 | 4 | 2 | 2 | 10 |
| 7. ტამპა ბეი | 6 | 4 | 2 | 0 | 8 |
| 8. პიტსბურგი | 7 | 4 | 3 | 0 | 8 |
| 9. ტორონტო | 9 | 3 | 4 | 2 | 8 |
| 10. ნიუ ჯერსი | 8 | 3 | 4 | 1 | 7 |
| 11. ბაფალო | 7 | 3 | 4 | 0 | 6 |
| 12. ვაშინგტონი | 7 | 3 | 4 | 0 | 6 |
| 13. ფლორიდა | 8 | 3 | 5 | 0 | 6 |
| 14. რეინჯერსი | 7 | 2 | 4 | 1 | 5 |
| 15. ატლანტა | 8 | 1 | 7 | 0 | 2 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მინესოტა* | 8 | 7 | 0 | 1 | 15 |
| 2. დეტროიტი* | 9 | 6 | 2 | 1 | 13 |
| 3. სან ხოსე* | 9 | 5 | 3 | 1 | 11 |
| 4. ჩიკაგო | 8 | 5 | 3 | 0 | 10 |
| 5. დალასი | 8 | 4 | 2 | 2 | 10 |
| 6. კალგარი | 9 | 4 | 3 | 2 | 10 |
| 7. ანაჰაიმი | 10 | 4 | 5 | 1 | 9 |
| 8. სტ. ლუისი | 6 | 4 | 2 | 0 | 8 |
| 9. კოლორადო | 8 | 4 | 4 | 0 | 8 |
| 10. ვანკუვერი | 9 | 4 | 5 | 0 | 8 |
| 11. კოლამბუსი | 7 | 3 | 3 | 1 | 7 |
| 12. ედმონტონი | 8 | 3 | 5 | 0 | 6 |
| 13. ლოს ანჯელესი | 9 | 3 | 6 | 0 | 6 |
| 14. ნეშვილი | 7 | 2 | 5 | 0 | 4 |
| 15. ფინიქსი | 7 | 2 | 5 | 0 | 4 |

*შენიშვნა: * - დივიზიონის ლიდერი*

**ბომბარდირები (გოლი+პასი)**

| | |
|---|---|
| ზეტერბერგი (დეტ) | 17 (7+10) |
| სუნდინი (ტორ) | 14 (5+9) |
| შჩასტნი (კოლორ) | 14 (5+9) |
| ალფრედსონი (ოტა) | 13 (6+7) |
| იგინლა (კალ) | 13 (5+8) |
| ლენგკოუ (კალ) | 12 (8+4) |
| კოპიტარი (ლ-ანჯ) | 12 (4+8) |
| სპეცა (ოტა) | 12 (1+11) |
| ჰიტლი (ოტა) | 11 (7+4) |
| ანტროპოვი (ტორ) | 11 (6+5) |
| ბრიერი (ფილ) | 11 (4+7) |
| ჯას. უილიამსი (კარ) | 11 (3+8) |
| ბრინდამორი (კარ) | 11 (1+10) |

**გოლეადორები**

| | |
|---|---|
| ლენგკოუ (კალ) | 8 |
| კამალერი (ლ-ანჯ) | 8 |
| ჰიტლი (ოტა) | 7 |
| პროსპალი (ტ-ბეი) | 7 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 7 |
| ანტროპოვი (ტორ) | 6 |
| ჰუსელიუსი (კალ) | 6 |
| ალფრედსონი (ოტა) | 6 |
| მ. მიხალეკი (ს-ხოს) | 6 |
| ე. სტაალი (კარ) | 6 |

**ასისტენტები**

| | |
|---|---|
| სპეცა (ოტა) | 11 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 10 |
| ბრინდამორი (კარ) | 10 |
| სუნდინი (ტორ) | 9 |
| შჩასტნი (კოლორ) | 9 |
| ბ. კემპბელი (ბაფ) | 9 |
| კეინი (ჩიკ) | 9 |
| ტანგეი (კალ) | 8 |
| კოპიტარი (ლ-ანჯ) | 8 |
| დაციუკი (დეტ) | 8 |
| ჯას. უილიამსი (კარ) | 8 |
| პარიზე (ნ-ჯერ) | 8 |
| იგინლა (კალ) | 8 |

## ავტოსპორტი

ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი

### ჰემილტონს აპელაციით ჩემპიონობა არ სურს

ფორმულა ერთის კულუარებში გაჩნდა ხმები იმის შესახებ, რომ ბრაზილიის დიდი პრიზის დროს, ჩემპიონატის მაშინდელ ლიდერს, "მაკლარენის" ბრიტანელ პილოტ **ლუის ჰემილტონს** მანქანა საკუთარი შეცდომის გამო გაუჩერდა.

შეგახსენებთ, რომ რბოლის მერვე წრეზე მისმა ბოლიდმა მოულოდნელად სიჩქარე დაკარგა. გამოცემა "პიტპასის" მიერ გავრცელებული ცნობით, გადაცემათა კოლოფი მას შემდეგ გადაიტვირთა, რაც ჰემილტონმა შეცდომით სტარტის ღილაკს დააჭირა თითი. კოლოფის კომპიუტერი რამდენიმე წამით გადაიტვირთა, რამაც მისი გაჩერება გამოიწვია. შედეგად, პილოტმა მერვე წრეზე ათი პოზიციით დაბლა, მე-18 ადგილზე გადაინაცვლა.

რბოლის შემდეგ, "მაკლარენის" შეფმა **რონ დენისმა** ჰემილტონის მანქანაში უწესივრობა ბოქსებში, კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაშვებულ შეცდომას მიაწერა. ამითვე ახსნა ის ფაქტიც, რომ უწესივრობა მალე აღმოიფხვრა და პილოტმა რბოლის გაგრძელება შეძლო.

შეგახსენებთ, რომ ჰემილტონმა საბოლოოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა და საბოლოოდ, ჩემპიონატში მეორე ადგილს დასჯერდა. ჩემპიონი კი ფინელი **კიმი რაიკონენი** გახდა, რომელმაც ჩემპიონატის ბოლო ორი ეტაპის მოგებით, ერთბაშად 17-ქულიანი ჩამორჩენის ლიკვიდირება და წინ გასვლა შეძლო.

იმასაც შეგახსენებთ, რომ "მაკლარენი" რბოლის შედეგის გასაჩივრებას აპირებს - გუნდს ეჭვი აქვს, რომ ჰემილტონის წინ გასული სამი პილოტის (**ნიკო როსბერგი, რობერტ კუბიცა** და **ნიკ ჰაიდფელდი**) ბოლიდები არ შეესაბამებოდა ტექნიკურ რეგლამენტს. თუ რონ დენისი აპელაციას მოიგებს, მისი პილოტი ჩემპიონი გახდება, რადგან ამ სამი პილოტის შედეგები გაუქმდება და ჰემილტონი სამი პოზიციით წინ წაიწევს.

მაგრამ თავად ჰემილტონს ტიტულის ამგვარად მოპოვება არ სურს. მან დაუფარავად განაცხადა, რომ ურჩევნია, ტიტული სარბოლ ტრასაზე, ასპარეზობისას მოიგოს და არა აპელაციით.

*"ეს არასწორი იქნება. მინდა, ჩემპიონი ტრასაზე გავხდე და არა აპელაციის მეშვეობით. ამისთვის კი რბოლების მოგებაა საჭირო და არა ვინმეს შედეგის გაუქმება",* - ამბობს 22 წლის პილოტი, ვისაც თურმე მარცხი იმდენად განუცდია, რომ რბოლის შემდეგ მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს.

შეგახსენებთ, რომ ჰემილტონი ფორმულა ერთის პირველი შავკანიანი პილოტია. მას შანსი ჰქონდა, გამხდარიყო დიდი პრიზების ისტორიაში პირველი ახალბედა და ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი.

სხვათა შორის, ჰემილტონის მარცხს "რენოს" შეფი **ფლავიო ბრიატორე** "მაკლარენის" ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომებს მიაწერს. *"გუნდს ორ პილოტს შორის არჩევანი უნდა გაეკეთებინა. მათ შეეძლოთ, ბოლო ორ რბოლაში ალონსოს ადგილზე სარეზერვო პილოტი დაესვათ და ამ შემთხვევაში, ჰემილტონი იოლად გახდებოდა ჩემპიონი",* - ირწმუნება ბრიატორე, ვისაც ჯერაც არ დაუკარგავს იმის იმედი, რომ მომდევნო სეზონისთვის უკან დაიბრუნებს ალონსოს. შეგახსენებთ, რომ ესპანელმა პილოტმა თავისი ორი ტიტული სწორედ "რენოში" ასპარეზობისას მოიპოვა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## გოლფი

### სუპერვარსკვლავი

# ვუდსი ქველმოქმედი

გოლფის ლეგენდა, ამერიკელი **ტაიგერ ვუდსი** ამბობს, რომ გოლფის თამაშის გარდა, ქველმოქმედებითაცაა გატაცებული და სურს, რომ ხალხს უფრო მეტად დაამახსოვრდეს, როგორც ქველმოქმედი და არა როგორც ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლფე.

ვუდსმა აგვისტოში მოიგო თავის კარიერაში მე-13 მეიჯერი - PGA-ის (პროფესიული გოლფის ასოციაციის) ტურნირი (ეს ტურნირი მას ოთხჯერ აქვს მოგებული) და კიდევ უფრო მიუახლოვდა ლეგენდარული ამერიკელის, ოქროს დათვის მეტსახელით ცნობილი **ჯეკ ნიკლაუსის** მიღწევას. ნიკლაუსს პროფესიონალი გოლფმენის კარიერის 25 წლის განმავლობაში, 18 მეიჯერი აქვს მოგებული.

თავისი მიღწევების მიუხედავად, 31 წლის ვუდსი აცხადებს, რომ ამიერიდან მის ცხოვრებაში პრიორიტეტულად ქველმოქმედებას მიიჩნევს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სპორტულ კარიერას მისთვის მნიშვნელობა აღარ აქვს.

*"გოლფს ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მაგრამ ახლა მიმაჩნია, რომ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი რამეები, ვიდრე სპორტია. მაგალითად, ქველმოქმედება. ბედნიერი ვიქნები, თუ რამენაირად დავეხმარები იმ ბავშვებს, რომლებსაც დახმარება ძალიან სჭირდებათ. ამ ეტაპზე, ჩემთვის პრიორიტეტული ჩემივე საქველმოქმედო ფონდის საქმიანობაა. ვიმედოვნებ, რომ ამ საქმიანობის შედეგები ხალხს უფრო დიდხანს ემახსოვრება, ვიდრე ჩემი სპორტული მიღწევები"*, - ამბობს ტაიგერი, ვინც ახლახანს, ასმილიონიანი კონტრაქტი გააფორმა უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელ კომპანია "გეიტორეიდთან".

კონტრაქტი ხუთწლიანია და მის განმავლობაში, მეგოლფე 100 მილიონ დოლარს მიიღებს. ამ კონტრაქტის წყალობით, სპორტული კარიერის განმავლობაში მის მიერ ხელფასისა და სარეკლამო ჰონორარების სახით მიღებული თანხა მილიარდ დოლარს მიაღწევს.

"გეიტორეიდი" "პეპსიკოს" შვილობილი კომპანიაა და ის სპეციალიზირებულია მასტიმულირებელი უალკოჰოლო სასმელების წარმოებაზე. მის პროდუქციას მეტწილად აქტიური ადამიანები, სპორტსმენები იყენებენ. მისი პროდუქციით, სპორტსმენები ასპარეზობის დროს დაკარგული მინერალებისა და სითხის მარაგს ივსებენ. მალე კომპანია გამოუშვებს სასმელის ახალ სერიას "გეიტორეიდ ტაიგერს", რომლის გემოს შერჩევაშიც გოლფმენს თავად მიუღია მონაწილეობა. წინასწარ ცნობილია, რომ ახალ სასმელში ალუბლის, ყურძნისა და ციტრუსის არომატი იქნება შეხამებული.



ტაიგერ ვუდსი

## კრივი

### საშუალო წონა

# ჩემპიონთა ბრძოლა ახლოვდება

3 ნოემბერს, კარდიფის "მილენიუმ სტედიუმზე" დიდი საკრივო წარმოდგენა გაიმართება. ერთმანეთს ზესაშუალო წონის ორი ჩემპიონი, უელსელი **ჯო კალძაგე** და დანიელი **მიკელ კესლერი** დაუპირისპირდება. პირველი კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ჩემპიონია, მეორე კი რინგზე ერთბაშად ორ, კრივის მსოფლიო საბჭოსა და კრივის მსოფლიო ასოციაციის (შესაბამისად, WBC და WBA) სარტყელს გამოიტანს.

რა თქმა უნდა, ბრძოლა უზარმაზარ ინტერესს იწვევს. ამის დასტურად საკმარისია თუნდაც იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ მოსალოდნელია სტადიონზე დაახლოებით 65 000 მაყურებლის მისვლა. თუ ასე მოხდა, ეს იქნება პროფესიული კრივის ისტორიაში სარეკორდო დასწრება. კალძაგეს პრომოუტერ **ფრენკ უორენის** თქმით, ამ ეტაპზე უკვე გაყიდულია 30 000 ბილეთზე მეტი.

ცნობისთვის, აქამდე რეკორდული იყო ზემძიმე წონის ბრძოლა **მოჰამედ ალისა** და **ლეონ სპინქსს** შორის, რომელიც 1978 წელს ჩატარდა და რომელსაც 63 500 მაყურებელი დაესწრო.

კალძაგე კესლერთან ბრძოლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. კესლერზე გამარჯვება ჩემი კარიერის პიკი იქნებაო, ამბობს უელსელი, ვინც კარიერის დასრულებამდე კიდევ რამდენიმე ბრძოლის გამართვას გეგმავს.

*"ეს ერთადერთი ბრძოლაა, რომელიც მე ძალიან მინდოდა. კესლერზე გამარჯვება ჩემი კარიერის პიკი იქნება. ამ ბრძოლას ჩემთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჯეფ ლესისთან და კრის იუბენკათან გამარჯვებაა"*, - ამბობს კალძაგე, ვისაც კესლერის მსგავსად, პროფესიულ კარიერაში ჯერ ერთი ბრძოლაც არ წაუგია.

*"მიკელი ძალიან ძლიერი მეტოქეა. მისადმი პატივისცემით ვარ განწყობილი, მაგრამ ეს განწყობა მაშინვე შეიცვლება, როგორც კი ჩვენ რინგზე ავალთ. ჩემი ერთადერთი მიზანი გამარჯვებაა, რის მისაღწევადაც არც საკუთარი თავის დაზოგვას ვაპირებ და არც მეტოქისას"*, - იმუქრება კალძაგე.

საბრძოლო განწყობა არც კესლერს აკლია: *"ამ ბრძოლას მთელი ცხოვრება ველოდი. ეს დიდი ბრძოლაა დიდი ჩემპიონის წინააღმდეგ. მაგრამ გარწმუნებთ, ჯოზე უფრო საზრიანი მოკრივე ვარ და ამას რინგზე დავამტკიცებ. ჩვენი ბრძოლა გამოავლენს, თუ ვინაა ამ წონაში მსოფლიოს საუკეთესო მოკრივე".*

## სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

### ATP-ის ჩაწყობილი მატჩების სია აქვს

ავსტრალიური ჩოგბურთის ვარსკვლავები **ლეიტონ ჰიუიტი** და **უეინ არტურსი** კორუფციულ სკანდალში არიან გახვეულნი. ამ ჩოგბურთელების გვარები ფიგურირებს ATP-ის საიდუმლო დოსიეში. სიაში შეტანილია 140 ისეთი მატჩი, რომელთა შედეგები სპორტული ბრძოლის არარსებობის გამო, ასოციაციის ეჭვს იწვევს.

ჰიუიტი ეჭვმიტანილია ადელაიდას ტურნირზე, სერბ **იანკო ტიპსარევიჩთან** მატჩის შეგნებულად დათმობაში.

სხვათა შორის, ჩოგბურთში ჩაწყობილი მატჩების გარშემო სკანდალი რუსი **ნიკოლაი დავიდენკოს** სახელის მოხსენიებით დაიწყო. ამჯერად, ამ ჩოგბურთელის კიდევ ერთი შეხვედრაა შეტანილი საეჭვოთა კატეგორიაში. საქმე ეხება ავსტრალიის ღია პირველობაზე დავიდენკოსა და ამერიკელი **ენდი როდიკის** დაპირისპირებას.

### ნადალი ჩენაის ღიათი დაიწყებს

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** 2008 წლის სეზონის დასაწყისში საკუთარი გეგმები გაგვაცნო.

კერძოდ, რაფა ახალ სეზონს 31 დეკემბერს, ინდოეთის ქალაქ ჩენაიში დაიწყებს, სადაც ამ ქალაქის ღია პირველობა გაიმართება. ესპანელი 2004 წლიდან რეგალურულად გამოდის ამ ტურნირში. პირველ შემთხვევაში ის პირველივე წრეში გამოეთიშა ბრძოლას, ხოლო მომდევნო ორ წელიწადს, მეოთხედფინალამდე მიაღწია.

თუმცა, მანამდე რაფაელს ეს სეზონი აქვს ჩასამთავრებელი. ესპანელმა უკვე დიდი ხნის წინათ გაინაღდა წლის შემაჯამებელ ტურნირზე თამაში და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ნადალს შანხაიში ვიხილავთ.

ჰოკეი

### ფილადელფია ფორსბერგს არ ივიწყებს

"ფილადელფია ფლაიერზი" ლეგენდარული შვედის **პიტერ ფორსბერგის** შემადგენლობაში დაბრუნებას აპირებს. ეს მას შემდეგ მოხდება, რაც ფორვარდი ტრავმის მკურნალობას დაასრულებს. ამჟამად, 34 წლის ჰოკეისტი მარჯვენა მუხლზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ, შვედეთში გადის სარეაბილიტაციო კურსს.

გაზეთ "ოტავა სანის" ცნობით, ფორსბერგის დაბრუნება ნოემბრის შუა რიცხვებშია ნავარაუდევი. "ფილადელფიას" გარდა, შვედის სამსახურით "კოლორადო", "დალასი", "ვანკუვერი" და "დეტროიტი" არიან დაინტერესებულნი.

შეგახსენებთ, რომ შარშან ფორსბერგი "ფილადელფიაში" თამაშობდა, თუმცა კლუბმა ჩემპიონატის მიმდინარეობისას "ნეშვილში" გაუშვა.

### ლანგენბრუნერი ვარჯიშს იწყებს

ფორსბერგის მსგავსად, ნოემბრისთვის არის ნავარაუდები "ნიუ ჯერსის" მარჯვენა თავდამსხმელის, **ჯეიმი ლანგენბრუნერის** დაბრუნება.

32 წლის ჰოკეისტმა ზაფხულში გრიჟის ოპერაცია გაიკეთა და ხანგრძლივი ვადით ჩამოშორდა აქტიურ სპორტს. როგორც თავად აცხადებს, ლანგენბრუნერი ამ კვირას განაახლებს ვარჯიშებს, ხოლო რეგულარულ ჩემპიონატში ნოემბრიდან ჩაერთვება.

შარშან, ლანგენბრუნერმა 82 მატჩი ჩაატარა და "დევილზის" ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი ჰოკეისტი იყო - 60 ქულა (23 გოლი+37 პასი).

## TV სპორტი

**24 ოქტომბერი. ოთხშაბათი**

**რუსთავი 2**

**22:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჩელსი-შალკე (LIVE).
**01:20** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
**02:20** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რეალი-ოლიმპიაკოსი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ეინდჰოვენი-ფენერბაჰჩე.
**14:15** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. სევილია-სტიაუა.
**16:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:25** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:25** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:20** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. დინამო-მანჩესტერი.
**20:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:30** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ცსკა-ინტერი.
**22:25** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
**00:45** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბენფიკა-სელტიკი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**08:33** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
**09:56** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რეინჯერსი-ბარსელონა.
**12:42** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. დინამო-მანჩესტერი.
**14:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. სევილია-სტიაუა.
**16:18** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. არსენალი-სლავია.
**18:06** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის მიმოხილვა.
**19:29** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-რეინჯერსი.
**21:17** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:40** სპორტკლუბი.
**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბეშიქთაში-ლივერპული (LIVE).
**00:33** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჩელსი-შალკე.
**02:21** ფეხბურთი. Barca TV.
**02:30** სპორტდოსიე.
**02:56** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. შტუტგარტი-ლიონი.
**04:44** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რეინჯერსი-ბარსელონა.
**06:32** სპორტდოსიე.

**EUROSPORT**

**10:30** ექსტრემალური სპორტი.
**11:00** ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. ავსტრალია.
**12:00** სპიდვეი. გერმანიის გრან-პრი.
**13:00** მულტისპორტი.
**13:30** სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. ფინალი.
**16:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. III დღე. ლინცი. ავსტრია (LIVE).
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ს ტური. III დღე. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
**20:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:15** ჩოგბურთი. ATP-ს ტური. III დღე. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
**21:54** მულტისპორტი.
**21:50** ცხენოსნობა. მსოფლიო თასი. ჰელსინკი. ფინეთი.
**22:50** ცხენოსნობა. ახალი ამბები.
**22:55** მულტისპორტი.
**23:00** გოლფი. US PGA-ის ტური.
**00:00** გოლფი. ევროპის ტური. პორტუგალიის მასტერსი.
**00:30** გოლფ-კლუბი.
**00:35** აფროსნობა. Latium Match-ის თასი.
**01:05** აფროსნობა. იახტ-კლუბი.
**01:10** მულტისპორტი.
**01:45** რესტლინგი.
**02:30** ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ექსტრემალური სპორტი.
**13:00** ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. გალათასარაი-სიონი.
**13:30** ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი. საპასუხო მატჩი. ერჩიესი-ატლეტიკო.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ფეხბურთი. უეფას თასი. I რაუნდი.
**17:00** კალათბურთი.
**18:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. III დღე. ლინცი. ავსტრია (LIVE).
**20:00** ახალი ამბები.
**20:15** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. იზმირი (თურქეთი)-მალიორკა (ესპანეთი) (LIVE).
**22:15** ჩოგბურთი. ATP-ს ტური. III დღე. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
**00:00** რესტლინგი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** მულტისპორტი.
**01:45** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისი. ჩემპიონატი | |
|---|---|
| ბარნსლი-ნორვიჩი | 2:1 |
| კოვენტრი-უოტფორდი | 0:3 |
| იფსვიჩი-კოლჩესტერი | 3:1 |
| ლესტერი-შეფილდი | 0:1 |
| პრესტონი-ქუინზ პარკი | 0:0 |
| უენსდი-სკანთორპი | 1:2 |
| ვესტ ბრომვიჩი-ბლეკპული | 2:1 |
| ჩარლტონი-პლიმუტი | 1:2 |
| კრ. პალასი-სტოკი | 1:3 |
| **League Trophy** | |
| დონკასტერი-ოლდემი | 3:0 |
| **იტალია. სერია B** | |
| ბრეშია-მანტოვა | 0:3 |
| **ავსტრია. II დივიზიონი** | |
| ავსტრია A-ლეობენი | 2:1 |
| ბად ოსი-კერნტენი | 1:3 |
| **სლოვაკეთის თასი** | |
| კომიცე-სლოვანი | 2:0 |
| **პოლონეთი. ლიგის თასი** | |
| ლკს-რუხი | 1:3 |
| პოლონია-ლეხი | 3:2 |
| ზაგლებე-ოდრა | 3:3 |
| კრაკოვია-კორონა | 1:0 |
| იაგელონია-ვიძევი | 3:1 |
| გურნიკი-ბელხატოვი | 1:0 |
| **ხორვატიის თასი** | |
| ზიელოვარი-ვარტექსი | 1:1, პენ. 2:4 |
| სიბალია-ოსიეკი | 2:1 |
| ჰაიდუკი-სესვეტე | 2:0 |
| ინკერი-პოდრავინა | 1:0 |
| **სერბეთის თასი** | |
| რადნიჩკი-ბანატი | 0:1 |

**ჰოკეი**

| რუსეთი | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-სიბირი | 2:3 |
| ნეფტეხიმიკი-აკ ბარსი | 1:0 |
| სევერსტალი-ლოკომოტივი | 3:0 |
| სკა-ხიმიკი | 1:4 |
| სპარტაკი-ავანგარდი | 3:3 |
| ტორპედო-ცსკა | 0:8 |
| მედ-დინამო | 1:1 |
| **ფინეთი** | |
| საიპა-კიეკო | 1:0 |
| ტაპარა-პპკ | 2:2 |
| ტპს-ლუკო | 2:3 |
| იუვიასკიულა-კერპეტი | 3:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ლიბერეცი | 1:2 |
| ზლინი-კლადნო | 3:3 |
| ლიტვინოვი-სპარტა | 4:4 |
| სლავია-ლაზენი | 6:0 |
| ტრშინეცი-კარლოვი ვარი | 4:1 |
| პლზენი-ბუდეიოვიცე | 4:2 |
| პარდუბიცე-ზნოიმო | 7:0 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-აუგსბურგი | 5:1 |
| ვოლფსბურგი-ინგოლშტადტი | 0:3 |
| იზერლონი-დიუსელდორფი | 2:3 |
| კიოლნი-კრეფელდი | 1:0 |
| მანჰაიმი-ჰამბურგი | 5:4 |
| ნიურნბერგი-ჰანოვერი | 3:2 |
| შტრაუბინგი-ფრანკფურტი | 1:5 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-მარტინი | 1:4 |
| ზვოლენი-ტრენჩინი | 2:4 |
| მიკულაში-კოშიცე | 2:4 |
| ნიტრა-კეჟმაროკი | 3:2 |
| სკალიცა-სლოვანი | 0:2 |
| **შვეიცარია** | |
| რაპერსვილი-დავოსი | 3:1 |
| ციურიხი-ფრიბურგი | 2:0 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-მორა | 3:0 |
| ლულეა-ტიმრე | 7:5 |
| ფრიოლუნდა-ბრიუნასი | 5:1 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ბაზელი | |
|---|---|
| კარანუშიჩი-რაისტერი | 6:0, 6:3 |
| ნიემინენი-ჯინეპრი | 3:6, 6:4, 7:5 |
| ფერერი-კალერი | 4:6, 6:7 |
| ჩელა-კუბეკი | 3:6, 4:6 |
| მატიო-დანჩევიჩი | 6:3, 6:1 |
| ფედერერი-ბერერი | 6:1, 3:6, 6:3 |
| გონსალესი-ჰაენელი | 7:6, 6:4 |
| კარლოვიჩი-ჩუიდინელი | 6:3, 6:2 |
| **ATP. ლიონი** | |
| ანდრეევი-ფალა | 6:7, 1:6 |
| მონაკო-დე შონაკი | 6:7, 6:3, 7:6 |
| სეპი-მარაში | 6:7, 6:7 |
| პაველი-სიმონი | 2:6, 6:2, 1:6 |
| კლემანი-ბეკერი | 6:7, 6:7 |
| ლუბიჩიჩი-კერი | 7:6, 7:6 |
| ტიპსარევიჩი-ასკიონე | 3:6, 6:7 |
| **ATP. სტ. პეტერბურგი** | |
| ბიორკმანი-ბოლელი | 6:7, 2:6 |
| ჩილიჩი-ელგინი | 6:3, 6:4 |
| დლუჰი-ჩეკოვი | 7:6, 6:4 |
| ლედოვსკიხი-კუკუშკინი | 7:5, 6:3 |
| ანჩიჩი-ლაპენტი | 6:4, 6:1 |
| ტ. მიურეი-მირნი | 6:2, 6:2 |
| ვლიეგენი-სტარაჩე | 6:3, 4:6, 6:7 |
| იუჟნი-გიმელსტობი | 6:2, 6:4 |
| გაბაშვილი-მასუ | 6:3, 3:6, 4:6 |
| **WTA. ლინცი** | |
| კრაიჩეკი-კნაპი | 6:4, 4:6, 6:7 |
| ა. რადვანსკა-მოლიკი | 4:6, 6:3, 1:6 |
| დულკო-მარტინოვიჩი | 6:3, 6:3 |
| შნიდერი-რეზაი | 6:4, 6:3 |
| სკიავონე-სრებოტნიკი | 7:6, 6:3 |
| კირილენკო-ვაკულენკო | 5:7, 7:6, 4:6 |
| ბამერი-სუგიამა | 6:2, 6:7, 0:6 |



ფაბრეგასს გააქვს მეორე გოლი სლავიის კარში

# ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური

## E ჯგუფი

### შტუტგარტი–ლიონი 0:2

შტუტგარტი: რ. შეფერი, ოსორიო, ტასკი, მეირა, ფარნერუდი, პარდო, ჰილბერტი, მაისნერი (62. ხედირა), ბაშთურქი (71. ევერტონი), კაკაუ, გომესი.

ლიონი: ვერკუტრი, რევეიერი, სკილაჩი, კლებერი, გროსო, ჟუნინიო, ფაბიო სანტუში, კალსტრიომი, გოვუ (85. კლერი), ბენზემა (84. ბოდმერი), ბენ არფა (74. კეიტა).

გოლები: 0:1 ფაბიო სანტუში (56), 0:2 ბენზემა (79)

მაყურებელი: 51 300

არბიტრი: ლუსილიუ ბატიშტა (პორტუგალია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: შტუტგარტი**
**პირველი ჯარიმა: შტუტგარტი**
**პირველი კუთხური: შტუტგარტი**
**პირველი გაფრთხილება: ლიონი**

| | | |
|---|---|---|
| 8 (3) | დარტყმა | 13 (7) |
| 13 | ჯარიმა | 12 |
| 7 | კუთხური | 7 |
| 3 | გაფრთხილება | 2 |
| 57% | ბურთის ფლობა | 43% |

### რეინჯერსი–ბარსელონა 0:0

რეინჯერსი: მაკგრეგორი, ჰატონი, უეირი, კუელარი, პაპაცი, მაკკალოხი, კუზენი, ფერგიუსონი, ადამი, დარშევილი, ნოვო (72. ბიზლი).

ბარსელონა: ვალდესი, ტურამი, პუიოლი, მილიტო, აბიდალი, ინიესტა, ჩავი, გუდიონსენი, რონალდინიო, მესი, ანრი (82. ჯოვანი).

მაყურებელი: 49 957

არბიტრი: კონრად პლაუტცი (ავსტრია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ბარსელონა**
**პირველი ჯარიმა: რეინჯერსი**
**პირველი კუთხური: ბარსელონა**
**პირველი გაფრთხილება: რეინჯერსი**

| | | |
|---|---|---|
| 3 (0) | დარტყმა | 17 (3) |
| 18 | ჯარიმა | 11 |
| 4 | კუთხური | 10 |
| 3 | გაფრთხილება | 2 |
| 34% | ბურთის ფლობა | 66% |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 2. რეინჯერსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 3. ლიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| 4. შტუტგარტი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

## F ჯგუფი

### დინამო–მანჩესტერი 2:4

დინამო: შოვკოვსკი, გიოანე (46. მილევსკი), დიახატი, გავრანჩიჩი, ნესმაჩნი, კორეა (83. როტანი), გუსევი, იუსუფი, ბანგურა, რინკონი, შაცკიხი (46. ბელკევიჩი).

მანჩესტერი: ვან დერ სარი (80. კუშჩაკი), ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ო'ში, ანდერსონი, გიგზი (80. სიმპსონი), კრისტიანო რონალდო, რუნი, ტევესი (73. ნანი).

გოლები: 0:1 ფერდინანდი (10), 0:2 რუნი (18), 1:2 რინკონი (34), 1:3 კრისტიანო რონალდო (41), 1:4 კრისტიანო რონალდო (68-პენ), 2:4 ბანგურა (78)

მაყურებელი: 38 000

არბიტრი: ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: მანჩესტერი**
**პირველი ჯარიმა: მანჩესტერი**
**პირველი კუთხური: მანჩესტერი**
**პირველი გაფრთხილება: დინამო**

| | | |
|---|---|---|
| 19 (5) | დარტყმა | 17 (11) |
| 11 | ჯარიმა | 11 |
| 5 | კუთხური | 4 |
| 1 | გაფრთხილება | 0 |
| 50% | ბურთის ფლობა | 50% |

### რომა–სპორტინგი 2:1

რომა: დონი, პანუჩი, ჟუანი, მექსე, ტონეტო, კასეტი, დე როსი, პისარო, მანსინი (87. სისინიო), ჟიული (73. ბრიგი), ტოტი (35. ვუჩინიჩი).

სპორტინგი: ტიაგო, აბელი, რონი (77. პუროვიჩი), ტონელი, ჟოაო მუტინიო, ვუკჩევიჩი (71. პარედესი), რომანიოლი, ველოსო, იზმაილოვი (81. სელსინიო), ლიდსონი, დიალო.

გოლები: 1:0 ჟუანი (15), 1:1 ლიდსონი (18), 2:1 ვუჩინიჩი (70)

*48-ე წუთზე მანსინიმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

მაყურებელი: 30 000

არბიტრი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: სპორტინგი**
**პირველი ჯარიმა: სპორტინგი**
**პირველი კუთხური: რომა**
**პირველი გაფრთხილება: რომა**

| | | |
|---|---|---|
| 16 (4) | დარტყმა | 14 (5) |
| 10 | ჯარიმა | 18 |
| 12 | კუთხური | 8 |
| 3 | გაფრთხილება | 2 |
| 52% | ბურთის ფლობა | 48% |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| 2. რომა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 3. სპორტინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 4. დინამო | 3 | 0 | 0 | 3 | 3-8 | 0 |

## G ჯგუფი

### ცსკა–ინტერი 1:2

ცსკა: მანდრიკინი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი (45. გრიგორიევი), კარვალიო, ალდონინი, რაჰიმიჩი, კრასიჩი, დუდუ (42. ედუარდო/76. იანჩიკი), ჟირკოვი, ჟო.

ინტერი: ჟულიო სეზარი, ძანეტი, კორდობა, სამუელი, მაქსველი, დაკური (77. სოლარი), ვიეირა (17. სტანკოვიჩი), კამბიასო, ფიგუ, იბრაჰიმოვიჩი, კრესპო (62. კრუსი).

გოლები: 1:0 ჟო (32), 1:1 კრესპო (52), 1:2 სამუელი (80)

მაყურებელი: 25 000

არბიტრი: მაიკ რაილი (ინგლისი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ცსკა**
**პირველი ჯარიმა: ცსკა**
**პირველი კუთხური: ცსკა**
**პირველი გაფრთხილება: ინტერი**

| | | |
|---|---|---|
| 16 (6) | დარტყმა | 15 (4) |
| 17 | ჯარიმა | 22 |
| 9 | კუთხური | 5 |
| 1 | გაფრთხილება | 2 |
| 48% | ბურთის ფლობა | 52% |

### ეინდჰოვენი–ფენერბაჩე 0:0

ეინდჰოვენი: გომეში, კრომკამპი, ადო (58. ზონეველდი), მარსელისი, სალსიდო, პერესი, სიმონსი, მენდესი (58. კუვერმანსი), ბაკალი (78. აისატი), ფარფანი, ლაზოვიჩი.

ფენერბაჰჩე: ვოლქან დემირელი, გოქანი, ლუგანო, ედუ, რობერტო კარლოსი, დენიზი, ალექსი (35. ბილგინი), აურელიო, ვედერსონი, დეივიდი, სემიჰი (72. ქაზიმი).

გაძევება: დეივიდი (64. ფენერბაჰჩე)

მაყურებელი: 33 000

არბიტრი: ჰოვარდ უები (ინგლისი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: ეინდჰოვენი**
**პირველი ჯარიმა: ფენერბაჰჩე**
**პირველი კუთხური: ფენერბაჰჩე**
**პირველი გაფრთხილება: ეინდჰოვენი**

| | | |
|---|---|---|
| 4 (0) | დარტყმა | 7 (1) |
| 24 | ჯარიმა | 16 |
| 3 | კუთხური | 3 |
| 3 | გაფრთხილება | 3 |
| 56% | ბურთის ფლობა | 44% |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 2. ფენერბაჰჩე | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 5 |
| 3. ეინდჰოვენი | 4 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 4. ცსკა | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 | 1 |

## H ჯგუფი

### სევილია–სტიაუა 2:1

სევილია: პალოპი, დანიელ ალვეში, მოსკერა, დრაგუტინოვიჩი, ადრიანო კორეია, ნავასი, პოულსენი, კაპელი (85. მარტი), კეიტა, ლუიშ ფაბიანო, კანუტე (71. რენატო).

სტიაუა: საპატა, გოიანი, მარინი, ემეგარა, რადა, ნიკოლიცა, დიკა (46. ბადეა), პეტრე, იაკობი (71. ზაჰარია), სურდუ (46. ნეაგა), კროიტორუ.

გოლები: 1:0 კანუტე (5), 2:0 ლუიშ ფაბიანო (17), 2:1 პეტრე (63)

მაყურებელი: 31 569

არბიტრი: რობერტო როსეტი (იტალია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: სტიაუა**
**პირველი ჯარიმა: სევილია**
**პირველი კუთხური: სევილია**
**პირველი გაფრთხილება: სტიაუა**

| | | |
|---|---|---|
| 19 (5) | დარტყმა | 9 (2) |
| 17 | ჯარიმა | 27 |
| 6 | კუთხური | 4 |
| 2 | გაფრთხილება | 3 |
| 59% | ბურთის ფლობა | 41% |

### არსენალი–სლავია 7:0

არსენალი: ალმუნია, კლიში, გალასი, კოლო ტურე, სანია, ფაბრეგასი, ფლამინი (63. ჟილბერტო სილვა), გლები (63. როსიცკი), უოლკოტი, ებუე, ადებაიორი (63. ბენდტნერი).

სლავია: ვანიაკი, ტავარეში (63. ბელაიდი), ჰუბაჩეკი, შვეცი, პუდილი, სუჩი, კრაიჩიკი, ივანა (56. ვოლეშაკი), კალივოდა (46. იაბლონსკი), შენკერიკი, ვლჩეკი.

გოლები: 1:0 ფაბრეგასი (5), 2:0 ჰუბაჩეკი (24-საკ. კარში), 3:0 უოლკოტი (41), 4:0 გლები (51), 5:0 უოლკოტი (55), 6:0 ფაბრეგასი (58), 7:0 ბენდტნერი (89)

მაყურებელი: 59 621

არბიტრი: სტეფანო ფარინა (იტალია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო: სლავია**
**პირველი ჯარიმა: სლავია**
**პირველი კუთხური: არსენალი**
**პირველი გაფრთხილება: არსენალი**

| | | |
|---|---|---|
| 18 (11) | დარტყმა | 7 (3) |
| 8 | ჯარიმა | 10 |
| 4 | კუთხური | 2 |
| 3 | გაფრთხილება | 1 |
| 60% | ბურთის ფლობა | 40% |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 3 | 3 | 0 | 0 | 11-0 | 9 |
| 2. სევილია | 3 | 2 | 0 | 1 | 6-6 | 6 |
| 3. სლავია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-12 | 3 |
| 4. სტიაუა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-5 | 0 |



ფრანჩესკო ტოტის ტრავმა რომასთვის დიდი დანაკლისი იქნება



როგორც იქნა, ლიონმაც მოიგო

სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდებერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ყს. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა